საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1977 3

საბჭოთა სამართალი

№ 3

1977 წელი

მაისი — ივნისი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

СОДЕРЖАНИЕ

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

შეკვ. № 2103
ტირაჟი 18.050
უე 04124

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 14/VI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-77 წ. ქაღალდის **ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.**

სპ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მანიფესტი

მიმდინარე წლის დამდეგს ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყეს მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მესამოცე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის. და სწორედ მაშინ, როცა შეჯამდა იუბილეს შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული პირველი შრომითი შედეგები, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ფრიად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. მაისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა პროექტი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა, რომელიც რიგით მეოთხე საბჭოთა კონსტიტუციაა. 4 ივნისს ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა პრესაში. ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტის ღრმა და საქმიანი განხილვა. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში საკანონმდებლო ენით სრულყოფილად არის ასახული ოთხი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, ნაჩვენებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი პრინციპული ცვლილებები. ეჭვი არ არის, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვა, მისი მიღება ახალ ნიშანსვეტად გადაიქცევა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში, ხელს შეუწყობს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში ნათლად არის ახსნილი, თუ რამ განაპირობა ახალი კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა, ამასთან განმარტებულია ახალი კონსტიტუციის თავისებურებები და მიზნები.

სსრ კავშირის დღეისათვის მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში ღრმა, არსებითი ეკონომიკურ-სოციალური ცვლილებები მოხდა. საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც წინანდელისაგან ძირფესვიანად განსხვავებულ, ერთიან, მძლავრ ეკონომიკას ეყრდნობა. სხვაგვარია ქვეყნის სოციალური სახეც. დღეს სსრ კავშირის მუშათა კლასი — ეს არის მილიონობით განათლებული და წიგნიერი, პოლიტიკურად და ტექნიკურად მომზადებული ადამიანი, თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონპატრონი. სოციალისტურ საფუძველზეა ჩამოყალიბებული გლეხობის ფსიქოლოგიაც. ნამდვილად სახალხო, სოციალისტური გახდა საბჭოთა ინტელიგენცია, რომლის როლი საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება. დამკვიდრდა ერთა ფაქტობრივი თანასწორობა, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით განვითარების მაღალ

დონეს მიაღწია ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა—საბჭოთა ხალხი.

ეს ღრმა გარდაქმნები არ შეიძლებოდა სათანადოდ არ ასახულიყო ქვეყნის კონსტიტუციაში. დღეისათვის მოქმედ კონსტიტუციაში ცალკეული ცვლილებების შეტანა საქმეს ვერ შველოდა. ამიტომ აუცილებელი გახდა შემუშავებულიყო ახალი კონსტიტუცია. საკონსტიტუციო კომისიამ, რომელსაც სათავეში ედგა ლ. ი. ბრეჟნევი, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დაიცვა რა წინა სამი საბჭოთა კონსტიტუციის მემკვიდრეობითობა, გაითვალისწინა კონსტიტუციური მშენებლობის მდიდარი პრაქტიკა და შეიმუშავა უმაღლესი ტიპის სოციალისტურ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მანიფესტი.

წინანდელისაგან განსხვავებით ახალი კონსტიტუციის პროექტს ბევრი თავისებურება აქვს. ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ პროექტი არ არის ისეთი იურიდიული აქტი, რომელშიც მარტოოდენ საბჭოთა ხალხის რეალური მონაპოვრები იყოს ფიქსირებული. ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საპროგრამო დებულებები, გამოცხადებულია საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის მიზნები და ამოცანები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით საბჭოთა ადამიანებისათვის, მისი აწმყოსა და მომავლისათვის. პროექტის მიხედვით სახელმწიფო ორგანოებს და მოქალაქეებს უაღრესად ფართო უფლება-მოვალეობები აქვთ.

ახალი კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ არის აღნიშნული სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების უდიდესი მნიშვნელობა. იგი იძლევა მტკიცე გარანტიებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, „ხაზს უსვამს, რომ კონსტიტუციისა და კანონების დაცვა სახელმწიფოს ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქის მოვალეობა ხდება“.[1]

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება ქართველ იურისტებსა და რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს დიდ ამოცანებს უსახავს ხანგრძლივი პერიოდისათვის. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ჩვენმა მეცნიერებმა და პრაქტიკულმა მუშაკებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ კონსტიტუციის პროექტის განხილვასა და პროპაგანდაში, ხოლო მისი მიღების შემდეგ უზრუნველყონ ქვეყნის ძირითადი კანონის უმნიშვნელოვანეს დებულებათა კვალიფიციური განმარტება.

ამასთანავე, ეს მუშაობა იმგვარად უნდა წარვმართოთ, რომ ვამხილოთ სერიოზული ნაკლოვანებანი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ამთავითვე უნდა დაიწყონ ახალი კონსტიტუციის თეორიული პრობლემების დამუშავება.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა და მიღება სა-

---

1. ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ივნისი.

ფუძვლად უნდა დაედოს ახალი ამოცანების შესაბამისად რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას. აუცილებელია ყველასათვის მოქმედების სახელმძღვანელოდ იქცეს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ყველა ორგანოს მუშაობა, რომლებსაც ეკისრებათ ზუსტად დაიცვან საბჭოთა კანონის მოთხოვნები. მე მხედველობაში მაქვს პროკურატურა, სასამართლო, არბიტრაჟი, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, სახალხო კონტროლი. პარტია მოელის, რომ ყველა ეს ორგანო კიდევ მეტ ინიციატივას, პრინციპულობასა და შეურიგებლობას გამოიჩენს საბჭოთა მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში“. [2]

განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წინაშე, რომელიც აქტიურად უნდა ჩაებას ახალი კანონმდებლობის შემუშავებაში. ცნობილია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებას ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა მოჰყვება. კონსტიტუციის ბაზაზე უნდა შემუშავდეს საკავშირო კანონები არჩევნების შესახებ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, კანონი მინისტრთა საბჭოს შესახებ.

მოსაწესრიგებელია საოლქო და საოკრუგო საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებამოსილება. ამ აქტების მიღება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების გზაზე.

რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებრიობა მოვალეა აქედანვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კანონის შესამუშავებლად.

ბევრია გასაკეთებელი მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიკაციის, სისტემატიზაციისა და გამოცემის მხრივაც. უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა გამოიცეს რესპუბლიკის მოქმედ კანონთა კრებული ქართულ და რუსულ ენებზე თითქმის 40 ტომად. ეს მეტად პასუხსაგები, შრომატევადი საქმეა და ასეთ მოკლე ხანში მისი განხორციელება მრავალი სირთულის დაძლევასთან არის დაკავშირებული.

კონსტიტუციის პროექტის განხილვასა და პროპაგანდაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა. ჩვენს ხალხს საბჭოები მიაჩნიათ თავიანთ ქომაგად და იმედად, რომლებიც მტკიცედ დგანან სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კანონით გარანტირებული ინტერესების სადარაჯოზე. საბჭოები, მისი დეპუტატები, საბჭოთა მუშაკები მოვალენი არიან დღენიადაგ ზრუნავდნენ ხალხისათვის, ასრულებდნენ ამომრჩეველთა განაწესს, ებრძოდნენ უსამართლობის, კანონის დარღვევის, ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. საბჭოებმა დემოკრატიის პრინციპების გაღრმავებისა და განვითარების საფუძველზე უნდა მიაღწიონ მოსახლეობის აქტიურობის ამაღლებას. მთელი ეს მუშაობა ჩვენში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების დაძლევის ნიშნით უნდა წარიმართოს

სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე იწყება ჩვენი რესპუბლიკის

---

2. ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტის შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ივნისი.

ახალი კონსტიტუციის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დებულების მომზადება. ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტების შემუშავებასა და საყოველთაო-სახალხო განხილვას მოჰყვება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალი მძლავრი აღმავლობა, ახალ იმპულსს მისცემს რესპუბლიკის მშრომელებს, რათა მათ წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებანი, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო შენაძენია. იგი წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშს. კონსტიტუციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც და წარუშლელ კვალს დატოვებს კაცობრიობის ისტორიაში.

პოლიტიკური სისტემის საკითხები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში

პროფ. გ. ინწკირველი

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველ თავში განხილულია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საკითხები.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცნება უკანასკნელ წლებში ფართოდ დამკვიდრდა საბჭოთა და საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, პოლიტიკურ სტრუქტურასთან, საერთო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის სისტემასთან და მანამდე გავრცელებულ სხვა ცნებებთან ერთად. ეს ცნებები სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მკვეთრად გამიჯნული, ხოლო ზოგჯერ კი თავისი შინაარსით პირდაპირ გაიგივებულია, თუმცა საზოგადოების პოლიტიკური სისტემისა და ყველა მომიჯნავე ცნებებით ძირითადად გამოხატულია კომპლექსი იმ საშუალებებისა და ფაქტორებისა, რომელთა მეშვეობითაც ხდება პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება და სოციალისტური საზოგადოების მართვა, უპირველეს ყოვლისა კი, სოციალისტური სახელმწიფოს საქმიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, აღნიშნული იყო შემდეგი: „პარტიამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი და ფრიად მრავალმხრივი მუშაობა განახორციელა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფისათვის. ამ საქმიანობის მთავარი მიმართულება — კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად — იყო და არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება“[1]. ამ დებულებიდან ჩანს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური დემოკრატიის საკითხები უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. საანგარიშო მოხსენების ამ განყოფილებაში შემდგომ კონკრეტულად არის განხილული საბჭოების საქმიანობის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის, კანონმდებლობის სრულყოფის, სახალხო კონტროლის მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ — საკითხების დაახლოებით იმავე წრის განხილვა (საბჭოების მუშაობა, კანონმდებლობის სრულყოფა და მართლწესრიგის განმტკიცება, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება და სხვ.) შეჯა-

---

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები. თბილისი, 1971, გვ. 98.

მებული იყო შემდეგი სიტყვებით: „კომუნისტური მშენებლობისათვის მთელი ჩვენი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი განვითარება. საქმე ეხება სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურებას"[2].

ამრიგად, „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის" და „საზოგადოების პოლიტიკური სისტემის" ცნებები სკკპ XXIV და XXV ყრილობების მასალებში ფაქტობრივად ერთიდაიგივე მნიშვნელობით არის გამოყენებული. ამიტომ სავსებით დასაბუთებულია იმ ავტორების პოზიცია, რომლებიც ვერ ხედავენ რაიმე საფუძვლიან კრიტერიუმებს ამ ცნებების განსხვავებათა დასადგენად,[3] სამაგიეროდ სქოლასტიკურ ხასიათს ატარებს იმ ავტორთა მსჯელობა, რომლებიც ცდილობენ ეძებონ განსხვავება საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისა და საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცნებებს შორის. მხედველობაში გვყავს, მაგალითად, ფ. ბურლაცკი, რომელიც პოლიტიკური სისტემის ელემენტებად ასახელებს პოლიტიკურ სტრუქტურას, პოლიტიკურ და სამართლებრივ ნორმებს, პოლიტიკურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ შეგნებას;[4] ნ. ჩერნოგოლოვკინი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას თვლის პოლიტიკური სისტემის ელემენტად, მის ორგანიზაციულ საფუძვლად,[5] ი. ილინსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ სავსებით გამართლებულია ორივე ამ ცნების გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფეროს სხვადასხვა ასპექტების დახასიათებისათვის[6].

თანამედროვე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო თავისი ორგანოებით, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებები და კავშირები, რომლებიც პოლიტიკურ ურთიერთობებში მონაწილეობენ და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებიან. ხოლო საზოგადოების მთელ ამ პოლიტიკურ სისტემაში ხელმძღვანელ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც წარმართავს ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელების მიზნით. როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა ამომრჩეველთა წინაშე თავის 1970 წლის გამოსვლაში ამ ამოცანების შესრულების აუცილებელი პირობაა „საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სწორი ფუნქციონირება და უწინარეს ყოვლისა, კომუნისტურ პარტიის მთელი მრავალმხრივი, მეც-

---

[2] ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1976, გვ. 112.

[3] см. **А. И. Денисов.** Социалистическая революция и политическая организация общества, Москва, 1971. стр. 31, 126; Ю. Я. Тихомиров. Социализм и политическая власть. Журнал «Советское государство и право». 1974, № 5, стр. 17.

[4] см. **Ф. И. Бурлацкий.** Ленин. Государство. Политика, Москва, 1970, стр. 118, 121.

[5] см. сб., «Советская демократия в период развитого социализма», Москва, 1976, стр. 46.

[6] см. **И. П. Ильинский.** Политическая организация социалистического общества, Москва, 1976, стр. 12.

ნიერების მონაცემებზე დაფუძნებული საქმიანობა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება"[7].

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი ძალების ეფექტიან მართვას, სახელმწიფოს ცხოვრებაში მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან ადამიანის რეალურ უფლებათა და თავისუფლებათა შეხამებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში და მის სრულ გამარჯვებამდე საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მთავარ როლს ასრულებდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ხოლო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების შემდეგ — საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო. ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში ჩაწერილია, რომ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს".

საბჭოთა საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ იგი მთელი საზოგადოების ერთსულოვანი მისწრაფებების განხორციელების იარაღია და მის საქმიანობაში გამოხატულია საყოველთაო სოციალისტური დემოკრატიზმის პირნციპები. სწორედ სოციალისტური დემოკრატიზმის ხარისხობრივად უფრო მაღალი საფეხურები, რაც პირველ რიგში გულისხმობს მთელი მოსახლეობის ჩაბმას და აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის მართვის საქმეში, განასხვავებს საერთო-სახალხო სახელმწიფოს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსაგან. მისი უზენაესი მიზანია, როგორც ეს განსაზღვრულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პრეამბულაში, უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენება, ხოლო მიზნის მისაღწევად მის წინაშე დასახულია შემდეგი მთავარი ამოცანები: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა და მათი გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა, შშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფო მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მისწრაფებების გამომხატველია, მაგრამ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემა საჭიროებს კიდევ უფრო სრულყოფას, რაც უფრო განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიზმს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა გვესმის, უწინარეს ყოვლის, ისე, რომ განუხრელად უზრუნველვყოთ მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოების ყველა საქმის მართვაში, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი სახელმწიფოებრი-

7 ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე 1970 წლის 12 ივნისს. გაზ. „კომუნისტი", 1970 წლის 13 ივნისი.

ობის დემოკრატიული საფუძვლები, შევქმნათ პიროვნების ყოველმხრივი აყვავების პირობები"[8].

ეს გარემოება ყოველმხრივ გათვალისწინებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას. ის მთავარი ნიშანთვისება, რაც კონსტიტუციის პროექტს ახასიათებს და მთავარი მიმართულება, რომელსაც იგი შეიცავს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება და გაღრმავებაა. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განმარტა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1977 წლის მაისის პლენუმზე კონკრეტულად ეს შემდეგით გამოიხატა: საბჭოების, როგორც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური საფუძვლის ჩამოყალიბებითა და საქმიანობის პრინციპების განვითარებით; მოქალაქეთა უფლებების გაფართოებით; სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებით; ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხთა გადაწყვეტისას მთლიანად მრავალეროვანი კავშირისა და მისი შემადგენელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების შეხამების უზრუნველყოფით; სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებით; სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ სპეციალურ თავში იმ ზრუნვის ასახვით, რასაც სახელმწიფო იჩენს განათლების, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებისათვის, მოქალაქეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის; სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისა და ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი სპეიცალური თავების მიძღვნით.

სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება, როგორც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისათვის დამახასიათებელი მთავარი მიმართულება, იმითაც გამოიხატება, რომ მასში ფართოდ აისახა პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ახალი კონსტიტუციის პროექტში მოცემულია საბჭოთა საზოგადოებასა და სახელმწიფოში მისი ხელმძღვანელი და წარმმართველის ძალის ვრცელი დახასიათება. სპეციალურ მუხლში ამის შესახებ ჩაწერილია: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად ალმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის" (მუხლი 6).

აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის გარდა კომუნისტური პარტიის როლისა და საქმიანობის შესახებ ლაპარაკია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ტექსტის სხვა ადგილებშიც. მაგალითად, პრეამბულაში, სადაც მითითებულია, რომ კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანე-

---

[8] ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინა და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 119.

ლობით განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და შეიქმნა ახალი ტიპის სოციალისტური სახელმწიფო (პირველი აბზაცი). იქვე ჩაწერილია, რომ საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში გაიზარდა მთელი ხალხის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი (მეოთხე აბზაცი). საბჭოთა საარჩევნო სისტემისადმი მიძღვნილ თავში, სადაც ლაპარაკია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დეპუტატთა კანდიდატების დასახელების უფლებაზე, აღნიშნულია, რომ ეს უფლება ეკუთვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს, რა თქმა უნდა, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან ერთად (მუხლი 99).

ახლა განვიხილოთ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვა საკითხები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით.

პროექტის მეორე მუხლში ფორმულირებულია საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესწყობილების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტს, მის სრულ ძალაუფლებიანობას გამოხატავს — „სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის". იქვე აღნიშნულია, რომ ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. როგორც ცნობილია, 1936 წლის კონსტიტუციაში შესაბამისი დებულება შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით" (მუხლი 3).

ეს განსხვავება ძველსა და ახალ ფორმულირებაში იმით არის ნაკარნახევი, რომ 1936 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენს სოციალიზმის საფუძვლების დამკვიდრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს პირობებში, ხოლო ახალი კონსტიტუციის პროექტი — განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში. სწორედ ამით არის დასაბუთებული აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახელწოდების შეცვლა და მათთვის სახალხო დეპუტატების საბჭოების სახელწოდების შეკუთვნება. უდავოა, რომ სოციალისტური საზოგადოების სულ უფრო მზარდი სოციალური ერთგვაროვნების ვითარებაში, როდესაც განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი და თანდათან ქრება განსხვავება ამ ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს და ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, — ფორმულა „ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის" — სავსებით გამართლებულია.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე მუხლის კიდევ ერთი დებულება იმის შესახებ, რომ „ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე", — ასევე გამოხატავს ხალხის სრულ ძალაუფლებიანობას საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. საქმე ისაა, რომ საბჭოები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოებს, რომლებსაც უშუალოდ ხალხი ირჩევს, ხოლო ყველა სხვა ორგანოებს თვით საბჭოები ქმნიან და ამიტომ ანგარიშვალდებულნიც არიან მათ წინაშე. ამრიგად, ხალხი კონტროლს უწევს მის მიერ არჩეული

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას, ხოლო მათი მეშვეობით საბჭოების წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მოღვაწეობასაც.

საბჭოთა ხალხის სრულ ძალაუფლებიანობის გამოხატულების ერთ-ერთ ფორმას ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და გადაცემა რეფერენდუმისათვის. პროექტის მეხუთე მუხლის მიხედვით საყოველთაო-სახალხო განხილვა და რეფერენდუმი ეხება სწორედ ყველაზე დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნლობის საკითხების განხილვას და გადაწყვეტას და არა კანონპროექტების განხილვას, რაზეც ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის 112-ე მუხლში. ამასთან, ახალი კონსტიტუციის პროექტში უფრო ზუსტად არის განმარტებული რეფერენდუმის ცნება. პროექტის მიხედვით რეფერენდუმი საყოველთაო-სახალხო კენჭისყრას წარმოადგენს. საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ხალხი მონაწილეობს საკითხის წინასწარ განხილვაში და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები თავის შენიშვნებს და წინადადებებს გამოთქვამს განსახილველად დასმული საკითხის ირგვლივ, რომელთა გათვალისწინება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უკვე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმეა. რეფერენდუმის დროს კი ხალხი, საზოგადოების წევრები უშუალოდ და საბოლოოდ წყვეტენ კენჭისსაყრელად გამოტანილ საკითხს და ხმების უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას არცერთი ორგანოს დამტკიცება აღარ ესაჭიროება.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის საფუძვლების დადგენისას სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩამოყალიბებულია ამ სისტემის ძირითადი ბირთვის — საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპი —დემოკრატიული ცენტრალიზმი. ეს პრინციპი, როგორც პროექტის მესამე მუხლშია განმარტებული, გულისხმობს ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობას, მათს ანგარიშვალდებულებას ხალხისადმი. ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობას. ამასთან დემოკრატიული ცენტრალიზმი ერთიან ხელმძღვანელობას უხამებს ადგილობრივ ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტიურობას, თითოეული სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.

ამრიგად, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ორ თვისებას აერთიანებს — ცენტრალიზმს და დემოკრატიზმს. სოციალისტური წყობილების პირობებში ეს ურთიერთდაკავშირებული საწყისებია და არა ანტიპოდები. ცენტრალიზმი დემოკრატიზმს კი არ ზღუდავს ან, მით უმეტეს, კი არ უარყოფს, ხოლო დემოკრატიის გაფართოებას ცენტრალიზმის შესუსტება კი არ მოსდევს, არამედ პირიქით, ცენტრალიზმი და დემოკრატია ერთიმეორეს განაპირობებენ. სწორედ ამგვარად არის ფორმულირებული და დასაბუთებული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ვ. ი. ლენინის ნაშრომებში.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დემოკრატიული ცენტრალიზმის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დახასიათების დროს განხილულია აგრეთვე დეცენტრალიზაციის საკითხები. ამ შემთხვევაში დეცენტრალიზაციას კი არ უპირისპირებენ ცენტრალიზმს, არამედ მას დემოკრატიის განვითარების მაჩვენებ-

ლად განიხილავენ საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში[9]. სახელდობრ, დეცენტრალიზაციის მაჩვენებლად მიიჩნიათ: სახელმწიფო ორგანოების ყოველი რგოლისათვის საკითხების გარკვეული წრის გადაცემა და მათი დამოუკიდებლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამ საკითხების გადაწყვეტისა; ქვემდგომი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის სისტემატური გაფართოება ზემდგომი ორგანოების მხრივ საერთო ხელმძღვანელობის შენარჩუნების პირობებში; ქვემდგომი ორგანოების მონაწილეობა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შემუშავებაში; ყოველი ინსტანციის სახელმწიფო ორგანოს მიერ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სათანადო ფორმებისა და მეთოდების დამოუკიდებელი არჩევა და ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველ თავში, რომელიც საბჭოთა სოციალისტური წესწყობილების პოლიტიკურ სისტემას ეხება, ჩამოყალიბებულია აგრეთვე სოციალისტური კანონიერების პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოთა საქმიანობაში. პროექტის მეოთხე მუხლში ჩაწერილია: „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას. სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს“.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობისთანავე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კანონიერების პრინციპს. იგი მოითხოვდა მტკიცე რევოლუციური წესრიგის უზრუნველყოფას და საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და სხვა მითითებების მკაცრად დაცვას ყველას მიერ. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების შემდგომ ეტაპებზე კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. სკკპ XXV და XXV ყრილობებზეც ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების ამოცანებთან დაკავშირებით კვლავ იქნა გამახვილებული ყურადღება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის აუცილებლობაზე. ამასთან სპეციალურად იქნა აღნიშნული როლი მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების და იუსტიციის ორგანოებისა, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე.

კონსტიტუციის პროექტით საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მეშვიდე მუხლში ჩაწერილია: „პროფესიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში“. პროექტის მეშვიდე თავში, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, ერთ-ერთ ასეთ უფლებად აღიარებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გაერთიანება, ვინაიდან

---

[9] см. **В. И. Васильев.** Демократический централизм в системе Советов. Москва, 1973, стр. 17—33; «Советское конституционное право», Ленинград, 1975, стр. 329.

ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ მოქალაქეთა „პოლიტიკური აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას“ (მუხლი 51).

ყველაზე მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ჩვენს ქვეყანაში პროფკავშირები წარმოადგენენ, რომლებიც ამჟამად აერთიანებენ 113 მილიონ კაცს. პროფკავშირების ამოცანები კომუნიზმის მშენებლობაში განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის პროფკავშირების XV და XVI ყრილობების მასალებით, კერძოდ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებით ამ ყრილობებზე. ვ. ი. ლენინის დახასიათება პროფკავშირებისა როგორც მართვის სკოლისა, კომუნიზმის სკოლისა, ძალაში რჩება დღესაც და კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომკავშირს, რომელიც ჭაბუკებისა და ქალიშვილების 35 მილიონიან არმიას აერთიანებს და კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწეა, მისი მებრძოლი რეზერვია. კომკავშირის მეშვეობით მასობრივად ხდება საბჭოთა ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მშრომელთა ერთ-ერთი მასობრივი ორგანიზაციაა კოოპერაცია. კოოპერაციული ორგანიზაციებისა და უპირველეს ყოვლისა, კოლმეურნეობების მეშვეობით ხორციელდება გლეხობის ჩაბმა სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. როგორც კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებაშია ჩაწერილი, კოლმეურნეობა უზრუნველყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მართონ თვით გლეხთა მასებმა საკოლმეურნეო დემოკრატიის საფუძველზე, რომ კოლმეურნეთა პირადი ინტერესები სწორად ეხამებოდეს საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებს, რომ კოლმეურნეობა „კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის“.

სხვა მასობრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში შედის, აღსანიშნავია მშრომელთა ნებაყოფლობითი საზოგადოებები, ორგანიზაციები და სხვადასხვა კავშირები, რომლებიც დადგენილი წესის მიხედვით თვით მასების ინიციატივით ყალიბდება და ხელს უწყობს სახელმწიფოს დასახული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებაში, განსაკუთრებით კი მასების აღზრდაში, კულტურული დონის ამაღლებაში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად საგანგებოდ არის აღნიშნული აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების როლი, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმულია, რომ კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების ბირთვია. და სწორედ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის

შემდგომი განვითარება, რომლის ძირითადი მიმართულებაა ფორმულირებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მერვე მუხლში: „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“.

ახალი კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთი სიახლის შესახებ

მ. ლომიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

წლეულს, 4 ივნისს, საერთო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძირითადად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმმა.

ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმად, მეცნიერულად არის დასაბუთებული ახალი კონსტიტუციის მიღების საჭიროება, ნაჩვენებია ის უდიდესი ცვლილებები, რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1936 წლიდან — სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროიდან 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე, ახსნილია ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის და საერთაშორისო მასშტაბით.

40 წელი ისტორიისათვის მცირე მონაკვეთია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, სადაც განუყოფლად გაბატონებულია სოციალისტური საკუთრება, ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც ემყარება სოციალისტური წყობილების უპირატესობებს და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე ვითარდება. ღრმა ცვლილებები განიცადა საბჭოთა საზოგადოების სოციალურმა იერსახემაც.

ჩვენი დღევანდელი მუშათა კლასი ქვეყნის მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენს. ეს ათეულ მილიონობით განათლებული, ტექნიკურად მომზადებული და პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანია, რომელთა შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტიურობა. ისინი უფრო ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

დიდი ცვლილებებია გლეხობის სოციალურ მდგომარეობაშიც. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აღნიშნა: „ახლანდელი კოლმეურნე დაიბადა და გაიზარდა კოლმეურნეობაში, მისი ფსიქოლოგია უკვე სოციალისტურ საფუძველზე ჩამოყალიბდა. იგი თანამედროვე ტექნიკას მართავს, მისი განათლების დონე, მისი ცხოვრების წესი კი ხშირად მცირედ თუ განსხვავდება ქალაქის მკვიდრთა დონისა და ცხოვრებისაგან“.

ნამდვილად სახალხო, სოციალისტურია ჩვენი ინტელიგენცია, კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. ქრება განსხვავება ძირითადად სოციალურ ჯგუფებს შორის, სულ უფრო მეტად აახლოებს ერთმანეთთან ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. ჩვენში უკვე კარგა ხანია შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მომწიფებული სოცი-

ალიზმის აშენების, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე მოსახლეობის ყველა ფენის გადასვლის შედეგად საბჭოთა სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოდან თანდათანობით გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს. როგორც ეს პროექტის მე-2 მუხლშია ნათქვამი, საბჭოთა კავშირში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს — სახალხო დეპუტატთა საბჭოების სახით. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პოლიტიკური საფუძველია სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

კონსტიტუციის პროექტში უფრო ვრცლად, ამომწურავად და კონკრეტულად არის მოცემული საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებასა და კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

პროექტის მეექვსე მუხლის მიხედვით საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, იგი ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც სავსებით შეესაბამ ბა ჩვენი მშობლიური პარტიის XXV ყრილობის სახელმძღვანელო პრინციპებს, შენარჩუნებულია და განვითარებულია ჯერ კიდევ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სოციალისტური ტიპის კონსტიტუციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, აგრეთვე ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის ბევრი დებულება. ამასთან კონსტიტუციის პროექტი ბევრ სიახლეს შეიცავს. მასში განზოგადებულია საბჭოთა ქვეყნის ისტორიის კონსტიტუციური გამოცდილება, რომელიც ახალი შინაარსითაა გამდიდრებული. იგი ეყრდნობა საბჭოთა კანონმდებლობაში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარ ცვლილებებს. პროექტის შემუშავების დროს გამოყენებულია მოძმე სოციალისტური ქვეყნების საკონსტიტუციო მშენებლობის გამოცდილება.

ახალი კონსტიტუციის პროექტში შენარჩუნებულია მოქმედი კონსტიტუციის პრინციპული დებულება, რომ სსრ კავშირის ეკონომიური სისტემის საფუძველია წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება.

მნიშვნელოვნად გამდიდრდა დებულებები საბჭოთა მოქალაქეთა უფლებების შესახებ. უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პროექტში მთლიანად არის შენარჩუნებული სსრ კავშირის ფედერაციული წყობის ყველა ძირითადი ნიშანი, რომლებმაც სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

კონსტიტუციის პროექტში პირველად არის შეტანილი სპეციალური თავი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. კონსტიტუციურ პრინციპად იქცა

ის, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ადგას მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, იღწვის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის თანმიმდევრული განხორციელებისათვის.

ასევე პირველად არის შეტანილი კონსტიტუციაში თავი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ. 32-ე მუხლში ჩაწერილია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვის უნარიანობას, აღჭურავს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყველა საჭირო საშუალებით და რომ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მოვალეობებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში განსაზღვრავს კანონი.

კონსტიტუცია, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი სესია წლეულს ოქტომბერშივე მიიღებს, საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ბაზა გახდება. მის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები, კანონები არჩევნების შესახებ, კანონი მინისტრთა საბჭოს შესახებ და მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო აქტი.

პროექტის კარში — „მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა ყოველმხრივ ნაჩვენებია ღრმა დემოკრატიული ბუნება საბჭოთა მართლმსაჯულებისა, რომელიც ერთი მხრივ ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ, განუხრელად იცავს საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს.

ახალი კონსტიტუცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო არბიტრაჟს საქმიანობას. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით პროექტი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. კონსტიტუციის პროექტის 162-ე მუხლში ნათქვამია, რომ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები და რომ არბიტრაჟის საქმიანობის ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი. ამავე მუხლში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ნიშნავს ხუთი წლის ვადით. ამრიგად კონსტიტუციური წესით დაკანონდა სახელმწიფო არბიტრაჟის არსებობა და განისაზღვრა მისი ფუნქციები, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობას და ამაღლებს მის ავტორიტეტს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში.

ახალი კონსტიტუციის პროექტის 158-ე მუხლი ითვალისწინებს სამართალწარმოების შემდგომ დემოკრატიზაციას, მოქალაქეთა უფლებების კიდევ უფრო გაფართოებას სასამართლო პროცესში. ამ მუხლის თანახმად სასამართლოში საქმე მარტო მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის ენაზე კი არ განიხილება, როგორც ეს დაკანონებულია ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, არამედ აგრეთვე ავტონომიური ოკრუგის ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ამასთან შენარჩუნებულია ის დებულება, რომ საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უფლება აქვთ სრულად გაეცნონ საქ-

მის მასალებს თარჯიმნის მეშვეობით და სასამართლოში გამოვიღნენ დედაენაზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა ხელშეუხებლობის კონსტიტუციური წესით დაკანონებას. კონსტიტუციის პროექტის 159-ე მუხლის თანახმად არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშულის ჩადენაში და კანონის შესაბამისად დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ ეს სასამართლოს განაჩენით არ არის დადგენილი.

ახალი კონსტიტუციის პროექტი, ისევე, როგორც მოქმედი კონსტიტუცია შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი. ამასთან ერთად რესპუბლიკებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

ბევრი დიდმნიშვნელოვანი სიახლეა შეტანილი საარჩევნო სისტემაში. მოქმედი კონსტიტუციით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატებად შეიძლება აირჩიონ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც 23 წელი შეუსრულდათ, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში კი 21 წლის მოქალაქენი. ახალი კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად ეს უფლება ენიჭება ყველა საბჭოთა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა თავის მოხსენებაში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე „ეს იმის რეალური გამოვლინებაა, რომ ჩვენი საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდობისათვის და ენდობა მას“.

ახალი კონსტიტუცია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს პროფესიულ კავშირებს, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს, კოოპერაციულ და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

პროექტის მე-7 მუხლში ნათქვამია, რომ ეს ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში. უფრო მეტიც — პროექტის 111-ე მუხლით ამ და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო საკავშირო ორგანოების სახით აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-5 მუხლისაგან განსხვავებით კონსტიტუციის პროექტი სოციალისტური საკუთრების ცალკე სახეობად გამოყოფს პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას.

პროექტის მე-12 მუხლში გამოკვეთილად არის მითითებული, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ მიწის ნაკვეთებით, რომლებსაც მათ გამოუყოფთ სახელმწიფო და კოლმეურნეობა კანონით დადგენილი წესით დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (კერძოდ პირუტყვისა და ფრინველის შენახვისათვის) მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

პროექტის ამავე მუხლში ხაზგასმულია, რომ ქონება, რომელიც პირად საკუთრებად და სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაშრომითი შემოსავლის წყაროდ ან საზოგადოების საზიანოდ. უმნიშვნელოვანესი სიახლეა კონსტიტუციის პროექტის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მა-

ნაწილეობენ საწარმოებისა და გაერთიანებების მართვაში, შრომისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაციის, იმ სახსრების გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული საჭიროებებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსტიტუციით დაკანონებული ეს უფლება ნათლად მეტყველებს საბჭოთა წესწყობილების ნამდვილ დემოკრატიულობაზე.

კონსტიტუციის პროექტში ფართოდ და ამასთანავე კონკრეტულად არის მოცემული მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლება და მოვალეობა. ამ საკითხს დათმობილი აქვს მთელი მეშვიდე თავი — 39-ე მუხლიდან 68-ე მუხლის ჩათვლით. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, პროექტსი 44-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქის უფლებას ბინაზე, რაც, როგორც ეს კონსტიტუციის პროექტშია ნათქვამი, უზრუნველყოფილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებით და მისი დაცვით, კოოპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობის ხელშეწყობით, საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილებით, მასზე საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით და აგრეთვე ბინის ქირის სიმცირით.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის სიახლე, რომელიც მოცემულია კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლში. ამ მუხლით გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლება — კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრონ სასამართლოში თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებებს. ამავე მუხლით მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ უფლება აინაზღაურონ კანონით დადგენილი წესით და კანონის ფარგლებში ზარალი, რომელიც მათ უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო დაწესებულებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

როგორც ზემოთ ითქვა, კონსტიტუციის პროექტში მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობანი ამომწურავად არის გათვალისწინებული, ამასთან ოცდამეცხრამეტე მუხლში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

პროექტში არსებულ სიახლეთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე, ის რომ 45-ე მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უფასოდ უზრუნველყოფას.

ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების პირველ დღეებშივე მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მისი საყოველთაო სახალხო განხილვა. მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთაც. ახალი კონსტიტუციის პროექტი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი გააქტიურების, მასების შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების მძლავრი სტიმული გახდა. საბჭოთა მოქალაქენი უდიდესი ყურადღებით განიხილავენ კონსტიტუციის პროექტს. ეს განხილვა ხდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის ზეიმისათვის საბჭოთა ხალხის მზადების პერიოდში, რაც იწვევს ჩვენი ხალხის შემოქმედებით

და შრომით აქტივობას, მათ უდიდეს შემართებას სახალხო მეურნეობის მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაჭარბებითა და ხარისხიანად შესრულებისათვის.

მთლიანად და სავსებით იწონებენ რა კონსტიტუციის პროექტის დებულებებს, მშრომელები ამასთან ერთად გამოთქვამენ თავის მოსაზრებებს და სურვილებს პროექტის ცალკეული მუხლების შევსებისა და დაკონკრეტების თაობაზე. მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები პროექტის ზოგიერთი მუხლის გარეშემო:

1. კონსტიტუციის პროექტის მე-18 მუხლი ითვალისწინებს მიწის და მისი წიაღის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვას. ამრიგად კონსტიტუცია ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებას და გარემო ბუნების გაუმჯობესებას. პრეზიდენტის მოსაზრებით კარგი იქნება თუ ამ მუხლს დაემატება, რომ „ბუნების დაცვის შესახებ კონსტიტუციის მოთხოვნის დარღვევისათვის მოქალაქენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

2. კონსტიტუციის პროექტის 89-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების უფლება-მოსილების ვადა ხუთი წელია.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების უფლებამოსილების ვადად დაწესებულია ორწელიწადნახევარი. გაუგებარია რა მოსაზრებით არის დადგენილი ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებისათვის ასეთი ვადა. უკეთესი იქნებოდა, თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოსილება განისაზღვრებოდა სამი წლით, მით უმეტეს რომ ორნახევარსა და სამ წელიწადს შორის დროის მიხედვით დიდი სხვაობა არ არის, თანაც სამი წელიწადი პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელია.

3. კონსტიტუციის პროექტის 95-ე მუხლის თანახმად საარჩევნო ხმის უფლებით არ სარგებლობენ მხოლოდ ის პირნი, ვინც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად. ჩემის აზრით, საჭიროა კონსტიტუციურად დაკანონდეს ამჟამად არსებული პრაქტიკა და ამ მუხლს დაემატოს, რომ საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ აგრეთვე ის პირნი, რომლებსაც სასამართლო ორგანოების განაჩენით მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიან ციხეებსა და შრომა-გასწორების დაწესებულებებში და აგრეთვე ის პირნი, რომლებიც მათი საქმის გამოძიების გამო წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

4. პროექტის 128-ე მუხლი ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რამდენიმე პირველ მოადგილეს. მე ვიზიარებ ზოგიერთი ამხანაგის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა მხოლოდ ერთი დაწესდეს. ეს უფრო შეესაბამება სიტყვა „პირველის“ შინაარსს. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ როდესაც მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რამდენიმეა, გაუგებარია მათ შორის რომელია პირველი.

5. კონსტიტუციის პროექტის 115-ე მუხლი ითვალისწინებს დეპუტატების

უფლებას შეკითხვით მიმართონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის, და იმას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალენი არიან არაუგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიაზე.

ამ მუხლს დაზუსტება სჭირდება. დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს აღნიშნულ ორგანოებს სსრ კავშირის სესიათა შორის პერიოდშიც. ხომ არ უნდა ელოდებოდეს დეპუტატი პასუხს სესიის მოწვევამდე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დიდი ზეიმია, პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი ხალხის ურღვევი და სულ უფრო მტკიცე შეკავშირების ახალი დადასტურება.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი

ლ. ჯანაშია

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მესამოცე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის ემზადება საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა, არა მარტო მოსპო ექსპლუატატორული წესწყობილება და დაამყარა ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება, არამედ დაამსხვრია ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილები და შესაძლებლობა მისცა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს თავისუფლად გადაეწყვიტათ საკუთარი ბედი, შეექმნათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა და ნებაყოფლობით გაერთიანებულიყვნენ საკავშირო-ფედერაციულ სახელმწიფოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფისა და მისი ინტერნაციონალური ბუნების ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ცალკეული ხალხების ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებას. ტრიუმფისა და მისი ინტერნაციონალური ბუნების ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ცალკეული ხალხების ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებას.

სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ვაჯამებთ რა გასული ნახევარი საუკუნის გმირული მიღწევების შედეგებს, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეროვნული საკითხი იმ სახით, როგორიც ჩვენ წარსულისაგან გვხვდა, გადაწყდა მთლიანად, გადაწყდა საბოლოოდ და შემოუბრუნებლად. ეს ისეთი მიღწევაა, რომელიც სამართლიანად შეიძლება დავაყენოთ სსრ კავშირში ახალი საზოგადოების მშენებლობაში მოპოვებულ ისეთ გამარჯვებათა გვერდით, როგორიც არის ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია[1].

თავის მოხსენებაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ფედერაციული წყობილების ძირითადმა თვისებებმა მთლიანად გაამართლა თავიანთი დანიშნულება და ამიტომ საჭირო არ არის რაიმე პრინციპული ცვლილებების შეტანა საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის ფორმებში.

ბურჟუაზიის აპოლოგეტებს მოსვენებას უკარგავს მრავალეროვანი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინსვლა და განვითარება. ისინი ცდილობენ გააყალბონ საბჭოთა სინამდვილე, უარყონ სსრ კავშირში ეროვნული საკითხის

---

1. ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. თბ., 1972 წ. გვ. 14.

საბოლოოდ გადაჭრის ფაქტი, უტიფრად გაჰკივიან რაღაც „საბჭოთა კოლონიალიზმზე“, აცხადებენ, თითქოს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ რაიონებში „შემთხვევითი“ ხასიათისაა, რომ საბჭოთა კავშირში არავითარი ყურადღება არ ექცევა ეროვნული რესპუბლიკების მოსახლეობის სპეციფიკურ ინტერესებს და ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებში მატერიალურ პროგრესს თან ახლავს ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის დაკარგვა და სხვა.

ეს ე. წ. თეორეტიკოსები ცდილობენ „დაამტკიცონ“ კაპიტალისტური სახელმწიფოს მარადიულობა, საბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს არამყარი ხასიათი, მიმართავენ სიყალბეს, ცდილობენ მიჩქმალონ საერთოდ ეროვნული ერთეულების წარმატებები, ავრცელებენ სიცრუეს, თითქოს საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს არ გააჩნდეთ დამოუკიდებლობა და სრული სუვერენიტეტი[2].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ფრანგ ჟურნალისტებთან საუბარში 1974 წლის მარტში განაცხადა: „ბევრ გამონაგონს ბეჭდავს უცხოეთის პრესა. თავის დროზე მოდაში იყო რაღაც „შეზღუდულ სუვერენიტეტზე“ წერა, ახლა „ზესახელმწიფოებზე“ წერენ, მერე კიდევ რაღაცას მოიგონებენ... საბჭოთა კავშირი ის არის, რაც არის, მას ვერ დააპატარავებ, ძალიანაც რომ მოინდომოს ზოგიერთმა. თუ ასეთი დიდი ტერიტორიის, ასეთი მოსახლეობის მქონე ქვეყანა „ზესახელმწიფოა“, მე რაღა შემიძლია გითხრათ ამის თაობაზე? უწოდონ ასე, ვისაც მოსწონს ეს სიტყვა. მაგრამ რა თქმა უნდა „ზესახელმწიფოს“ ტერმინსა და შინაარსს, რომელსაც მას აქსოვენ, არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკასთან“.[3]

ისმება კითხვა — რით უნდა აიხსნას ანტიკომუნისტების ასეთი თავშეუკავებელი ცრუ კონცეფციებით გამოსვლა იდეოლოგიური ბრძოლის არენაზე? დასმულ კითხვაზე მრავალგვარი პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი მთავარი მიზეზის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით. იგი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო სწრაფად იზრდება საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და ზეგავლენა დამოუკიდებელ და განვითარებადი ქვეყნების მშრომელ მოსახლეობაზე. ეს ფაქტი კი კაპიტალიზმის იდეოლოგებს მოსვენებას არ აძლევს. მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა არა მარტო ჩვენი საკავშირო სახელმწიფოს უზარმაზარი ნახტომი ეკონომიკასა. და კულტურაში, არამედ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკების კოლოსალური მიღწევებიც სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სადავო არაა ის ფაქტი, რომ რომელიც გნებავთ საბჭოთა ეროვნულმა რესპუბლიკამ გაუსწრო მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანას მრეწველობისა. და სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების მხრივ. ამ ფაქტზე მეტყველებს რეალური მონაცემები, რომლებითაც ხვდება თითოეული საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

რაც შეეხება საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობას,

---

[2] Ленинизм и национальный вопрос в современных условиях. М., 1972. стр. 535—556.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1974 წ. 12 მარტი.

მათი სუვერენობის საკითხს, ვფიქრობთ, რომ დღეს იგი იმდენად ნათლად არის მოწესრიგებული საბჭოთა ქვეყანაში, რომ ჭორების წყარო არ უნდა გამხდარიყო. სწორედ ხსენებული გარემოება გვკარნახობს იმის საჭიროებას, რათა კიდევ ერთხელ შევჩერდეთ საბჭოთა მეცნიერების მიერ ღრმად შესწავლილ და დამუშავებულ დებულებაზე მოცემულ რესპუბლიკების სუვერენიტეტის შესახებ.

სახელმწიფო სუვერენიტეტის პრობლემის მეცნიერულ შესწავლაში დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ საბჭოთა სწავლულ იურისტებს: ი. ტრაინინს, ი. ლევინს, ვ. ჩხიკვაძეს, ვ. დაროგინს, ვ. კოტოკს, დ. ზლატოპოლსკის, ნ. ფარბეროვს, ა. ლეპეშკინს და სხვებს[4]. სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხზე საყურადღებო აზრები გამოთქვეს აგრეთვე საბჭოთა ფილოსოფოსებმა და ისტორიკოსებმა.

სუვერენიტეტის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საფუძვლად დაედო საბჭოთა სუვერენული სახელმწიფოების შექმნას. ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში პირველადია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის წარმოშობა, ხოლო შემდეგ კი ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნა, რაც განხორციელდა სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. შემუშავდა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნება. საკავშირო სახელმწიფოს შექმნამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები დიდი და პატარა ერების თავისუფალი განვითარება, თითოეული მათგანისათვის თავიანთი საკუთარი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დამკვიდრება. სსრ კავშირის შექმნით შესაძლებელი გახდა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული აღმავლობა, მათი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და, აქედან გამომდინარე, მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

საბჭოთა კავშირი შეიქმნა დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების როგორც სუვერენული სახელმწიფოების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად. ამით არ შეკვეცილა და არ შეზღუდულა თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და თავისუფალი განვითარება.

ეს იყო კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი, რომელმაც მსოფლიოს ჩაგრულ მასებს აჩვენა სხვადასხვა ერების მშრომელთა გაერთიანების გზა ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად, ერთ სახელმწიფოდ ნებაყოფლობისა და თანასწორობის საფუძველზე, ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამ გაერთიანების მიზანი იყო საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთდახმარების განხორციელება ეკონომიკური, პოლიტიკური და თავდაცვის ორგანიზაციის ხაზით და მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის კიდევ უფრო მეტად განმტკიცება.

---

[4] См. Траинин И. П. Вопросы суверенитета в советском союзном государстве. Журн. «Большевик», 1945, № 15, Левин И. Д. Суверенитет М., 1948 г., Чхиквадзе В. М., Государство, Демократия, Законность М., 1967 г. Дорогин В., Суверинитет в советском государственном праве М., 1948, Фарберов Н. П., О суверинитете союзных республик М., 1946, Шевцов В. С. Суверинитет советского государства М., 1972 г. и другие.

მოკავშირე რესპუბლიკა ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულია სსრ კავშირის შემადგენლობაში, იგი სრულყოფილი სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს თავისი კონსტიტუციით განსაზღვრულ საშინაო და საგარეო სახელმწიფოებრივ საკითხებს. აქ შენარჩუნებულია ძირითადი სალაპარაკო ენა, კულტურა, ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები და სხვა სპეციფიკური ნიშნები და თვისებანი[5], საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის 15 საბჭოთა სოციალისტური სუვერენული სახელმწიფო. თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა არსებითად განსხვავდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან თავისი ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, ეროვნული შემადგენლობით, მოსახლეობის სიმჭიდროვით და სხვა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მთელი რიგი სხვა ნიშნებითაც — ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტრუქტურით, მათი განვითარების სპეციფიურობით, თავიანთი ეროვნული კულტურით, ისტორიული წარსულით და სხვა. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა უფლებრივად თანასწორია.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს, გარდა განმასხვავებელი ნიშნებისა, აქვთ აგრეთვე მთელი რიგი საერთო დამახასიათებელი ნიშნები. პირველი ასეთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ყველა ისინი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოებია. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები — უმაღლესი საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. უმაღლესი საბჭო სახელმწიფო სუვერენიტეტის მატარებელია, იგი თავისი საქმიანობით გამოხატავს მოკავშირე რესპუბლიკის სპეციფიკურ ეროვნულ ინტერესებს და მოთხოვნებს, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობა ხორციელდება როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტების გამოცემის გზით. ეს კანონები გამოხატავენ მოცემულ რესპუბლიკაში მცხოვრები ხალხის ინტერესებს. მოკავშირე რესპუბლიკას აქვს აგრეთვე თავისი მთავრობა — მინისტრთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს მმართველობის უმაღლეს ორგანოს. მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილია უმაღლესი სასამართლო და რესპუბლიკის პროკურატურა ე. ი. მართლმსაჯულების და საბჭოთა კანონების ცხოვრებაში გატარების ზედამხედველი ორგანოები.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა არ არის ხელოვნური ტერიტორიალური წარმონაქმნი, როგორც, მაგალითად, ბურჟუაზიული ფედერაციების შემადგენელი ერთეულებია. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაცია შექმნილია როგორც იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ეროვნებათა თავისუფალი კავშირი.

სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკები სარგებლობენ სრული სუვერენული უფლებებით. ისინი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ სხვა ქვეყნებისაგან დამოუკიდებლად, თავიანთი ნებასურვილისამებრ და არ უშვებენ თავიანთ საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და საქმიანობის განხორციელებაში არცერთ სხვა სახელმწიფოს ჩარევას. სსრ კავშირში სუვერენიტეტის პრობლემა გადაჭრილია ისეთი წესით, რომ საკავ-

---

5 იხ. ვ. მერკვილაძე, „კომუნიზმის მშენებლობა და სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოება, თბილისი, 1963 წ. გვ. 11-12.

შირო სახელმწიფო და მოკავშირე რესპუბლიკები ერთდროულად გამოდიან სუვერენული უფლებების მატარებლად. საბჭოთა კავშირი ხელს უწყობს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების განმტკიცებას და გაფართოებას. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოა. იგი დაუბრკოლებლად ახორციელებს სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თვისებებს; უზენაესობას, შეუზღუდველობას და დამოუკიდებლობას. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ჰარმონიულ ურთიერთობაშია საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს სუვერენიტეტთან. მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი დაცულია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით. ეს პრინციპი პირველად სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით იქნა დადგენილი. იგი შემდგომში განამტკიცა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ, რომლის მე-15 მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სსრ კავშირი იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. სსრ კავშირი იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს ე. ი. მის სახელმწიფოებრიობას იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ შეიარაღებული თავდასხმის საფრთხისაგან, მათი დაზვერვის ორგანოების ძირგამომთხრელი საქმიანობისაგან, მოკავშირე რესპუბლიკების საშინაო თუ საგარეო საქმიანობაში მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციით, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით. იგი განმტკიცებულია აგრეთვე სსრ კავშირის სხვადასხვა კანონებით, სახელდობრ: კანონით „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ", რომელიც მიღებული იქნა 1938 წლის 19 აგვისტოს, კანონით, „მოკავშირე რესპუბლიკების სამართალწარმოების კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ" და სხვა კანონებით.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის განხორციელება არამარტო უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და საბჭოთა კავშირის კანონებით, არამედ იგი გარანტირებულიც არის. განვიხილოთ ასეთი გარანტიის ზოგიერთი ფაქტორი:

1. მოკავშირე რესპუბლიკათა რიცხვი 1922 წლიდან დღემდე 4-დან 15-მდე გაიზარდა. სსრ კავშირში მოკავშირე რესპუბლიკად შესვლა წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ნებაყოფლობითს აქტს, რომელიც შეიცავს სუვერენიტეტის შენარჩუნების კონსტიტუციურ ე. ი. სამართლებრივ გარანტიასაც, რაც იმით გამოიხატება, რომ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება კავშირიდან ნებაყოფლობითი გამოსვლის უფლება. სსრ კავშირის სუბიექტის ეს გარანტირებული უფლება განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-17 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ „თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს სსრ კავშირიდან თვისუფლად გასვლის უფლებას". აღსანიშნავია, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ეს უფლება არაა შეზღუდული არც ვადით და არც სხვა რაიმე პირობით, საკავშირო ხელისუფლება არაა უფლებამოსილი წინ აღუდგეს რესპუბლიკის ამ უფლების განხორციელებას. აღნიშნული კონსტიტუციური გარანტიის შეზღუდვა იქნებოდა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ნებაყოფლობითობის ლენინური პრინციპის დარღვევა.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუმცა ძნელი წარმოსადგენია რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ პრაქტიკულად მოისურვოს საკავშირო სახელმწიფოდან გასვლა და ისტორიულად განმტკიცებული ძმური კავშირის დარღვევა, — მიუხედავად ამისა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტით" (მუხლი 71) აღიარებულია ეს უფლება.

კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფლად გასვლის უფლების აღიარება და გარანტირება დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური ფედერაციისათვის. ბურჟუაზიული ფედერაციის სუბიექტები მოკლებულია ასეთ უფლებას, რადგან ბურჟუაზიული ფედერალიზმი ემყარება „ტერიტორიის განუყოფლობის" პრინციპს. მაგალითად, როცა 1843-47 წლებში, შვეიცარიის 22 კანტონიდან 7 გაერთიანდა ე. წ. ზონდერბუნდის სახით და დამოუკიდებლობა მოინდომა, ფედერალურთა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალებით ჩაახშო ეს მისწრაფება. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1861 წელს სამხრეთის პლანტატორებმა მხარი არ დაუჭირეს კანონს მონობის გაუქმების შესახებ, გამოეყვნენ ჩრდილოეთის შტატებს და შექმნეს სამხრეთი შტატების კავშირი. ამას მოყვა ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის სამოქალაქო ომი, რომელიც სამხრეთ შტატების დამარცხებით დამთავრდა. ასეთია ბურჟუაზიულ ფედერაციაში ურთიერთდამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის წევრებს შორის.

2. მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია ამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ და არ საჭიროებს დამტკიცებას სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მხრივ. მოკავშირე რესპუბლიკას დამოუკიდებლად შეაქვს შესწორებანი და დამატებანი თავის კონსტიტუციაში. სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის მე-16 მუხლში ნათქვამია, რომ „თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს და აგებულია ისე, რო მსავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას". ეს დებულება ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში (მუხლი 75). მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისობა სსრ კავშირის კონსტიტუციასთან სრულიად არ ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის შეზღუდვას, რადგან სსრ კავშირის კონსტიტუცია მიღებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით და სრულიად განსაზღვრავს იმ საერთო ინტერესებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებისათვის საბჭოთა რესპუბლიკებმა შექმნეს ერთიანი საკავშირო სახელმწიფო. გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკებს გააჩნიათ ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი, სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ხორციელდება მთელ კავშირში მუშათა და გლეხთა კლასების მიერ საბჭოთა ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობით და აქ საერთო მასშტაბით ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის სრული შესაბამისობა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან ნიშნავს იმას, რომ პრინციპები, რომლებიც ასახულია საკავშირო კონსტიტუციაში, თავიანთ გამოხატულებას პოულობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციებში.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია ამავე დროს ითვალისწინებს ამ რესპუბლიკის ეროვნულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ისტორიულ თავისებურებებს, რომელზეც აღმოცენდა სოციალისტური წესწყო-

ბილება. მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების თავისებურებათა შესწავლა ნათელყოფს მათს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

3. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის კონსტიტუციური გარანტირება გამოიხატება მისი საკანონმდებლო უფლებებითაც. ცნობილია, რომ სსრ კავშირის კანონები მოქმედებენ ერთნაირად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასეთი პრინციპი გამოხატავს და გულისხმობს სსრ კავშირის კანონების პრიორიტეტს მოკავშირე რესპუბლიკის კანონებთან შედარებით და გამომდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკის, როგორც სსრ კავშირის სუბიექტის უფლებრივი მდგომარეობიდან. მაგრამ ამასთან ერთად თვით მოკავშირე რესპუბლიკები სრულიად დამოუკიდებლად გამოსცემენ კანონებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მეტად ფართოა და იყოფა ორ დიდ ჯგუფად: პირველს განეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის ერთობლივი მოქმედების სფერო, ხოლო მეორე წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების განსაკუთრებულ კომპეტენციას. მოკავშირე რესპუბლიკისათვის საკითხთა ფართო წრის გადაწყვეტის უფლების მიცემა წარმოადგენს მისი სუვერენიტეტის განხორციელების გარანტიას.

საერთო საკავშირო კანონების პრიორიტეტი მოკავშირე რესპუბლიკის კანონებთან შედარებით არ არღვევს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, საერთო საკავშირო სახელმწიფო ხელისუფლებს თავის საკანონმდებლო უფლებებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, ე. ი. იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც თვით მოკავშირე რესპუბლიკათა შეთანხმებით გადაეცა საერთო საკავშირო სახელმწიფოს, და მეორე, თვით მოკავშირე რესპუბლიკა თავისი წარმომადგენლების საშუალებით იღებს მონაწილეობას საერთო-საკავშირო კანონების მიღებაში.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტით (მუხლი 111), საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ე. ი. საკავშირო კანონპროექტის შეტანის უფლება საკავშირო ორგანოებთან ერთად ეკუთვნის მოკავშირე რესპუბლიკებსაც მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის გარანტია კანონმდებლობის სფეროში გამოიხატება აგრეთვე იმით, რომ მას აქვს უფლება ჩაატაროს რეფერენდუმი, ე. ი. მოსახლეობის გამოკითხვის საშუალებით გადაწყვიტოს ესა თუ ის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხი. რეფერენდუმი ტარდება თვით მოკავშირე რესპუბლიკის ინიციატივით. ეს პრინციპი გამოხატავს მისი ხელისუფლების ორგანოს უზენაესობას კანონმდებლობის სფეროში.

4. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის შემდეგი კონსტიტუციური გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ მისი ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს ამ რესპუბლიკის თანხმობის გარეშე. ეს დებულება განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლით და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისი მუხლებით. ახალი კონსტიტუციის პროექტით მთლიანად შენარჩუნებულია მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის ამსახველი ეს დებულება, ამასთან კიდევ დამატებულია, რომ „მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების

ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა“ (მუხლი 77).

სახელმწიფო ტერიტორია — ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სივრცე. შესაბამისად ამისა, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არის სივრცე, რომელზეც ვრცელდება მისი სახელმწიფო ხელისუფლება. გარდა ამისა, იგი წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მატერიალურ საფუძველს. მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს თავისი ტერიტორიის საზღვრების შეცვლის შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკას აქვს საზღვრები, რომლებითაც იგი გამოყოფილია სხვა მოკავშირე რესპუბლიკისაგან და რომლებიც საბჭოთა კავშირისათვის შინაგანი საზღვრებია, საზღვრები, რომლებითაც იგი გამოყოფილია უცხო სახელმწიფოებისაგან, ე. ი. საბჭოთა კავშირისათვის საგარეო საზღვრები. ეს უკანასკნელნი დგინდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით საბჭოთა კავშირსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის.

ტერიტორიული უზენაესობა სახელმწიფოებრივი უზენაესობის შემადგენელი ნაწილია. მოკავშირე რესპუბლიკა თვითონ წყვეტს თავის ტერიტორიალური მოწყობის საკითხს, ე. ი. დაყოფას ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებად. იგი იყენებს მთელ თავის წიაღისეულ სიმდიდრეს სხვა რესპუბლიკებისა და მთელი კავშირის ინტერესების გათვალისწინებით. მოკავშრე რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობას იცავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური სამყარო და იმპერიალისტური ქვეყნების მხრივ თავდასხმის საფრთხე, ტერიტორიული მთლიანობის ეს გარანტია საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოს მნიშვნელოვან პრინციპად დარჩება.

5. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენობისა და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ თვითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი მოქალაქეობა. სსრ კავშირის კონსტიტუციის 21-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეთათვის წესდება ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა, მოკავშირე რესპუბლიკის თითოეული მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე“. იგივე დებულებაა გათვალისწინებული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციის პროექტითაც (მუხლი 33). პიროვნებისათვის საბჭოთა მოქალაქეობის მინიჭების საკითხში ერთნაირი უფლებები აქვთ როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს. სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი მოკავშირე რესპუბლიკის მიღების დროს ამ რესპუბლიკის მოქალაქენი ერთდროულად ხდებიან სსრ კავშირის მოქალაქეები.

6. საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შემდეგი კონსტიტუციური გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს უშუალო ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებანი, გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები და სხვა. ეს პრინციპი განმტკიცებულია სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მე-18-ა მუხლში, ახალი კონსტიტუციის პროექტის 79-ე მუხლში.

ამჟამად აღნიშნული უფლებით განსაკუთრებით აქტიურად სარგებლობს ორი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა: უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ.

ისინი გარკვეული სპეციფიკური მდგომარეობისა და ინტერესების გამო, რაც დაკავშირებულია დიდი სამამულო ომის მთელი სიძნელეების გადატანასთან, უშუალოდ მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების საქმიანობაში. უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებმა მონაწილეობა მიიღეს სან-ფრანცისკოს კონფერენციაში, სადაც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ხოლო აღნიშნული რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა რატიფიკაცია უყვეს ამ წესდებას, საჭიროების შემთხვევაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკას შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს უცხო სახელმწიფოებთან უშუალო ურთიერთობის უფლებით.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, რა თქმა უნდა, მთლიანად არ ამოწურავენ მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს და ამ უფლებების კონსტიტუციურ გარანტიებს, მაგრამ ისინი მაინც საკმაოდ ნათლად ახასიათებენ მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც ნებაყოფლობისა და თანასწორობის ლენინური პრინციპების საფუძველზე გაერთიანებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და არსებობის მთელი ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ თანამედროვე პერიოდში თითოეული საბჭოთა რესპუბლიკა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც თავისი ეროვნული შემოსავლით, ყველა სახის წარმოებული პროდუქციის რაოდენობით და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლოსალური განვითარების დონით მტკიცედ დგას ეკონომიკურად განვითარებული მოწინავე ქვეყნების გვერდით და ახლანდელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზით წარმატებით ავითარებს თავის ეროვნულ სახელმწიფოებრიობას და სუვერენიტეტს საბჭოთა ხალხისათვის კიდევ უფრო უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ხაზგასმულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი. ამასთან, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, კონსტიტუციის პროექტით არა მარტო შენარჩუნებულია რესპუბლიკების სუვერენული უფლებები, არამედ კიდევ უფრო გაფართოებულია. სახელდობრ, აღიარებულია საკავშირო ორგანოების მიერ სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში რესპუბლიკების მონაწილეობის უფლება.

მეორე მხრივ, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებისა და ერთა და ეროვნებათა დაახლოების პირობებში, ცხადია, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სახელმწიფო საკავშირო საწყისები. საერთოდ კი, „ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხების გადაწყვეტა პროექტში უზრუნველყოფს მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესებისა და მისი წარმომქმნელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას“[6].

---

6 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მაისის პლენუმზე. გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ივნისი.

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების თარიღისათვის

პროფ. ბ. ერემოვი

არც თუ დიდი ხნის წინათ იურიდიულ ლიტერატურაში არ იყო ერთიანი აზრი საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციის დამტკიცების თარიღზე. ასე, მაგალითად, 20-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფო სამართლის სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ საბჭოების პირველ ყრილობაზე[1]. ზოგიერთ სპეციალურ შრომაში და სახელმძღვანელოში კონსტიტუციის მიღების თარიღად ნაჩვენებია საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობა — 1922 წლის თებერვალი[2]. „საბჭოთა სახელმწიფო სამართლის" სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 1948 წელს, საბჭოთა საქართველოს ამ კონსტიტუციის მიღების თარიღად მიჩნეულია 1922 წლის 10 თებერვალი (გვ. 66), ხოლო გ. პ. ბარინოვის ნაშრომში „სსრ კავშირის კონსტიტუციის ძირითადი საკითხები", რომელიც გამოქვეყნდა 1948 წელს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის, ვხვდებით წინააღმდეგობას: 53 გვერდზე ნათქვამია, რომ საქრთველოს სსრ პირველი კონსტიტუცია მიღებული იქნა საქართველოს სსრ საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წელს, ხოლო 334 გვერდზე მითითებულია მეორე თარიღი — 1921 წლის მარტი. სხვადასხვა სახელმძღვანელოებში, კრებულებში და შრომებში საქართველოს სსრ საბჭოების მიერ საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების თარიღად დაბეჯითებითაა დასახელებული 1922 წლის 28 თებერვალი[3].

ქართველი ისტორიკოსები, ეხებიან რა თავიანთ ნაშრომებში როგორც წესი არ უთითებენ საქართველოს სსრ პირველ კონსტიტუციის დამტკიცების ზუსტ თარიღს და იფარგლებიან მხოლოდ იმის მოხსენიებით, რომ იგი მიღებულია 1922 წლის თებერვალში საქართველოს სსრ საბჭოების პირველ ყრილობაზე. რითი უნდა აიხსნას აზრთა ასეთი სხვადასხვაობა? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იყო დეტალური შესწავლის საგანი. გარდა ამისა, თვით კონსტიტუციის ტექსტში, რომელიც გამოქვეყნდა 1922 წელს ქართულ და რუსულ ენებზე მიღების თარიღი მითითებული არ არის. დაბოლოს, საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში არც თუ ისე ზუსტად არის

---

[1] См. К. Архипов, Очерк Конституции Советской Социалистической республики Грузии («Власть Советов», 1923, № 6—7, с. 33); И. Ананов, Заметки по современному государственному строю Закавказья («Советское право», 1925, № 2 (14), с. 113).

[2] См. «Советское государственное право», М., 1938, с. 100; А. И. Денисов, М. Г. Кириченко, Советское государственное право, М., 1953, с. 41. БСЭ, II изд. т. 13. с. 52—53 и др.

[3] См. «Первая Конституция Союза ССР. Сборник документов», под. ред. А. Я. Вышинского, 1949, с. 292; «История Советского государства и права» М., 1949 с. 538; «История советской конституции в документах», М., 1957 с. 8, 357.

შედგენილი. ასე, მაგალითად: ყრილობის მე-4 სხდომის თარიღი ბოლო მე-16 სხდომის ჩათვლით არ არის მითითებული.

იმ წლების დოკუმენტური მასალების ძირფესვიანი შესწავლით დავადგინეთ, რომ საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია მიღებული იქნა საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის 2 მარტს.

საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 25 თებერვალს, საღამოს 7 საათსა და 37 წუთზე და დაიხურა 3 მარტს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე. ამას მოწმობს გაზეთ „Правда Грузии"-ს ინფორმაცია. მასში ვკითხულობთ, რომ „3 მარტს, საღამოს, შედგა საბჭოების ყრილობის მე-10 ბოლო სხდომა... 8 სთ-ზე და 45 წუთზე. ამხ. მახარაძემ, წარმოთქვა რა საბოლოო სიტყვა, საბჭოების ყრილობა დახურულად გამოაცხადა"[4]. 1922 წლის 26 თებერვალს, მე-2 სხდომაზე ყრილობამ აირჩია საკონსტიტუციო კომისია: 1 მარტს, მე-6 სხდომაზე. ბ. კვირკველიამ გააკეთა მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

„1 მარტს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. კვირკველიას მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა მშენებლობის შესახებ" — წერს გაზ. „Правда Грузии" 1922 წლის 7 მარტს (№ 304)[5].

1922 წლის 2 მარტს ყრილობაზე დაიწყო კამათი კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ და იმავე დღეს, ე. ი. მე-7 სხდომაზე კონსტიტუცია დაამტკიცეს. მოხსენების ირგვლივ კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს. კონსტიტუციის დეტალური დამუშავებისა და რედაქტირებისათვის მისი პროექტი გადაეცა კომისიას[6]. ქართულ გაზეთში „ტრიბუნა", მოცემულია პირველი ყრილობის მე-7 სხდომის სრული ანგარიში, ამასთანავე ზუსტადაა მითითებული, რომ კონსტიტუციის პროექტი დამტკიცებული იქნა 1922 წლის 2 მარტს. ყრილობამ დაავალა საკონსტიტუციო კომისიას გაარჩიოს კონსტიტუცია მუხლების მიხედვით, შეასწოროს იგი და გამოაქვეყნოს კონსტიტუციის პროექტის ძირითადი პრინციპების დაურღვევლად[7].

ამ საკითხზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (1959 წ. № 9) ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია, ხოლო 1960 წელს — მონოგრაფია „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები", რომელშიც (დოკუმენტურად) არის დადგენილი საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის დამტკიცების თარიღი — 1922 წლის 2 მარტი. მართალია ხსენებული სტატიაც და მონოგრაფიაც გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, მაგრამ მათ თან ერთვის რეზიუმე რუსულ ენაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ახლად გამოვლენილი მასალა გაითვალისწინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა, რომელიც იმ დროს ამზადებდა გამოსაქვეყნებლად დოკუმენტების კრებულს „საბჭოების ყრილობები დოკუმენტებში 1917—1936 წლები" (ტ. II, 1959 წ.), სადაც საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის დამტკიცების თარიღად სამართლიანადაა მითითებული 1922 წლის 2 მარტი, (გვ. 432).

---

[4] «Правда Грузии» от 5 марта, 1922 г., № 303.

[5] ამასვე იტყობინება ქართული გაზეთი „ტრიბუნა" 1922 წ. 8 მარტს (№ 165).

[6] «Правда Грузии» от 7 марта 1922 г. № 304

[7] გაზეთი „ტრიბუნა" 1922 წლის 9 მარტი № 166.

მიუხედავად ამისა „საბჭოთა სახელმწიფო სამართლის“ ყველა შემდგომი სახელმძღვანელოების ავტორები იმეორებენ არასწორ თარიღს[8]. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში სახელმძღვანელოებისა და სხვა პუბლიკაციების ავტორები გაითვალისწინებენ ჩვენს ცნობას და აღარ გაიმეორებენ ძველ შეცდომას.

---

[8] См. «Государственное право СССР», под ред. С. С. Кравчука, М., 1967, с. 67; Я. Н. Уманский, Советское государственное право» М., 1970, с. 68; «Советское государственное право», под. ред. А. И. Лепешкина, М., 1971, с. 63; «Советское конституционное право», под. ред. С. И. Русиновой и В. А. Ряжина, Л. 1975, с. 71; «Энциклопедический словарь правовых знаний», М., 1965, с. 199; П. Азизбекова, А. Мнацаканян, М. Траскунов, Советская Россия и борьба за установление и упрочнение власти Советов в Закавказье, Баку, 1969, с. 255; В. В. Паркосадзе, Из истории создания и развития Советской государственности в Грузии («Советское государство и право», 1967, № 1, с. 84), и т. д.

მშობელთა უფლებების წარმოშობის საფუძვლების გაფართოების საკითხისათვის

ე. მისკარიანი

მოქმედი საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობით მშობელთა უფლებების წარმოშობის საფუძვლებად მიჩნეულია ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისაგან, ხოლო თუ მშობლები არ არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ან მამობა არ არის აღიარებული ნებაყოფლობით, მაშინ მისი დადგენა ხდება სასამართლო წესით.

მშობლების უფლებები შეიძლება წარმოიშვას შვილად აყვანის გზითაც. *უშვილო მეუღლეებს შვილად ხშირად აჰყავთ სხვისი ბავშვი. ეს კეთდება მაშინაც, როცა უშვილობის მიზეზია მხოლოდ ქმარი.*

მშობელთა უფლებების წარმოშობის ზემოჩამოთვლილი საფუძვლები შეიძლება გაფართოვდეს. ამის შესაძლებლობას იძლევა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა.

ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილად ითვლება, როცა მეუღლეებს სურთ იყოლიონ ბავშვი და დედას აქვს უნარი მისი დაბადებისა.

საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია) უკვე მეორე ათეული წელია პრაქტიკულად იყენებს ამ მეთოდს.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მეთოდის გამოყენებით 1960 წლის შემდეგ დაიბადა 150 ათასი ფიზიკურად და ფსიქიკურად სრულყოფილი ბავშვი. გარკვეული წარმატებებია მიღწეული სხვა ქვეყნებშიც. ამან განაპირობა ზოგიერთი იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ხელოვნურ განაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ამ მეთოდის აღმოჩენა უდავოდ ბიოლოგიისა და მედიცინის პროგრესია. მაგრამ როგორც ჩვენი დროის ბევრი სხვა საბუნებისმეტყველო აღმოჩენა, იგი ჩვენს წინაშე აყენებს მსოფლმხედველობით სოციალურ, მორალურ და სამართლებრივ პრობლემებს. მხოლოდ მათი საფუძვლიანი განხილვისა და გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ ბიოლოგიის ახალი მიღწევების სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვის შესახებ"[1]. ამასთან, ხელოვნური განაყოფიერების პრობლემას არ შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ სოციალური ან მხოლოდ მორალური. ეს არის სამართლებრივი პრობლემაც. სამართლებრივია იგი იმიტომ, რომ დედის მიერ ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით ბავშვის დაბადება მოითხოვს ბევრი საკითხის ნორმატიული წესით გადაწყვეტას.

ამ მხრივ საინტერესოა შემთხვევა, რომელიც ნიუ-იორკში მოხდა. თერა-

---

[1] Д-р Гарольд Весель, Власть над жизнью, статья из еженедельника «Вохенпост», ГДР, გადმობეჭდა ჟურნალმა «Наука и жизнь», 1967. გვ. 70.

პევტი მ. პრატინგი თანახმა იყო, რომ მის ცოლს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით ბავშვი გაეჩინა. დაბადების შემდეგ კი მან სასამართლოში განცხადება შეიტანა განქორწინების შესახებ. პრატინგმა თავის ცოლს ბრალად დასდო „ცოლქმრული ღალატი".

თხუთმეტი თვის განმავლობაში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები ცდილობდნენ მოეძებნათ კანონი, რომელიც მსგავს შემთხვევას აწესრიგებეს. ბოლოს სასამართლომ დაადგინა, რომ ხელოვნური განაყოფიერება არ მიიჩნევა ცოლქმრულ ღალატად ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით.

საწინააღმდეგო რამ მოხდა იტალიაში. მასწავლებელ ქალს კარლუ კაზაროტის, რომელმაც ასევე ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი გამოიყენება, სასამართლომ ოცი დღის პატიმრობა მიუსაჯა ცოლქმრული ერთგულების დარღვევისათვის[2].

როგორც ჩანს, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეები გაითვალისწინეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მათ დღის წესრიგში დასვეს საკითხი, რომ ამ მეთოდის გამოყენებას მიეცეს კანონიერი ფორმა[3].

ხელოვნური განაყოფიერების პრობლემისათვის იურიდიული შეფასების მიცემა ძნელია, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადაჭრას სრულიად ახალი პრობლემა, რომელშიც მთავარია მამის დამოკიდებულება ამ გზით დაბადებულ ბავშვთან.

სსრ კავშირში ეს პრობლემა არ მუშავდება. ორმოცდაათიან წლებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში პროფ. ი. ჟორდანიას წინადადებით სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი. ამის შემდეგ სამ ქალს დაებადა ბავშვები. ორი გოგონა და ვაჟი, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი და სრულფასოვანნი აღმოჩნდნენ. შემდგომში ამ მეთოდის გამოყენება შეჩერდა. ეს, შეიძლება, ერთი მხრივ იმით, აიხსნას, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არის კანონი, რომელიც იურიდიულად დაადასტურებდა — ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ადამიანი — კანონიერი შვილია თუ არა, და მეორეს მხრივ იქმნება იმის საფრთხე, რომ მამამ რამდენიმე ხნის შემდეგ რაიმე მიზეზით უარი არ თქვას ბავშვზე იმ საბაბით, რომ იგი მისი არ არის[4].

ხელოვნური განაყოფიერების საკითხი მოითხოვს იურიდიულ გადაწყვეტას, იმიტომაც, რომ თუ ამ მეთოდის გამოყენების ჩვენება თუ უკუჩვენება და შესრულების ტექნიკური მხარე მედიცინის სფეროს ეკუთვნის, სამაგიეროდ ამ გზით დაბადებული ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობა და სამედიცინო პერსონალის მოქმედების კანონიერება — უკვე სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება.

ამ პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში ქორწინების მიზანი ბავშვების დაბადება და აღზრდაა. საყურადღებოა, რომ ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის მონაცემებით რესპუბლიკა-

---

[2] Д-р Гарольд Весель, Власть над жизнью. статья из еженедельника «Вохен пост». ГДР, გადმობეჭდ. ჟურნალ «Наука и жизнь», 1967 г. გვ. 70.

[3] Тезисы научной конференции об искусственном оплодотворении и андрологии, ГДР. 1972 г. Берлин.

[4] В. Каджая, Бесплодие лечат, «Наука и жизнь», 1967, № 6 გვ. 68.

ში, რეგისტრირებული ქორწინების 20 პროცენტი უშვილო ქორწინებაა, ამათგან 36,7 პროცენტი მამაკაცის მიზეზით. რიგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი და ცოლი სავსებით ჯანმრთელია, ადგილი აქვს ე. წ. ბიოლოგიურ შეუთავსებლობას, რომელიც ასევე იწვევს უნაყოფობას.

ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვის აუცილებლობას ხსენებული ინსტიტუტის თანამშრომლები ასაბუთებენ მამაკაცთა უნაყოფობის მითითებული მაღალი პროცენტით. ასეთ შემთხვევაში, ამ საკითხის განხილვა სცილდება მედიცინის ფარგლებს, იქცევა სახელმწიფო პრობლემად და მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ პრობლემასთან როგორიცაა ხალხთმოსახლეობის ზრდა და სხვა („იზვესტია" 1964 წ. № 2 (14472). ხელოვნური განაყოფიერება საშუალებას იძლევა, ზოგიერთ შემთხვევებში შევინარჩუნოთ ოჯახი, თავიდან ავიცილოთ მისი დანგრევა ტრადიციული მიზეზით — უშვილობით და რიგ შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ ქალის ისეთი მოქმედება, რომელიც განიხილება განქორწინების ახალ დამოუკიდებელ საფუძვლად.

განსახილველი პრობლემის გადაწყვეტის დროს წარმოიშობა იურიდიული საკითხები. ვის მიმართ შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება; რა უარყოფითი და დადებითი ახლავს ამ მეთოდის გამოყენებას; წმინდა სამედიცინო მოვალეობების გარდა კიდევ რა მოვალეობა ეკისრება ექიმს, რა უფლებები წარმოეშობა ბავშვს მამის (დედის ქმრის) მიმართ; როგორი უნდა იყოს ბავშვის დამოკიდებულება მისი მშობლების მიმართ და ა. შ.

ჩვენი აზრით, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მამაკაცი მყარად არის დაავადებული უნაყოფობით და ორივე მეუღლე წერილობით გამოხატავს თავის სურვილს ამ გზით გააჩინონ ბავშვი; ექიმი, რომელიც შესაბამის პროცედურებს ჩაატარებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რიდით, ვალდებულია არ გაახმაუროს საიდუმლოება; პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტები სპეციალურად უნდა იქნეს დაცული სამკურნალო დაწესებულებაში და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების გარდა არავის უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს მათ.

სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ჩაატარებს ხელოვნური განაყოფიერების სათანადო პროცედურას, ვალდებულია შეამოწმოს ქალის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და რეკომენდაცია გაუწიოს ყოველმხრივად შემოწმებულ დონორს, დაახასიათოს მისი გარეგნული, ფიზიკური მონაცემები და გონებრივი შესაძლებლობები.

დონორი და მეუღლეები არ უნდა იცნობდნენ ერთმანეთს. შეიძლება საიდუმლოების დაცვის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს არა ერთი, არამედ ორი დონორის გამოყენება და ა. შ.

დონორის რაიმე პრეტენზიას ბავშვისა და ბავშვის მშობლების მიმართ, არ შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი. დედის ქმრის წერილობითი თანხმობა პროცედურის ჩატარებაზე, რასაც შედეგად ბავშვის დაბადება მოჰყვა, უნდა განვიხილოთ როგორც მისი ბავშვის მამად ცნობის საფუძველი. მართალია, ასეთ შემთხვევაში სისხლით, ბიოლოგიური ნათესაობა წარმოიშობა მხოლოდ დედასა და ბავშვს შორის, მაგრამ ბავშვის დაბადების ფაქტის რეგისტრაციის შემდეგ, როცა მამად ჩაიწერება დედის ქმარი, დედის ქმარსა და

ბავშვს შორის წარმოიშობა ისეთივე სამართლებრივი ურთიერთობა, როგორიც არსებობს მამასა და შვილს შორის.

ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვის დაბადების შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა უნდა განსხვავდებოდეს სხვა გზით წარმოშობილი ანალოგიური სამართლებრივი ურთიერთობისაგან მხოლოდ იმით, რომ ამ შემთხვევაში არსებული წესისაგან განსხვავებით, არ შეიძლება მამობა სადავო გახდეს.

ჩვენი აზრით, სამედიცინო პრაქტიკაში ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვით მშობელთა უფლებების წარმოშობის საფუძვლების გაფართოება საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ ასობით მეუღლის თხოვნა — ალმოვუჩინოთ ასეთი დახმარება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 188-ე მუხლების სრულყოფისათვის*

ა. ხონდაკინა,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა წარმოუდგენელია გამართული, ზუსტად მომუშავე სახელმწიფო აპარატის გარეშე.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობას, უპირველეს ამოცანად მიიჩნდა მისი განუწყვეტელი სრულყოფა. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის მოღვაწეობის ძირითადი პრინციპები; აღრიცხვა, კონტროლი, პირადი პასუხისმგებლობა, კადრების შერჩევა, აღზრდა და სხვ.

სახელმწიფო აპარატის მუშაობის ლენინური პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებას ისახავდა მიზნად საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა თანამდებობრივ დამნაშავეობას.

სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 24 ნოემბრის დეკრეტში — „სასამართლოების შესახებ“ — საშიშ დანაშაულთა რიცხვში, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ რევოლუციური ტრიბუნალების კომპეტენციას, მოხსენებულია ჩინოვნიკების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებაც.

თანამდებობრივი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ისახავდა მიზნად საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის 1918 წლის 8 ნოემბრის დადგენილება „კანონიერების ზუსტად დაცვის შესახებ“, აგრეთვე სხვა მრავალი დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა ახალი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობას ლენინური პრინციპების შესაბამისად.

საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა, რომ „სამართლის, კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შევურიგდებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდენ მათ. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას“[1].

ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე 1974 წლის 14 ივნისს ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სოციალისტური დემოკრატიის განვითარება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელ სრულყოფას. საჭიროა ყველგან ავამაღლოთ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა.

კანონიერების ყოველგვარი შესუსტება ხელშემწყობ ნიადაგს ჰქმნის სახალხო დოვლათის გატაცებისა და გაფუჭებისათვის, სოციალისტური საკუთრების განიავებისათვის.

---

* იბეჭდება საკითხის დასმის წესით.

1 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 103, თბილისი, 1971 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1970 წლის 18 მარტს მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად" სასამართლოს ორგანოების ამოცანების შესახებ", ხოლო 1973 წლის 30 მარტს კი დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში სასამართლოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ".

თანამდებობრივ დანაშაულებათა სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ და განზოგადებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა გააძლიერეს ამ კატეგორიის დნაშაულობებთან ბრძოლა. კონკრეტული საქმეების განხილვის დროს უფრო მეტი ყურადღება ექცევა დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გარკვევას. გაიზარდა სასამართლოების მიერ გამოტანილ კერძო განჩინებების რიცხვი, რომლებიც ითვალისწინებენ ღონისძიებათა შემუშავებას დანაშაულის პირობებისა და მიზეზების თავიდან ასაცილებლად. მეტი ყურადღება ექცევა იმ პირთა გამოვლენას, რომელთაც ბრალი მიუძღვის უყაირათობაში, მფლანგველობაში, სამსახურით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეული მოქალაქის კანონით დაცულ ინტერესებს.

ამავე დროს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოები ჯერ კიდევ უშვებენ ბევრ შეცდომებს, რაც ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის რედაქცია არასრულყოფილია.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა გულისხმობს, რომ თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილმა განზრახ მოქმედებამ ან უმოქმედობამ არსებითი ზიანი უნდა მიაყენოს სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

კანონის ეს მოთხოვნა პრაქტიკაში იმგვარად არის გაგებული, რომ საჭიროა მხოლოდ დადგინდეს —თანამდებობის პირის განზრახი მოქმედება ან უმოქმედობა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო იყო. მას არსებითი ზიანი მოჰყვა თუ არა, თუ მოჰყვა, რით გამოიხატა იგი, რა მოტივი ამოძრავებდა თანამდებობის პირს ჩაედინა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, წინასწარ გამოძიებაში და სამსჯავრო გამოძიების პროცესში უმეტესად არ ირკვევა.

ხშირად ისიც არ არის დაზუსტებული თუ რაში გამოიხატა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედება. ყველაფერ ამას შედეგად მოსდევს, რომ დანაშაული ბოლომდე არ არის გახსნილი, იჩქმალება უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, ან ასეთ დანაშაულში მონაწილეობა. უფრო ხშირად ეს ეხება თანამონაწილეობას ისეთ დანაშაულობებში, როგორიცაა თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება (საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლი ან 96[1] მუხლი), ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექსური პროდუქციის გამოშვება (საქართველოს სსრ სსკ 160 მუხლი), წამატება და გეგმის შესრულების ანგარიშგების სხვა დამახინჯება (საქართველოს სსრ სსკ 163[1] მუხლი).

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის თუ იგი ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი. ხშირად. პრაქტიკაში დანაშაული დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, მაშინ როდესაც ქმედობა ფაქტიურად ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ამაზე არაფერია ნათქვამი არც საბრალდებო დასკვნაში და არც განაჩენში, ე. ი. ქმედობა განხილულია როგორც უმოტივო განზრახი მოქმედება, რომელიც თანამდებობის ბოროტად გამოყენებად მხოლოდ იმიტომ არის მიჩნეული, რომ იგი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ არის ჩადენილი.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით უმეტესად დაკვალიფიცირებულია თანამდებობის ბოროტად გამოყენება თუ იგი ანგარებით არის ჩადენილი, ან თუ მას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა.

ხშირად ანგარება და სხვა პირადი მოტივი ერთად მოიხსენიება ერთი ქმედობისათვის, ისე, რომ არ არის გარკვეული რით გამოიხატა ანგარება ან სხვა რა პირადი მოტივი ამოძრავებდა თანამდებობის პირს.

სისტემატურობა, როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელი ნიშანი, პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება. ამ ნიშნით თანამდებობის ბოროტად გამოყენება უმეტესად დაკვალიფიცირებულია ანგარების მოტივთან ერთად.

სრულიად არ არის ერთგვაროვანი პრაქტიკა იმ ნაწილში, თუ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციის რომელი ნიშანი უნდა იყოს, რომ იგივე ქმედობა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ იგი ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან —თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.

საჭიროა თუ არა ამ მუხლის მეორე ნაწილით ქმედობის დაკვალიფიცირებისათვის ჯერ დადგინდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილისათვის აუცილებელი ნიშანი — არსებითი ზიანი?

ლოგიკურად თანამდებობის ბოროტად გამოყენება არის თანამდებობის პირის განზრახ მოქმედება ან უმოქმედობა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, როდესაც საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია იგივე ქმედობაზე, მაშინ აუცილებელი უნდა იყოს სწორედ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო განზრახ ქმედობა ან უმოქმედობა, რასაც არსებითი ზიანი მოჰყვა.

ეს განსაკუთრებით ეხება ქმედობის დაკვალიფიკაცირებას სისტემატურობის ნიშნით. რადგან თანამდებობის პირს სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო რამდენი მოქმედებაც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, თუ თვითეულ ამ ქმედობას არ მოყვა არსებითი ზიანი და ამდენად თუ განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა სახეზე არა გვაქვს არ გვექნება არც ამ დანაშაულის სისტემატურად ჩადენა, ანუ განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა.

როგორც ჩანს, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საჭიროა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლი იმგვარად

ჩამოყალიბდეს, რომ გამარტივდეს მისი პრაქტიკულად გამოყენება და თანამდებობის ბოროტად გამოყენების არცერთი ფაქტი არ დარჩეს უყურადღებოდ მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დანაშაულებრივი ქმედობის ფაბულა მუხლში არასრულყოფილად არის მოცემული.

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ კანონის არასრულყოფილობა კონკრეტული საქმეების განხილვის პროცესში გარკვეულად სწორდება. ბევრი სასამართლოს განაჩენების მიხედვით ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის აუცილებელი არ არის, რომ ამ ქმედობას მოჰყვეს არსებითი ზიანი. მართლაც, თავისთავად ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედობა ან უმოქმედობა საზოგადოებრივად იმდენად საშიში ქმედობაა, რომ მართებულია პირის სისხლის სამართლის წესით დასჯა ისეთ შემთხვევაშიც, როცა მას არსებითი ზიანი არ მოჰყოლია.

ამავე დროს შეუძლებელია კანონმდებელმა გაითვალისწინოს ყველა მოტივი, რომლითაც შეიძლება თანამდებობის პირი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განზრახ მოქმედებდეს, ამიტომ თუ არსებითი ზიანი მიყენებულია არც ანგარებით, არც სხვა პირადი მოტივით, არამედ სხვა მოტივით, რაც კანონში არ არის მითითებული, ასეთი ქმედობაც მხოლოდ არსებითი ზიანის მიყენების ნიშნით (რა თქმა უნდა — მოტივის დადგენით და მასზე საბრალდებო დასკვნაში და განაჩენში აუცილებელი მითითებით) უნდა ისჯებოდეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით.

საინტერესო სურათს იძლევა თანამდებობრივი დანაშაულებისათვის დასჯის პრაქტიკა.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიუხედავად სასჯელი სანქციის მაქსიმუმის ფარგლებში, უფრო სწორად კი, 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ეფარდებათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მიერაც ხელისუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა.

სხვა ნიშნით, ე. ი. ანგარების, სხვა პირადი მოტივის ან სისტემატურობის ნიშნით ქმედობის საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირებისას, მიუხედავად იმისა არის თუ არა არსებითი ზიანი ან თუ არის, მატერიალურია ის თუ მორალური, თუ განსაკუთრებით მძიმე შედეგი არ არის დამდგარი, სასჯელები ინიშნება I ნაწილის სანქციის ფარგლებში, ან არა უმეტეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხელისუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენების დანაშაულებათა კვალიფიკაციისა და ამ კატეგორიის საქმეებზე სასჯელების შეფარდების პრაქტიკა, აგრეთვე დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება მოითხოვს, რომ შემუშავდეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის უფრო სრულყოფილი რედაქცია. განსახილველად ვაყენებთ ამ მუხლის ასეთ რედაქციას:

„ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ე. ი. თანამდებობის პირის განზრახ მოქმედება ან უმოქმედობა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს,

ისჯება სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით გამასწორებელი სამუშაოებით ან ერთ წლამდე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად, ან თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი,

ისჯება შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით".

საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობა სასამართლოების პრაქტიკაში მეტ ნაწილად სწორად არის გაგებული და თვით ეს მუხლიც სწორად არის ჩამოყალიბებული. შენიშვნა გვაქვს მხოლოდ ამ მუხლის მეორე ნაწილის შინაარსის, სტილისტური მხარის მიმართ. სტილისტური გაუმართაობა ერთგვარ უხერხულობას ქმნის საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის მეორე ნაწილით ჩადენილი დანაშაულის ფაბულის ჩამოყალიბების დროს.

ეს ნაწილი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

„დაუდევრობა, ე. ი. თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს".

ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი „ისჯება იგივე ქმედობა, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა".

ამდენად, მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ დაუდევრობას შედეგად მოჰყვეს არსებითი ზიანი.

როდესაც იმავე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება იგივე ქმედობა, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, გამოდის, რომ ჯერ აუცილებლად უნდა იყოს არსებითი ზიანი, რათა მუხლის შემადგენლობა იყოს, და მერე— განსაკუთრებით მძიმე შედეგიც.

საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლი ასეთი ფორმულირება გარკვეულ გაუგებრობას ქმნის — პრაქტიკაში ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს ისე აყალიბებენ, რომ მიუთითებენ არსებითი ზიანის მიყენებაზე, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, ან საერთოდ არ მიუთითებენ დაუდევრობას რა შედეგი მოჰყვა — არსებითი ზიანი თუ განსაკუთრებით მძიმე შედეგი. კმაყოფილდებიან მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედობის აღწერით, არ აფასებენ მას იურიდიულად.

უკეთესი იქნებოდა საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის ასეთი სახით ჩამოყალიბება:

„დაუდევრობა, ე. ი. თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, თუ ამან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს,

ისჯება ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ამავე ვადით გამასწორებელი სამუშაოებით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

დაუდევრობა, თუ მას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ერთ წლამდე ვადით გამასწორებელი სამუშაოებით".

სახელმწიფო არბიტრაჟებში სამეურნეო დავების განხილვის ახალი წესები

ვ. მაისურაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა 1976 წლის 30 დეკემბრის № 36 დადგენილებით დაამტკიცა სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავების განხილვის ახალი წესები.

ახალი წესები ძალაში შედიან 1977 წლის 1 ივლისიდან. ეს არის მესამე წესები, რომლებიც აწესრიგებენ სოციალისტურ ორგანიზაციათა საქმიანობის პრაქტიკაში წარმოშობილ სამეურნეო დავების განხილვისა და გადაწყვეტის საკითხებს.

პირველი წესები გამოიცა 1934 წლის 10 აგვისტოს, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილების შესაბამისად და ეწოდებოდა „არბიტრაჟის ორგანოების მიერ სამეურნეო დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესები“.

შემდგომში მიღებული ნორმატიული აქტებით ფართოვდებოდა და იცვლებოდა სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენცია. სახელმწიფო არბიტრაჟის 1931 წელს დამტკიცებული დებულება მოძველდა და ვერ უზრუნველყოფდა წარმოებისა და მშენებლობის მმართველობის თანამედროვე პირობებში სამეურნეო დავების სათანადოდ განხილვას. აუცილებელი გახდა არბიტრაჟის მთელი საქმიანობის გარდაქმნა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1959 წლის 23 ივლისს მიიღო დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, ხოლო თავისი 1960 წლის 17 აგვისტოს № 892 დადგენილებით დაამტკიცა ახალი „დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“. ახალი დებულებები მიღებული იქნა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულება“ დამტკიცდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ 1960 წლის 18 ნოემბრის № 793 დადგენილებით.

1960 წლის 17 აგვისტოს დებულების მე-5 მუხლით სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს ევალებოდა გამოეცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით წესები სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის შესახებ. ამის შესაბამისად შემუშავდა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებული „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები“, რომელიც დამტკიცდა 1963 წლის 1 ივლისს № 4 დადგენილებით და მოქმედებდა უკანასკნელ დრომდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 7 აგვისტოს მიიღო № 646 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო არბიტრაჟის და სამინისტროებისა და უწყებების არბიტრაჟის როლის ამაღლების შესახებ“, ხოლო 1974 წლის 17 იანვარს № 60 დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“,

რომლითაც სსრ კავშირის არბიტრაჟი გარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ. ამავე დადგენილებით დამტკიცდა ამჟამად მოქმედი დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. ანალოგიური დადგენილება მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომელმაც 1974 წლის 14 მაისს № 234 დადგენილებით დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელმაც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე ამოცანად დასახა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, საჭირო გახდა შემუშავებულიყო ახალი წესები სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავების განხილვის შესახებ.

1977 წლის 1 ივლისიდან საბჭოთა კავშირის ყველა სახელმწიფო არბიტრაჟი ახალი წესებით დაიწყებს მუშაობას.

წესების მიზანია მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად, მიღწეულ იქნას სამეურნეო დავების სწორად და დროულად გადაწყვეტა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სამეურნეო ანგარიშსწორების განმტკიცება, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვა.

წესების გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო ურთიერთობაში სამართალდარღვევის თავიდან აცილებას, სამეურნეო დავის წარმოშობის მიზეზებისა და პირობების გამოვლინებასა და აღმოფხვრას, აქტიური ზემოქმედება მოახდინოს საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, რათა მათ დაიცვან სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო და სხვა ვალდებულებათა შესრულების დროს. წესებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობაში სამეურნეო დავის გადაწყვეტისას კანონიერების შემდგომი განმტკიცება.

ახალ წესებში შენარჩუნებულია ზოგიერთი ადრინდელი ნორმა, რომელიც გამართლებულია პრაქტიკით და დღესაც უპასუხებს სახელმწიფო არბიტრაჟის ამოცანებს, მაგრამ ამასთან ერთად შეტანილია ბევრი პრინციპულად ახალი პუნქტებიც.

სახელმწიფო არბიტრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამეურნეო დავების სწორად და დროულად გადაწყვეტისათვის, ამ წესების მკაცრი დაცვა (პ. 6).

ახალი წესებით სასარჩელო განცხადების მიღება და განსახილველად დანიშვნა ფორმდება განჩინებით, რომელიც ეგზავნებათ მხარეებს, შემოსვლის დღიდან არაუმეტეს სამი დღის ვადაში.

წესების შესაბამის პუნქტში (პ. 77) ზუსტადაა მითითებული თუ რა მონაცემები უნდა იყოს შეტანილი სახელმწიფო არბიტრაჟის ამ განჩინებაში.

წესებში ყურადღება აქცენტირებულია მოსასმენად საქმის წინასწარი მომზადების სტადიისადმი. ამ ნორმამ უნდა უზრუნველყოს საქმისათვის ყველა საჭირო მონაცემების შეკრება და დავის ყველა გარემოების გამორკვევა, რათა სახელმწიფო არბიტრმა პირველსავე სხდომაზე გამოიტანოს საქმის მასალების შესაბამისი კანონიერი გადაწყვეტილება. ამით უზრუნველყოფილ იქნება დავის გადაწყვეტის სისწორე და ოპერატიულობა. ამის შესრულებაში დიდია როლი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების იურიდიული სამსახუ-

რის მუშაკებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან ხარისხიანად, წესების მოთხოვნის შესაბამისად გააფორმონ სასარჩელო განცხადებები, დაურთონ მას სასარჩელო მოთხოვნათა დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი, ვადებში და ზუსტად შეასრულონ არბიტრის მოთხოვნა საჭირო საბუთების წარმოდგენის შესახებ.

საჭიროა სამინისტროებმა, უწყებებმა დროულად გააცნონ თავიანთი სისტემის ორგანიზაციებს ახალი წესები, განახორციელონ ღონისძიებანი მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

წესებში დაწვრილებით არის განხილული სასარჩელო განცხადების შინაარსი. შეცვლილია მათი მიღების წესი. თუ ადრინდელი წესებით სასარჩელო განცხადება, რომელზედაც არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ან გადახდილი იყო ნაკლები ოდენობით, ვიდრე გათვალისწინებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციით, აგრეთვე თუ სასარჩელო განცხადებას არ ერთოდა მტკიცება მისი ასლის მეორე მხარისათვის გადაგზავნის შესახებ, სახელმწიფო არბიტრაჟი სასარჩელო განცხადებას ტოვებდა უმოძრაოდ, რის შესახებაც ატყობინებდა მაძიებელს და აძლევდა ვადას ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად. ახალი წესებით ასეთი ნაკლოვანებები, სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, რაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი 68-ე პუნქტში, წარმოადგენს საფუძველს, რათა ორგანიზაციას უარი ეთქვას სასარჩელო განცხადების მიღებაზე. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ დავათა გამო, რაც წარმოიშვება ხელშეკრულების დადების დროს. იგი შეიძლება მიღებული იქნეს არბიტრაჟის მიერ წარმოებაში (ყველა სხვა მოთხოვნის დაცვის შემდეგ), იმ შემთხვევაშიც, თუ მაძიებელს სასარჩელო განცხადების შემოტანის დროს არ ექნება წარმოდგენილი სათანადოდ გაფორმებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ახალი წესი არბიტრებს არ აძლევს უფლებას დამატებითი მასალების წარმოდგენისას შეიტანოს ცვლილებები ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასა ან განჩინებაში. გამონაკლისი დაშვებულია თუ გადაწყვეტილება გადაისინჯება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და ადრე არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო განმცხადებლისათვის. ასეთი გადასინჯვა შეიძლება მოხდეს ახალი გარემოების აღმოჩენიდან ერთი თვის ვადაში (ბ. 107).

სახელმწიფო არბიტრს მხარის განცხადებით, რომელიც შემოტანილი უნდა იყოს გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში, ან საკუთარი ინიციატივით უფლება აქვს შეასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული კალმის შეცდომა ან არითმეტიკული შეცდომა, ოღონდ, არ უნდა შეეხოს გადაწყვეტილების არსს, აგრეთვე შეუძლია მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება საქმის წარმოების ხარჯების გადანაწილების შესახებ, თუ ეს საკითხი გადაუწყვეტი დარჩა სახელმწიფო არბიტრს.

თუ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარისათვის გაუგებარია, სახელმწიფო არბიტრს უფლება აქვს განმარტოს გადაწყვეტილება, მაგრამ არ უნდა შეცვალოს მისი შინაარსი (ბ. 106).

ახალ წესებში მკაცრადაა რეგლამენტირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი ცენტრალური ზედამხედველობის პირობებში. მითითებულია, რომ სამეურნეო დავებზე სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების სისწორეს მხარეთა განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით ამოწმებს სახელმწიფო არ-

ბიტრაჟის მთავარი არბიტრი ან მთავარი არბიტრის მოადგილე, რომელსაც ექ-
ვემდებარება ეს დავა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში მთავარი არბიტრე-
ბისა და მთავარ არბიტრთა მოადგილეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილების
გადასინჯვას ზედამხედველობის წესით ახორციელებენ სახელმწიფო არბიტ-
რაჟის ზემდგომი ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული
სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინის-
ტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შესაბა-
მისად.

ზედამხედველობის წესით გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე განცხა-
დების შეტანა არ დაიშვება, თუ სადავო თანხა (სამეურნეო დავებზე) 500 მა-
ნეთზე ნაკლებია.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს ან გა-
უქმდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტებს ან არ
შეესაბამება ფაქტიურ გარემოებასა და საქმის მასალებს.

სპეციალური განყოფილება XV მიძღვნილია იმ ნორმებისადმი, რომლები-
თაც რეგლამენტირებულია სახელმწიფო არბიტრაჟისადმი დაკისრებული ამო-
ცანების განხორციელება სამეურნეო ურთიერთობაში დადგენილი დარღვევე-
ბის თავიდან ასაცილებლად.

დავის განხილვის დროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულე-
ბების სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებული სოციალისტური კანონიერების
დარღვევისა და არსებითი ნაკლოვანების შესახებ შეტყობინება გაეგზავნება
მათ ხელმძღვანელს, ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორ-
განიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად. ასევე მოწესრიგებულია პროკუ-
რატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის შეტყობინების გაგზავნის
წესი და ვადები.

წესებში გათვალისწინებულია სახელმწიფო არბიტრაჟის ვალდებულება
სისტემატურად განახორციელოს კონტროლი გაგზავნილი შეტყობინებისადმი,
გაანალიზოს მიღებული პასუხები, მიაღწიოს საწარმოს, ორგანიზაციისა და და-
წესებულებაში გამოვლინებულ სოციალისტური კანონიერების დარღვევის და
სამეურნეო საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. გათვალისწინებულია
აგრეთვე, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი უნდა ანზოგადებდეს სამეურნეო კა-
ნონმდებლობის პრაქტიკის გამოყენებას.

სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავების განხილვის ახალი წესების
განუხრელად შესრულება კიდევ უფრო ამაღლებს სახელმწიფო არბიტრაჟის
მუშაობის ხარისხს, მისი საქმიანობის ეფექტურობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საკონსტიტუციო
კომისიის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაი-
სის პლენუმზე მოხსენებაში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ იმ ორ-
განოებს შორის, რომელთაც ევალებათ მტკიცედ დაიცვან საბჭოთა კანონების
მოთხოვნები დაასახელა სახელმწიფო არბიტრაჟიც.

ეს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ავალებს ზუსტად იხელმძღვანე-
ნელონ სამეურნეო დავების განხილვის ახალი წესებით, უზრუნველყონ მათი
ცხოვრებაში განხორციელება, ყოველმხრივ განამტკიცონ სახელმეკრულებო
დისციპლინა. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადო-
ებრივი საწარმოების ორგანიზაციების და დაწესებულებების სამეურნეო საქ-
მიანობის გაუმჯობესებას.

ავამაღლოთ საინფორმაციო-ანალიზური მუშაობის დონე

კ. ნარმანია,
საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის მრჩეველი

სამართალდარღვევებისა და მათ ხელშემწყობ გარემოებათა წინააღმდეგ ბრძოლა დიდადაა დამოკიდებული პროკურატურის ორგანოების საქმიანობის კარგ ორგანიზაციაზე, მართლწესრიგის, კანონიერებისა და საპროკურორო ზედამხედველობის ღრმა ცოდნაზე. ეს კი შესაძლოა მხოლოდ საინფორმაციო-ანალიტური საქმიანობის ყოველმხრივი გაუმჯობესებითა და სრულყოფით, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის მონაცემების სისტემატური ანალიზის მეშვეობით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სტატისტიკა საკვლევი სოციალური მოვლენებისა და პროცესების შეცნობის იარაღია. ამ იარაღის საქმის ცოდნით გამოყენება პროკურატურის ორგანოებს ეხმარება შეისწავლონ რესპუბლიკაში, ქალაქებსა თუ რაიონებში დამნაშავეობის მდგომარეობა.

ამას წინათ, რესპუბლიკის პროკურატურამ შეისწავლა და განაზოგადა პროკურატურის ორგანოებში სტატისტიკური ანგარიშების შედგენისა და მათი ანალიზის პრაქტიკა. განზოგადებამ გვიჩვენა, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმატებას აღწევენ იმ ქალაქებისა და რაიონების პროკურატურები, სადაც სისტემატურად სწავლობენ დამნაშავეობას, მის ხელშემწყობ გარემოებებს და ახორციელებენ ქმედით პრაქტიკულ ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ბევრი პროკურორი ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებს ანალიზის მნიშვნელობას. იმის გამო, რომ იგი უსისტემოდ ტარდება, მთელი რიგი აქტუალური საკითხები შეუსწავლელი რჩება, ანალიზები არ იძლევიან მართლწესრიგის, კანონიერებისა და საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის სრულ სურათს. არასაკმაო ყურადღება ექცევა სამართალდარღვევათა ხელშემწყობი გარემოებების გამოვლენას. ამის გამო პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები ვერ განსაზღვრავენ თავიანთი საქმიანობის ოპტიმალურ ვარიანტს, ვერ სახავენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა სრულყოფის და გაუმჯობესების ეფექტურ ღონისძიებებს. სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს აგრეთვე საინფორმაციო წერილებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კანონიერების დაცვის მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც ქალაქებისა და რაიონების პროკურორები წლისა თუ ექვსი თვის შედეგებზე გზავნიან რესპუბლიკის პროკურატურაში ან შეაქვთ ადგილობრივ, ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში (ორჯონიკიძის, ლენინგორის, ხაშურის, ლანჩხუთის, თეთრი წყაროს, ყვარლის და რიგი სხვა რაიპროკურატურები).

ამითაც აიხსნება ის, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოების დაქაბული მუშაობისა, რიგ ქალაქებსა და რაიონებში არ შეინიშნება დამნაშავე-

ობის შემცირების ტენდენცია (აფხაზეთის ასსრ, ქალაქები ჭიათურა, ფოთი, მარ-ნეულის, წითელწყაროს და სხვა რაიონები).

დამნაშავეობის სტატისტიკური ანალიზი და მისი მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი. პროკურატურის ორგანოების მიერ დამნაშავეობის შესწავლის მიზანია იმ მონაცემების მიღება, რომლებიც საშუალებას იძლევიან შემუშავდეს დამნა-შავეობასთან ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებანი. ეს კი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ანალიტური მუშაობა სწორადაა ორგანიზებული და მას სა-ფუძვლად უდევს მეცნიერული, რეკომენდებული მეთოდები.

მხოლოდ ბოლო ხანს გამოსწორდა ის არსებითი ხასიათის ნაკლი, რასაც ადგილი ჰქონდა პროკურატურის ორგანოების ანალიტურ საქმიანობაში — ეს იყო დამნაშავეობის მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების არასწორი მეთო-დების გამოყენება. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეობის, მისი სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი ეწარმოებინათ სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურორები მექანიკურად იღებდნენ შინაგან საქმეთა ორგანო-ნოების მონაცემებს რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ ფორმა № 1-ის მიხედვით და მასში მოცემულ საუწყებო ტერმინოლოგიას.

დამნაშავეობის მდგომარეობის ანალიზის სქემის შესახებ სსრ კავშირის პროკურატურის 1975 წლის 26 აგვისტოს მითითების შესაბამისად დადგენილი იქნა, რომ დამნაშავეობა როცა განიხილება მთლიანად, უნდა გამოვდიოდეთ რე-გისტრირებული დანაშაულის საერთო რიცხვიდან და მისგან გამოვყოთ დანა-შაულობათა სამი ჯგუფი: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მცირემნიშვნელოვანი. მძი-მეს მიეკუთვნებიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 8[1] მუხ-ლში აღნიშნული დანაშაულობანი, მცირემნიშვნელოვანს, რომლებზეც კანონი ითვალისწინებს სასჯელს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და ნაკლებად მძიმეს — ყველა დანარჩენი.

რეკომენდებული სქემის მიხედვით გამოიყოფა დანაშაულობათა შემდეგი სახეები:

1. განზრახ მკვლელობა და მცდელობა, 2. განზრახ სხეულის დაზიანება, 3. გაუპატიურება და მცდელობა, 4. ყაჩაღური თავდასხმა (ყველა), 5. ძარცვები (ყველა), 6. მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, 7. ხულიგნობა, 8. ავტომო-ტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, 9. სახელმწი-ფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება (ყველა გარდა წვრილმანისა), 10. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება.

როგორც სსრ კავშირის პროკურატურის მითითებაშია ნათქვამი, დანაშაუ-ლობათა ეს ჩამოთვლა დამოუკიდებელ ჯგუფს არ ქმნის, ცალკე შეჯამებას არ ექვემდებარება და შეიძლება გაფართოებულ იქნას დამნაშავეობის კონკრე-ტული მდგომარეობისა და ანალიზის პრაქტიკული საჭიროების მიხედვით, მაგ-რამ არის კონკრეტულ დანაშაულობათა აუცილებელი მინიმუმი, რომელიც გან-ხილულ უნდა იქნას ასეთი ანალიზის ყველა შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეობის ანალიზის ეს სქემა პროკურატუ-რის ადგილობრივ ორგანოებში დაშვებულ იქნა 1975 წლის ოქტომბერში, 1975 წლისა და 1976 წლის I ნახევრის შედეგების ანალიზი სიღნაღის, ზესტაფონის, გეგეჭკორის და ზოგიერთმა სხვა რაიპროკურორებმა კვლავ ძველი მეთოდით აწარმოეს.

რა მასშტაბითაც არ უნდა ხდებოდეს დამნაშავეობის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მივმართოთ სისხლის სამართლის სტატისტიკას და მოვახდინოთ მისი ანალიზი.

სტატისტიკური ანალიზი გვაძლევს დამნაშავეობის თვისობრივ დახასიათებას. ეს არის დამნაშავეობის შესწავლის სტატისტიკური მეთოდი. მასში იგულისხმება წესები და ხერხები, რომელთა მეშვეობით სწარმოებს სტატისტიკური ინფორმაციების შეკრება-დამუშავება.

სტატისტიკურ ინფორმაციას უწოდებენ დამნაშავეობის შესახებ სახელმწიფოებრივი სტატისტიკის მონაცემებს. იგი დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი სახეა.

ანალიტური საქმიანობის საბოლოო მიზნის მისაღწევად გადამწყვეტია სტატისტიკური მონაცემების უტყუარობისა და სისრულის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ საგამოძიებო-საპროკურორო მუშაობის პირველადი ოპერატიული აღრიცხვის კარგი ორგანიზაციის პირობებში, სტატისტიკური აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების დროულად და სრულად შედგენის უზრუნველყოფის შედეგად.

რესპუბლიკის პროკურატურის სტატისტიკის განყოფილებამ შეამოწმა ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებში პირველადი ოპერატული აღრიცხვის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ზოგიერთ პროკურატურაში ეს მუშაობ სრულიად ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს, არადამაკმაყოფილებელია საალრიცხვო დისციპლინა, ხშირად ირღვევა ინსტრუქციის — „დამნაშავეობის ერთიანი აღრიცხვის შესახებ“ — მოთხოვნები, სტატისტიკური ანგარიშგების დოკუმენტები არ არის სრულყოფილი, სწორად არ ასახავს დამნაშავეობის ფაქტობრივ მდგომარეობას. ასეთი მონაცემების მიხედვით გაკეთებული ანალიზები კი, ცხადია, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს.

ქალაქებისა და რაიონების პროკურატურებში სტატისტიკური აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა საგამოძიებო და საპროკურორო მუშაობის პირველადი აღრიცხვის რვა სახის ჟურნალი, რომლებიც სტამბური წესით გამრავლდა და დაეგზავნა პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს.

ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს ევალებათ ზედამხედველობა, რომ არცერთი დანაშაული, რომელიც ცნობილი გახდა, არ დარჩეს რეგისტრაციაში გაუტარებელი და რომ ანგარიშგებაში არ იქნას დამახინჯებული დამნაშავეობის ნამდვილი მდგომარეობა. ასე რომ, მათ ეკუთვნით მთავარი როლი საალრიცხვო მონაცემების სისრულისა და უტყუარობის უზრუნველყოფაში.

ქალაქებსა და რაიონებში დამნაშავეობის შესახებ სწორი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის და სასამართლო ორგანოები დამნაშავეობასთან ბრძოლის შედეგების შეჯამებისას არ შემოიფარგლონ საუწყებო სტატისტიკის ანალიზით. დამნაშავეობის სრული და ყოველმხრივი დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ ამ ორგანოთა სტატისტიკური მონაცემების გაერთიანებისა და ურთიერთ შედარება-შეჯამების გზით. აუცილებელია დამნაშავეობის მდგომარეობის არა უწყებრივი არამედ ერთიანი, სახელმწიფო შეფასება. მისი უზრუნველყოფა შეიძლება მარტოოდენ ზემოთ დასახელებული ორგანოების ამ საქმიანობის კო-

ორდინაციის პირობებში, რათა დამნაშავეობის შესწავლის შედეგად ღონისძიებებს იმუშავებდნენ ერთობლივად. ამას ის უპირატესობა აქვს, რომ ნაკლები დროის დახარჯვით შესაძლო ხდება დამნაშავეობის, მისი ყველა შემადგენელი ნაწილის უფრო ღრმად შესწავლა, უფრო მიზანსწრაფული და ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, მუშაობაში პარალელიზმის აღმოფხვრა.

ერთობლივი შესწავლის ორგანიზატორი პროკურორი უნდა იყოს, რომელიც უფლებამოსილია გამოითხოვოს ყველა საჭირო მასალა. უწყებრივი შესწავლა-განზოგადება მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთი საკითხებისა, რომლებიც გამოკვეთილად პროკურატურის შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში შედიან.

როგორც ზემოთ ითქვა, სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია ამ მუშაობაში სწორი მეთოდების დანერგვა, აღრიცხვიანობის ერთეულების მეცნიერული ანალიზი.

სსრ კავშირის პროკურატურამ 1961 წელს შემოიღო, 1966 წელს კი სრულყო დანაშაულობათა და დამნაშავეთა ერთიანი აღრიცხვა. ამ აღრიცხვის მიხედვით სისხლის სამართლის სტატისტიკაში ძირითადად გამოიყენება ორი ერთეული: დანაშაული და დამნაშავე. სწორად არ იქცევიან ის პროკურორები, რომლებიც დამნაშავეობის ანალიზს აკეთებენ მხოლოდ დანაშაულობათა რაოდენობის მიხედვით. სრულ სურათს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როცა გავაანალიზებთ სტატისტიკურ მონაცემებს, როგორც დანაშაულობებზე, ისე მათ ჩამდენ პირთა შესახებ.

დამნაშავეობის შესწავლის ამოსავალი პუნქტია მისი დინამიკის ანალიზი, რაც უნდა გაკეთდეს დამნაშავეობის საერთო მდგომარეობის, რეგისტრირებული დანაშაულობებისა და მათ ჩამდენ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ. დამნაშავეობის დინამიკის ანალიზით შეიძლება აიხსნას მასში მომხდარი ცვლილებების ხასიათი (ზრდა, მატება), დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორების უმრავლესობა დინამიკის ანალიზის დროს უფრო ხშირად ერთმანეთს უდარებს კვარტალის, ნახევარი წლის და წლის მონაცემებს, რაც არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. მხოლოდ ორი, და ისიც ასე მოკლე პერიოდების (კვარტალი და ნახევარი წელი) შედარებით არ შეიძლება დადგინდეს დამნაშავეობაში ცვლილებების მყარი ტენდენციები.

ასე რომ, დინამიკის ანალიზისას მიზანშეწონილია მონაცემების ურთიერთშედარება, უფრო ხანგრძლივი დროისათვის (3, 5, 10 წელი და მეტიც); უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო დიდ პერიოდს ვუკეთებთ ანალიზს, მით უფრო სარწმუნოა გაკეთებული დასკვნები, ქმედითია შესაბამისად შემუშავებული ღონისძიებანი.

სწორი დასკვნების მისაღებად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გასაანალიზებელ პერიოდში მომხდარი ცვლილებები, როგორც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში, ასევე მოქმედ კანონმდებლობაში. ამასთან ერთად აუცილებელია, ახსნილ იქნას, თუ სახელდობრ, რომელ დანაშაულობათა ანგარიშზე მოხდა ცვლილებები დინამიკაში.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ საერთოდ უარი ვთქვათ კვარტალურ და ნახევარწლიურ ანალიზებზე და განზოგადოებებზე. გარკვეულ შემთხვევებში

ოსინი აუცილებელია, რამდენადაც შესაძლებლობას გვაძლევენ სწრაფად შევიტანოთ საჭირო კორექტივები დასახულ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში.

თუ რეგისტრირებულ დანაშაულობათა და მათი ჩამდენი პირების რაოდენობა სისტემატურად მცირდება, დასკვნა გარკვეულია — სახეზეა დამნაშავეობის შემცირების ტენდენცია. მაგრამ თუ დინამიკა მერყეევია, მაშინ დასკვნები დამნაშავეობის შესახებ უნდა გაკეთდეს დანაშაულობათა ცალკეული სახეების დინამიკის გათვალისწინებით.

ცალკეულ დანაშაულებრივ ხელყოფათა დინიმაკის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ რომელი დანაშაულის წინააღმდეგ უნდა მოხდეს ძალების მობილიზაცია ამა თუ იმ პერიოდში. დამნაშავეობის მდგომარეობის შეფასება უფრო ზუსტი იქნება, თუ დავადგენთ მის ინტენსივობას ანუ კოეფიციენტს, ე. ი. თუ რამდენი დანაშაული მოდის ყოველ 10.000 მოსახლეზე.

დამნაშავეობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება დანაშაულობათა (ან დამნაშავეთა) რაოდენობის გაყოფით მოსახლეობის რაოდენობაზე.

მაგალითად N რაიონში 1975 წელს რეგისტრირებულია 391 სისხლის სამართლის დანაშაული, მოსახლეობა კი შეადგენს 91 ათასს. რამდენი იქნება დამნაშავეობის კოეფიციენტი? გაანგარიშება უნდა ვაწარმოოთ ასეთი ფორმულით

კ $1000 = \frac{1000\,П}{N}$. П დანაშაულობათა რაოდენობაა, N—მოსახლეობის რიცხვი. ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს: $\frac{10000}{91000} = 43.$ ე. ი. N რაიონისათვის დამნაშავეობის კოეფიციენტი ყოველ 10.000 მოსახლეზე 1975 წელს იქნა 42.

პრაქტიკაში დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა მოსახლეობის რაოდენობის ცნების შესახებ, რომლიდანაც უნდა მოხდეს დამნაშავეობის კოეფიციენტის გამოყვანა. ზოგი თვლის, რომ კოეფიციენტი უნდა გამოყვანილი იქნას მოსახლეობის მთელი რაოდენობიდან, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ მოსახლობის იმ ნაწილიდან, რომელიც კანონით დაწესებული ასაკის მიხედვით პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ე. ი. 14 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეები. ცხადია ამ კონტინგენტის ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვნად ცვლის დამნაშავეობის კოეფიციენტს.

თეორიულად უფრო სწორია ეს უკანასკნელი წესი. მაგრამ პრაქტიკაში დამნაშავეობის კოეფიციენტს ხშირად განსაზღვრავენ მთელი მოსახლეობისაგან.

რესპუბლიკის თითქმის არცერთი ქალაქის და რაიონის პროკურორს არ გამოყავს დამნაშავეობის კოეფიციენტი, რაც აუცილებელია დამნაშავეობის ზუსტად განსაზღვრისათვის. ამასთან დამნაშავეთა რიცხვში შეყვანილ უნდა იქნან არა მარტო მსჯავრდებულები, არამედ ის პირებიც, რომლებიც განთავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან, მაგრამ არ არიან რეაბილიტირებული, ისევე როგორც დანაშაულობათა რაოდენობაში უნდა ჩაითვალოს არა მარტო საგამოძიებო ორგანოების მიერ რეგისტრირებული სამართალდარღვევები, არამედ კერძო ბრალდებისაც.

დამნაშავეობის კოეფიციენტის გამოყვანისას უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა ასაკობრივი შემადგენლობა. განსაკუთრებით არასრულწლოვანების (14-17 წლისა) ხვედრითი წონა, ასევე იმ კონტინგენტისა, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ აწარმოდნენ საზო-

გადოებრივად სასარგებლო შრომას, აგრეთვე იმ პირებისა, რომლებმაც ჩაიდინეს განმეორებითი დანაშაული. არასრულწლოვანთა დანაშაულის კოეფიციენტის გამოყვანისათვის საჭიროა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა (ან არასრულწლოვან დამნაშავეთა) რიცხვი გავყოთ 14-17 წლის ასაკის მოქალაქეთა რაოდენობაზე.

კოეფიციენტები ასევე განისაზღვრება დანაშაულობათა ცალკეული სახეების მიხედვით; მაგალითად, ავტოსატრანსპორტო დანაშაული. ამისათვის საჭიროა ამ კატეგორიის დანაშაულობათა (ან ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა გაყოფილ იქნას მძღოლთა რაოდენობაზე (ინდივიდუალური ავტომანქანების მფლობელთა ჩათვლით).

დამნაშავეობის კოეფიციენტის განსაზღვრის ასეთივე ხერხი გამოიყენება სამართალდარღვევათა გავრცელების შედარებისას ცალკეულ წარმოება-დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით. ამისათვის საჭიროა გამოანგარიშებულ იქნას რამდენი სამართალდარღვევა მოდის ამ ობიექტში მომუშავე ყოველ 1000 ან 100 პირზე.

დამნაშავეობის კოეფიციენტი ჩვეულებრივად გამოყავთ წელიწადში ერთხელ. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია მიზანშეწონილი მისი გამოყვანა ექვსი თვის მიხედვით.

ქალაქებისა და რაიონების პროკურორები ნაკლებად აფასებენ დამნაშავეობის სტრუქტურული ანალიზის მნიშვნელობას, არ განსაზღვრავენ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მცირემნიშვნელობის დანაშაულობების, ასევე გავრცელებულ სამართალდარღვევათა ხვედრით წონას, კმაყოფილდებიან დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ საერთო მონაცემების განზოგადებებით და მიღებული შაჩვენებლების ურთიერთშედარებით. ამას კი ხშირად მივყავართ არაზუსტ დასკვნებამდე. მაგალითად, თუ დამნაშავეობის შემცირება ხდება ნაკლებად მძიმე და მცირემნიშვნელოვან დანაშაულობათა ხარჯზე, აქედან კი კეთდება დასკვნა-ოპერატული ვითარების გაუმჯობესების შესახებ.

დამნაშავეობის სტრუქტურული ანალიზი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მისი თვისობრივი დახასიათება და პასუხები გავცეთ კითხვებს: რომელი დანაშაულობებია უფრო გავრცელებული, იზრდება თუ კლებულობს მათი რაოდენობა. ცალკე უნდა გამოვყოთ მძიმე დანაშაულობანი, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა წარიმართოს ადმინისტრაციული ორგანოების მთელი საქმიანობა.

დამნაშავეობის სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც დანაშაულობათა რაოდენობის მიხედვით, ისე დამნაშავეთა რიცხვის მიხედვით.

დამნაშავეობის სტრუქტურა ამა თუ იმ ქალაქსა და რაიონში ან რესპუბლიკაში მთლიანად შეიძლება განისაზღვროს ასე: დანაშაულობათა საერთო რაოდენობას ვიღებთ, როგორც 100 პროცენტს და ვვანგარიშობთ მის მიმართ რა ხვედრითი წონა (პროცენტებში) უკავია ცალკეულ დანაშაულობებს. ამისათვის ამ უკანასკნელთა საერთო რაოდენობას ვამრავლებთ 100-ზე და ვყოფთ დანაშაულობათა საერთო რაოდენობაზე.

მაგალითისათვის: N ქალაქში 1975 წელს სულ რეგისტრირებული იყო 582 დანაშაული (100 პროცენტი). მათ შორის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა 82. მაშასადამე ამ დანაშაულის

ხვედრითი წონაა $\frac{82 \cdot 100}{582} = 14\%$.

დამნაშავეობის სტრუქტურის განსაზღვრა ცხადია უნდა მოხდეს არა ყველა სახის დანაშაულზე, არამედ ისეთ საშიშ და გავრცელებულ დანაშაულობებზე როგორიცაა: განზრახ მკვლელობა და მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებანი, სოციალისტური ქონების გატაცება, გაუპატიურება, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ხულიგნობა, ავტოსატრანსპორტო დანაშაულობანი და ზოგიერთი სხვა.

ყველა ამ დანაშაულობათა ანალიზი პროკურატურის ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ავიღოთ სოციალისტური საკუთრების გატაცება. 1975 და 1976 წელს ამ კატეგორიის დანაშაულის სრულყოფილი ანალიზი არ გაუკეთებიათ ახალქალაქის, ხაშურის, ყვარლის და რიგ სხვა პროკურორებს.

ანალიზის სრულყოფისათვის საჭიროა დამნაშავეობის სტრუქტურასთან ერთად გაანალიზებულ იქნას დანაშაულის შინაგანი სტრუქტურაც. ავიღოთ ისევ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, მას შეიძლება გაუკეთდეს ანალიზი გატაცების ოდენობისა და ფორმების მიხედვით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მისი გავრცელების მიხედვით და ა. შ.

დამნაშავეობის მდგომარეობის სტრუქტურის, და დინამიკის შესწავლის პროცესი და შედეგები სტატისტიკური მეთოდის მეშვეობით ზოგჯერ მიზანშეწონილია გამოვსახოთ ცხრილებში, რომელთა მეშვეობით მარტივდება შეკრებილ მასალის ანალიზი და ცალკეული მაჩვენებლების სიდიდეთა დადგენა.

დამნაშავეობის სტრუქტურის შესწავლასთან ერთად უნდა გაანალიზდეს მონაცემები დამნაშავეთა პიროვნების, მათი საზოგადოებრივი საშიშროების (რეციდივის) შესახებ და სხვ. ანალიზისას უნდა გაირკვეს იმ პირების რაოდენობა და ხვედრითი წონა (პროცენტი), რომლებიც გათავისუფლდენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და მათი, რომლებიც მსჯავრდებულ იქნენ.

მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემების ანალიზისას უნდა გამოიყოს პირები, რომელთა ბრალდების საქმეებზე სწარმოებდა წინასწარი გამოძიება და კერძო ბრალდების საქმეები, რამდენადაც საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით მათ ეძლევა სხვადასხვანაირი შეფასება.

მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულ არიან კერძო ბრალდების საქმეებზე უნდა შევადაროთ მონაცემებს იმ პირთა რაოდენობაზე რომელთა საქმეები გადაეცათ ამხანაგურ სასამართლოებს.

ქალაქისა და რაიონების პროკურორები, როცა ანალიზს უკეთებენ მონაცემებს დამნაშავეთა პიროვნების შესახებ, უმეტესად გვერდს უვლიან იმ პირთა მონაცემების ანალიზს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არსად არ მუშაობდნენ და არ სწავლობდნენ. ეს საკითხი კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რამდენადაც ამ კონტინგენტის რაოდენობის სრულად გამოვლენა და მათი შრომითი მოწყობისათვის ზომების მიღება, დამნაშავეობის აცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია ანალიზი სტატისტიკური მაჩვენებლებისა, რომლებიც შეეხებიან მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობას. სწორედ ამ საქმიანობის შეუფასებლობითაც უნდა აიხსნას ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს ამ უბანზე.

დამნაშავეობასთან ბრძოლის შედეგების ანალიზი არ უნდა იყოს მოწყვეტილი კანონიერების დაცვის მდგომარეობის დამახასიათებელ მონაცემებს, საპროკურორო ზედამხედველობის მაჩვენებლებს. კანონიერების დაცვის საკითხების გამოკვლევა ყოველთვის უნდა იყოს სამართალდარღვევებთან ბრძოლის შედეგების შესწავლის შემადგენელი ნაწილი.

ამჟამად, როცა დანაშაულის თავიდან აცილება გახდა დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, პროკურატურის ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მუშაობის ორგანიზაციას, სამართალდარღვევათა ღრმად შესწავლას. უნდა მივაღწიოთ, რომ ანალიტური მუშაობა გახდეს საპროკურორო საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

მხოლოდ ღრმა ანალიტური მუშაობის საფუძველზე გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე უნდა მუშავდებოდეს და ხორციელდებოდეს პრაქტიკული ღონისძიებანი სამართალდარღვევებისა და მისი ხელშემწყობ გარემოებათა აღსაკვეთად.

დოკუმენტების აღრიცხვის, დაცვისა და გამოყენების ახალი კანონი

ვ. გურგენიძე,
საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის დირექტორი

1976 წლის 29 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ". ეს საკანონმდებლო აქტი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპის ლოგიკური შედეგია, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური დამოკიდებულების ახალი დადასტურებაა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და გამოყენება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იდგა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინის ინიციატივით დიდი ღონისძიებები განხორციელდა საბჭოთა ხალხის ისტორიისა და კულტურის ამსახველი ძეგლთა აღრიცხვის, დაცვისა და მშრომელთა სამსახურში მათი ჩაყენებისათვის.

ახალ კანონში ყოვლისმომცველად განმარტებულია ძეგლების სახეობები, მათ შორის წერილობითი დოკუმენტური ძეგლებისა, რომლებსაც მიეკუთვნება „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტები, სხვა წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტები, კინოფოტოდოკუმენტები და ხმის ჩანაწერები, აგრეთვე ძველი და სხვა ხელნაწერები და არქივები, ფოლკლორული და მუსიკალური ჩანაწერები, იშვიათი ნაბეჭდი გამოცემები". კანონი განმარტავს ამ ძეგლების აღრიცხვის, აგრეთვე ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიერ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს. კანონით დადგენილია ჩვენს ქვეყანაში ძეგლების გამოყენების წესი, განსაზღვრულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლი მათს დაცვაში.

ბოლო დრომდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის დადგენილება, რომელიც ძირითადად ემსახურებოდა კულტურის ძეგლთა დაცვის გაუმჯობესებას. მაგრამ შემდგომ ისტორიულ ფასეულობათა გამოყენების მასშტაბთა გაფართოებამ, მათი უკეთ დაცვის ინტერესებმა საჭირო გახადა უფრო ვრცელი და უნივერსალური კანონმდებლობის მიღება.

ახალი კანონის მთავარი მიზანია ძეგლების გამოვლენა, შესწავლა, შემეცნებითი და ესთეტიკური მნიშვნელობით გამოყენება, მისი ჩაყენება დღევანდელობისა და მომავლის სამსახურში.

სხვადასხვა ხალხების სულიერ საგანძურზე როცა ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ, მაგალითად, ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი ისტორიული და კულტურული ძეგლები მარტო ჩვენი ეროვნული კუთვნილება როდია, ისინი, ამავე დროს, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, კაცობრიობის საერთო კუთვნილებაა. ეს არის ყოველი ხალხის კულტურის

ისტორიის ინტერნაციონალური მნიშვნელობაც, ყველა „პატარა", თუ „დიდი" ერის დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე.

არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს ყოველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების გზა, რომელიც მათ გაიარეს უძველესი დროიდან დღევანდელამდე, როგორც ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამიტომ ახლად მიღებული კანონმდებლობით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ძეგლებს.

ახალი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 1977 წლის მარტიდან, შედგება 5 კარისა და 33 მუხლისაგან. ყველა საკანონმდებლო ნორმას წითელ ხაზად გასდევს ის პოზიცია, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხალხის კუთვნილებაა და მას სახელმწიფო იცავს.

ახალი კანონით ისტორიისა და კულტურის ძეგლები დაყოფილია 5 სახეობად:

— ისტორიული,
— არქეოლოგიური,
— ქალაქმშენებლობისა და არქიტექტორისა,
— ხელოვნებისა და
— დოკუმენტური ძეგლები (მ. 5).

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის (საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისა) ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრო, უწყება, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, მოქალაქე ასრულებდეს ძეგლთა დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის დადგენილ წესს (მ. 7).

ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მათი სახელმწიფო აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციის მიზნით, იყოფა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებად (კ ა რ ი 2).

მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სახელმწიფო აღრიცხვა ხდება წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის სამუზეუმო და საარქივო ფონდების შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე ძველი ნივთები, ხელოვნების ნაწარმოებები, ხელნაწერები, დოკუმენტები, კოლექციები, იშვიათი ბეჭდური გამოცემები და სხვ. ასევე სახელმწიფო აღრიცხვაზე უნდა იყოს აყვანილი მათი დაცვისა და გამოყენების უზრუნველყოფაში ხელშეწყობის მიზნით (მ. 12).

კანონი უშვებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ჩამორთმევას თუ საწარმოო, ორგანიზაცია, დაწესებულება ისტორიისა და კულტურის ძეგლებს არ იყენებენ მათი ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად, ან მოელით მოსპობის ან გაფუჭების საფრთხე. ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

თუ მოქალაქე ვერ უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი ისტორიისა და კულტურის ძეგლის დაცვას, ეს ძეგლი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეს შეიძლება ჩამოერთვას სასამართლოს წესით შესაბამისი ანაზღაურებით.

ორგანიზაციას ან მოქალაქეს ძველი დოკუმენტური ძეგლების, ძველი ფერწერის ან ძველი დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების შეგროვება შეუძლია, თუ აქვს სპეციალური ნებართვა, რომელიც გაცემული და რეგისტრირებულია დადგენილი წესით (მუხლი 27).

კანონის 31-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. „პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესების შეუსრულებლობაში, მათი დაცვის ზონების რეჟიმის დარღვევაში, აგრეთვე ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად“.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღდგენა და ზარალის ანაზღაურება ძეგლების დაზიანების შემთხვევაში ეკისრებათ თანამდებობის იმ პირებსა და მუშაკებს, რომელთა მიზეზით მოხდა ძეგლების დაზიანება (მუხლი 32).

ახალი კანონის მიღება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების (არქიტექტურული ნაგებობები, ხელოვნების უნიკალური ქმნილებები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა სახელებთან დაკავშირებული ნივთიერი და წერილობითი ძეგლები, არქეოლოგიური ობიექტები) დაცვისა და გამოყენების საქმეს.

ახალი კანონის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი საგრძნობლად აფართოებს დასაცავი ძეგლების არეს. თუ წინათ „ძეგლებად“ გულისხმობდნენ უპირატესად ისტორიული და კულტურული ხასიათის უძრავ ობიექტებს, ამჟამად ეს ცნება განვრცობითაა და შეიცავს მატერიალური და სულიერი შემოქმედების ისეთ ნივთიერ და წერილობით ნაწარმოებებს, რომლებსაც მეცნიერული, ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. ესენია, კერძოდ, ხელნაწერები, სხვადასხვა სახის დოკუმენტები, ნოტები, იშვიათი ნაბეჭდი წიგნები და სხვ.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მთავარი ყურადღება ექცევა ყველა ძეგლის სახელმწიფოებრივ აღრიცხვაზე აყვანას, სულ ერთია, ვისი საკუთრებაა იგი.

1977 წლის 1 აპრილს, სსრ კავშირის კანონის — „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ — ძალაში შესვლასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი.

სხდომაზე ანგარიშით წარსდგა რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში არსებული მდგომარეობის შესწავლა და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება.

თათბირზე ითქვა, რომ საქართველოში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, მაგრამ რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციებს, რომლებსაც ევალებათ ამ საქმის ხელმძღვანელობა, ჯერ კიდევ ვერ მოუგვარებიათ ძეგლების გამოვლენისა და მეცნიერული ფიქსაციის საქმე.

ახალი კანონი საშუალებას იძლევა მოწესრიგდეს სხვადასხვა ორგანიზაციებში დაცული, აღურიცხავი წერილობითი და სხვა სახის ძეგლები. ეს ანაბრად ეხება. ოჯახებში დაცულ პირად ფონდებს და კოლექციებს.

საარქივო დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს, ვინც იცავს ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, ამიერიდან აქვთ მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს მათი კონკრეტული საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები[1].

---

1 იხ. კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ, გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 31 დეკემბერი

შეუნელებელი ყურადღება კადრების მომზადებასა და გადამზადებას

მ. კომახიძე,
იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ხელმძღვანელობის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდის, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების საქმის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საკავშირო სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1971 წლის 12 აგვისტოს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მოწყობის შესახებ".

ამ დადგენილებით, 1971 წელს, შეიქმნა იუსტიციის სამინისტროსთან იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები სამუშაოსაგან მოწყვეტით, ერთ თვემდე სწავლების ვადით და 500 მსმენელის კონტინგენტით წელიწადში.

იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედმა რესპუბლიკურმა კურსებმა პირველი ნაკადი მიიღო 1971 წლის დეკემბერში.

რესპუბლიკურ კურსებზე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს დადგენილების, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1971 წლის 29 დეკემბრის № 25 ბრძანების—„იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე კადრების გადამზადების ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ" და იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დებულების (დამტკიცებულია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 16 მარტის დადგენილებით), მოთხოვნათა შესაბამისად.

1971-1975 წლების გეგმით გათვალისწინებულ 155 მოსამართლიდან კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 105 მოსამართლემ, 400 იურისკონსულტიდან მხოლოდ 215, ხოლო 300 ადვოკატიდან — 137 და ა. შ.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით, 1976-1980 წლებში რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია უნდა აიმაღლოს 2800 კაცმა, ყოველ სასწავლო წელს კი 560 კაცმა. 1976 სასწავლო წელს კვალიფიკაცია აიმაღლა 591 კაცმა, ე. ი. გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე 31-ით მეტმა.

რესპუბლიკის კადრების გადამზადების ხუთწლიანი, 1976-1980 წლების პერსპექტიული გეგმა და აქედან გამომდინარე 1976 სასწავლო წლის და 1977

სასწავლო წლის გეგმები ზუსტად შეესაბამება სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მითითებებს. კერძოდ — მხედველობაშია მიღებული სასწავლო წელს ჯგუფების საერთო რაოდენობა, 18 ჯგუფი, ცალკეულ ჯგუფებში მსმენელთა რაოდენობა, მუშაკთა გამოძახების პროცენტი და ა. შ. გარდა ამისა თავიდან აცილებულია ის გაუგებრობა, რასაც ადგილი ქონდა ჩვენი რესპუბლიკის კურსების წინანდელ პერსპექტიულ გეგმაში. კადრების გადამზადების ხუთწლიანი 1976-1980 წლების გეგმით რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაციას აიმაღლებს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა არანაკლებ 90 პროცენტი.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკური კურსების საქმიანობაში დაინერგა სწავლების პროგრესული მეთოდები.

კურსებზე პირველად, 1976 სასწავლო წელს დაიწყო იურისკონსულტების კვალიფიკაციის ამაღლება პროფილის მიხედვით. კვალიფიკაცია აიმაღლეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემისა და მშრომელთა დეპუტატების ქალაქის აღმასკომების იურისკონსულტებმა; მრეწველობისა და ვაჭრობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სისტემაში მომუშავე იურისკონსულტებმა, სულ 80 კაცმა.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების ნებართვით, რესპუბლიკურ კურსებზე პირველად იქნენ მოწვეული საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ სანოტარო მოქმედებებსა და მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობა ორჯერ, 1976 წლის ივნისში და ივლისში, ესაუბრა რესპუბლიკური კურსების მსმენელებს. 1976 წლის 14 ივნისს კურსების მსმენელები, 62 კაცი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ — პ. გილაშვილმა. 1976 წლის 16 ივლისს კი 56 კაცი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა.

კურსებზე სასწავლო მეთოდური და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის შექმნილია მეთოდური საბჭო. 1976 წლის 9 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა რესპუბლიკური კურსების მეთოდური საბჭოს ახალი შემადგენლობა—13 კაცის შემადგენლობით. საბჭოს შემადგენლობაში არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორები, დოცენტები და უფროსი მეცნიერ თანამშრომლები, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელი მუშაკები.

მეთოდური საბჭო იხილავს კურსებზე მოსაწვევი კონტინგენტების სასწავლო გეგმებს და სასწავლო პროგრამებს. რესპუბლიკური კურსების დირექცია ითვალისწინებს რა მსმენელთა კონტინგენტის შემადგენლობის თავისებურებებს (იურისკონსულტები, სადაბო და სასოფლო საბჭოების მდივნები და ა. შ.), პროფილის შესაბამისად, მეთოდური საბჭოს დადგენილებით, შეაქვს სათანადო ცვლილებები სასწავლო გეგმაში და სასწავლო პროგრამაში.

მეთოდური საბჭოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკური კურსების დებულების 21-ე პუნქტს დაემატა ახალი ქვეპუნქტი: „რესპუბლიკურ კურსებზე ლექციის წასაკითხად მოწვეული პროფესორების, დოცენტების, მასწავ-

ლებლებისა და მაღალკვალიფიციური პრაქტიკული მუშაკების დამტკიცება ხდება მათი ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიღებული თანხმობის შემდეგ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ რესპუბლიკური კურსების მეთოდური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე". მეთოდური საბჭოს დადგენილებით ყველა კონტინგენტისათვის შემოღებული იქნა ორ-ორ საათიანი ლექცია თემაზე — საბჭოების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, ხოლო მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების მდივნებისათვის — 4-4 საათიანი, რომელსაც კითხულობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილების გამგე — მ. ბაღათურია და ამავე განყოფილების გამგის მოადგილე — შ. პაპიძე. სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნების მოთხოვნით 2-2 საათიან ლექციებს — სტატისტიკის საკითხებზე — კითხულობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები. სახალხო მოსამართლეთა ყველა ნაკადისათვის შემოღებულია 4-4 საათიანი ლექცია სასამართლო სტატისტიკის საკითხებზე, რომელსაც ატარებენ იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები.

მეთოდურ საბჭოზე იხილება და მტკიცდება კურსების კულტმასობრივი ღონისძიებათა ჩატარების გეგმა და კურსების მსმენელებისათვის რეფერატის თემატიკა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია ამტკიცებს კურსებზე მოწვეულ ლექტორთა შემადგენლობას. გასული წლის 9 დეკემბრის დადგენილებით კურსებზე ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად მოწვეულ იქნა 7 პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა 1 დოქტორი, 15 დოცენტი, მეცნიერებათა 7 კანდიდატი, 34 მაღალკვალიფიციური პრაქტიკული მუშაკი, სულ 64 კაცი.

მეტად საინტერესო იყო გასული წლის მაისში ქ. ხარკოვში ჩატარებული სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. წერეთელი, იუსტიციის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე — ც. კვარაცხელია, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მაშინდელი მოადგილე, ამჟამად ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსი — გ. მოსესიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — გ. დევდარიანი, რესპუბლიკური კურსების მეთოდური კაბინეტის გამგე — ზ. ხავთასი და ამ სტატიის ავტორი, სულ 6 კაცი.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს პროფილის შესაბამისად, აგრეთვე ლექციების ჩატარების დროს თეორიული საკითხების გაშუქებისას პრაქტიკის მასალების გამოყენების აუცილებლობას.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განკუთვნილი საათებიდან არა ნაკლებ 30-35 პროცენტი უნდა დაეთმოს სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ხარკოვში ჩატარებული მითითებებისა და რეკომენდაციების შემდეგ რესპუბლიკური კურსების დირექციამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა.

კონფერენციის შედეგები სპეციალურად იქნა განხილული მეთოდურ საბჭოზე. კვალიფიკაციის ამაღლების ყოველ ჯგუფში განკუთვნილი საათების არა ნაკლებ 30-35 პროცენტისა დათმობილი აქვს სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობას. ყოველი ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლების დაწყებამდე დირექციის მოთხოვნის შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამმართველოებიდან და განყოფილებებიდან ვღებულობთ დამატებით მასალებსა და რეკომენდაციებს იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც გამოვლინებულია სახალხო სასამართლოების, სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და მმაჩის ბიუროების შემოწმების დროს. მას ვიყენებთ მეცადინეობებზე.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილების შესაბამისად პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება ქ. თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონების სახალხო სასამართლოებში, ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ქ. თბილისის ლენინისა და კიროვის რაიონების მმაჩის ბიუროებში, ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში, სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში.

ახლად არჩეული სახალხო მოსამართლეები და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების წევრები დაესწრნენ, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომას, ისე უმაღლესი სასამართლოს სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიების სხდომებს. მსმენელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

1976 სასწავლო წელს სახალხო მოსამართლეებთან, ადვოკატებთან, იურისკონსულტებთან, ნოტარიუსებთან, მმაჩის ორგანოების თანამშრომლებთან, სასამართლოს კანცელარიის გამგეებთან, მდივნებთან და სასამართლოს სხდომის მდივნებთან ჩატარდა 6 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია. აღნიშნულ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე მსმენელთა მიერ შემოტანილი იყო 88 შეკითხვა, რომლებსაც გაეცა ამომწურავი პასუხები.

ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეებთან და ადვოკატებთან იუსტიციის სამინისტროს საქმეთა დარბაზში მოეწყო „მრგვალი მაგიდა". აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა 60 მსმენელი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები — ზ. რატიანი, ა. აბესაძე, გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები — გ. დევდარიანი, ნ. ერქომაიშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ზ. იოსელიანი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — გ. როინიშვილი, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე — ლ. ლეჟავა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი — გ. ტერ-აკოფოვი.

1976 სასწავლო წელს რესპუბლიკურ კურსებზე ჩატარებულია 3086 აკადემიური საათი ლექცია, მათ შორის სემინარულ მეცადინეობას დაეთმო 390 აკადემიური საათი, რომელზეც წაკითხულია 195 მოხსენება და 390 თანამოხსენება, პრაქტიკულ მეცადინეობას დაეთმო 86 აკადემიური საათი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1977 წლის 31 იანვარს განიხილა საკითხი — „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების 1976 სასწავლო წლის მუშაობის შედეგები-

სა და მსმენელთა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". ამ საკითხზე მიღებულ კოლეგიის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკურ კურსებზე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების შედეგად 1976 სასწავლო წელს ადგილი არ ჰქონია ლექციის, სემინარის ან პრაქტიკული მეცადინეობის ჩაშლის ან გადადების არცერთ შემთხვევას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეული ლექტორების, პროფესორების —ნ. წერეთლის, გ. გამსახურდიას, გ. ერემოვის, ა. ფალიაშვილის, ი. სიხარულიძის, თ. ლილუაშვილის, დოცენტების — ლ. ადეიშვილის, ვ. ლორიას, გ. გურგენიძის, ო. გამყრელიძის, რ. ცინცაძის, კ. ტაბატაძის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების — გ. დევდარიანის, ლ. ზაიჩიკის, შ. პაპიძის, აგრეთვე — ი. დილევსკაიას, მ. ნიკოლაიშვილის, მ. ბაღათურიას, ნ. დავითაიას, ო. ცირამუას, ვ. გვენცაძის, გ. ჭელიძის, თ. ვაშაკიძის, ზ. ქავთარაძის, ი. ნანობაშვილის, თ. ბურდულაძის, ს. სიხარულიძის, ზ. მესენგისერის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი

რესპუბლიკური კურსების დირექციამ 1976 სასწავლო წელს მსმენელთ მოთხოვნით, სასწავლო გეგმის ზევით დამატებით ჩაატარა ხუთი ლექცია, კერძოდ, ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეთა თხოვნით 1976 წლის 20 სექტემბერს მოეწყო საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების უფროსის — გ. ძაგანიას ლექციაა თემაზე — თავისუფლების აღკვეთის ადგილებში — „რეჟიმის განსაზღვრის საკითხები"; 1976 წლის 28 სექტემბერს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის — გ. მოსესიანის ლექცია — „ზარალის ანაზღაურების, საქმის განხილვის ვადებისა და განაჩენის შეცვლის საფუძვლები".

მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში მომუშავე იურისკონსულტების ჯგუფთან 1976 წლის 4 ნოემბერს ჩატარდა პროფესორ ნ. წერეთლის ლექცია — „წარმოებაში მომხდარი დასახიჩრების ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას ზარალის ანაზღაურების შესახებ; მმაჩის ორგანოების მუშაკების ჯგუფთან შარშან, 27 დეკემბერს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის — კ. ტაბატაძის ლექცია — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ"; ადვოკატების ჯგუფთან კი 1976 წლის 27 დეკემბერს პროფესორ — ი. სიხარულიძის ლექცია თემაზე — „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები".

რესპუბლიკურ კურსებზე ლექციებს კითხულობენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, რესპუბლიკის პროკურატურისა და რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

მსმენელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით კურსებზე ფართოდაა გამოყენებული ექსკურსიები მუზეუმებისა და ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, თეატრალურ სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება. შარშან მოეწყო 54 ასეთი ღონისძიება, რომელშიც კურსების 1091 მსმენელი მონაწილეობდა.

შარშან რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობა 9-ჯერ დაესწრო ცალკეულ ჯგუფებში ლექციის მიმდინარეობას. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ლექციები ყველგან ტარდებოდა მაღალ დონეზე და ლექტორების მიმართ რაიმე არსებითი ხასიათის შენიშვნა არ ყოფილა გამოთქმული.

საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკური კურსებისადმი იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა და დახმარება. საკმარისია ითქვას, რომ 1975 სასწავლო წელს რესპუბლიკური კურსების მუშაობის სხვადასხვა საკითხები იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 6-ჯერ განიხილა.

რესპუბლიკური კურსების მუშაობას ადგილზე გაეცნო იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, იგი ჯგუფებში ლექციების მიმდინარეობას დაესწრო და საჭირო მითითებანიც მისცა კურსების ხელმძღვანელობას.

მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მუშაობა, თითქმის კურსების დაარსებიდან, შეამოწმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებამ.

რესპუბლიკური კურსების მუშაობაში, რა თქმა უნდა, არის ცალკეული ნაკლოვანებები, რომელთა უახლოეს დროში აღმოფხვრა ხელს შეუწყობს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანობას. ზოგჯერ კურსები სრულყოფილად და დროულად არ კომპლექტდება.

1976 სასწავლო წელს ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეების, სასამართლოს აღმასრულებლების, სასამართლოს კანცელარიის გამგეებისა და სხდომის მდივნების ჯგუფები სრულყოფილად არ დაკომპლექტდა, რის შედეგად გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას დააკლდა 39 კაცი.

სახალხო მოსამართლეთა უკანასკნელი არჩევნებიდან გავიდა ერთი წელი და ჩვენს რესპუბლიკაში ახლად არჩეულ 70 მოსამართლიდან დღემდე კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 45 მოსამართლემ.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლება. არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს № 432 დადგენილების მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს — „დაწესდეს, რომ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იურისკონსულტებს კურსებზე გაგზავნიან შესაბამისი სამინისტროები და უწყებები იუსტიციის სამინისტროს გამოძახებით, ამასთან მტკიცედ უნდა იქნეს დაცული კურსების მუშაობის გრაფიკი.

სამინისტროებმა და უწყებებმა შეადგინონ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გასაგზავნ იურისკონსულტთა სიები და წარუდგინონ ისინი იუსტიციის სამინისტროს 1971 წლის 1 სექტემბრამდე“. სამინისტროები და უწყებები რატომღაც არ ასრულებენ ამას, ხოლო რესპუბლიკაში მომუშავე იურისკონსულტთა არასრული სახელობითი სია 1973 წლის შემდეგ არავის დაუზუსტებია და ზუსტად არავინ იცის თუ ამჟამად საქართველოში რამდენი იურისკონსულტი მუშაობს და სახელდობრ სად. ამიტომ იყო, რომ 1976 წლის თებერვალში გეგმით გათვალისწინებული იურისკონსულტთა ჯგუფის დაკომპლექტება ვერ მოხერხდა.

რესპუბლიკური კურსების მეთოდური კაბინეტი უზრუნველყოფილი არ არის საჭირო იურიდიული ლიტერატურით, მიმდინარე კანონმდებლობითა და სასამართლოს, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობის განზოგადებული პრაქტიკით. რესპუბლიკური კურსები მომარაგებული არ არის აგრეთვე საჭირო ორგტექნიკით.

რესპუბლიკურ კურსებს დღემდე არ აქვს საერთო საცხოვრებელი, სამკითხველო ოთახი და ბუფეტი, რაც მსმენელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. ამ საკითხზე რატომღაც დღემდე არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს დადგენილება, რომლითაც კურსებს საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად უნდა გადაცემოდა 6 ოთახი, დაახლოებით 100 კვ. მეტრი ფართობით, რომელიც ამჟამადაც ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო საინოტარო კანტორას უჭირავს.

იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე 1977 სასწავლო წელსაც კვალიფიკაცია უნდა აიმაღლოს იუსტიციის ორგანოების 560 მუშაკმა.

იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა სამმართველოებმა და განყოფილებებმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებამ ყველაფერი უნდა გააკეთონ რესპუბლიკურ კურსებზე ჯგუფების სრულყოფილად და თავის დროზე დაკომპლექტებისათვის, რომ 1977 სასწავლო წელს ეს კონტინგენტი უთუოდ გადამზადდეს.

ნ. ვისოცკი

ცოცხლებს ფესვის გაუჩინარებულნი

(გაგრძელება)*

ხილკოვიც ქვეშქვეშად, შეუმჩნევლად აკვირდებოდა თედორე ბორისის ძეს. ფართოდ გაშლილი თხელი წვერი ჰქონდა, ულამაზო, მოყალო. ჭაღარა შეთხელებულ თმაშიც ბლომად გამორეოდა თეთრი, თვალები კი ახალგაზრდული ჰქონდა, გამჭოლავი. ვერაფრით ვერ მიხვდა ხილკოვი — ხუმრობდა თუ არა, სანქანაზე რომ ლაპარაკობდა. ექვსი ათასი. ეხუმრები?... სამოცი ათასი ძველი ფულით! არც უშვილობისას დაგიქვითავენ, არც საშემოსავლოს. არც პროფკავშირულ საწევროს. დამრგვალებელი ექვსი ათასი. და ერთი საათის სამუშაო! ეჰ, ალბათ სიცრუეა ყველაფერი. ერთ საათში ვინ იღებს ამდენ ფულს?

ხილკოვი უგემურად იღეჭებოდა. თითქოს ყოველ დღე ჰქონდა მაგიდაზე მარცვლოვანი ხიზილალა და კვამლში გამოყვანილი ტარაღანა. თედორე ბორისის ძე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის მოღუშულ სახეს. სიამოვნებით ჭამდა და სვამდა, თან რადაცას უყვებოდა გოგოებზე. და როცა შესთავაზა ერთერთს გაგაცნობო, ხილკოვმა მიუგო:

— რაცა მყავს, ისიც მეყოფა.

მაგრამ როცა სადილის შემდეგ ყაზანის ტაძართან მივიდნენ და მანქანაში წვეროსანის ნაცნობი შავგვრემანი ქალიშვილი ჩაუჯდათ, ხილკოვი სიამოვნებისაგან აჯიყჯიყდა. კალმით ნახატი გოგო იყო. თედორე ბორისის ძე მასთან გადაჯდა უკან და ხილკოვს მოკლედ უბრძანა:

— სასტუმრო „ლენინგრადი“.

თითქოს ხილკოვს არც იცნობდა, ვითომც ორი საათის წინ ერთად არ სადილობდენ მოსკოვის სადგურში.

სასტუმროსთან წვეროსანმა მანქანიდან გადმოიყვანა ქალიშვილი, ხილკოვს ორმოცდაათმანეთიანი გაუწოდა, მხიარულად დაუქნია ხელი და მიაძახა: „ჩაო“!

ხილკოვი რამდენიმე წუთს გაოგნებული იჯდა მანქანაში და ფულს ხელში ჭმუჭნიდა. „ეს რა ქნა წვეროსანმა, ასე უბრალოდ წავიდა? არაფერი არ მითხრა, როდის მოვიდე სხვა დროს. დამირეკავს თუ არა, კიდევ დასჭირდება თუ არა მანქანა?... თავდაპირველად ხილკოვმა დააპირა დასწეოდა და ეკითხნა. მაგრამ ყველაფერი ხომ კარგად დაიწყო — საჩუქარი აჩუქა, ერთადაც ისადილეს. გოგოების გაცნობასაც შეპირდა, მაშასადამე, დღეს არ დაუსვამს წერტილს. ეხლა კი რა გამოვიდოდა, იქნებ რამე არ მოეწონა?

საღამოს თავის სახლში ხილკოვმა გვიანამდე ვერ დაიძინა. გულდაწყვეტილი ფიქრობდა, რომ დიდხანს ვერ ატარა წვეროსანი. „ეტყობა ტომრობითა აქვს ფული, — ფიქრობდა იგი. — ჩემთვისაც არ ენანებოდა. იქნებ კიდევ დამირეკავს? არა მგონია! როგორღაც მანიშნებდა. ეჰ! აკი მეუბნებოდა: „უფროსო, ხშირად ვივლით ერთად. არ გაწყენინებ“.

ხილკოვს გაახსენდა შავგვრემანი ქალიშვილი, გაახსენდა სადილი რესტორანში. მაგრამ ყველაზე მეტს ექვსი ათასზე ფიქრობდა ერთ საათში რომ შეეძლო ემოვნა. აი, ეს არის საქმე! აი ეს არის ფული! მაშინ თავადაც შეეძლო ისე ეფანტა ფული, როგორც ამ დაწყევლილ წვეროსანს, ვალუტის მაღაზიაში ეყიდნა ლამაზეტიკეტებიანი ბოთლები და სხვა მდიდრული ნივთები. ვალუტის ყიდვა ფულზე ყოველთვის შეიძლება. ხილკოვი ისეთ ხალხს იცნობდა, ვინც ყიდდა და ყიდულობდა ვალუტას. თავადაც გაუყიდნია. მაგრამ წვრილი ფული. უცხოელს რომ მიიყვანდა, ხანდახან დოლარს ან მარკას გადაუგდებდნენ. მაგრამ ამას განა ვალუტა ეთქმის? აი, ექვსი ათასი რომ ჰქონდეს! მაშინ კი შეიძლებოდა დატრიალება.

შემდგომ დღეებში ხილკოვს ხშირად აგონდებოდა წვეროსანი. განსაკუთრებით მაშინ, როცა დილის ცვლაში იყო და ადრე უნდა ამდგარიყო. ქუჩაში ბნელოდა, ციოდა! ადგომაც ეზარებოდა და გარეთ გასვლაც. „ფული რომ მქონდეს, — ფიქრობდა ასეთ წუთებში ხილკოვი — მივაფურთხებდი ყველაფერს. სხვა სამუშაოს ვიშოვნიდი. ან ისეთ ქურქს

---

* დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5, 1976 წ. № 2, № 3, № 4, № 5, № 6; 1977 წ .№ 1, № 2

ვიყიდდი, წვეროსანს რომ აქვს. ასეთ ყინვაში რომ არ დამზარებოდა გარეთ გასვლა".

წვეროსანმა მაინც დაურეკა. და ეს მაშინ, როცა ხილკოვს ყოველგვარი იმედი გადაეწურა. ზუსტად ერთი თვის შემდეგ.

ხილკოვმა ვერ დაფარა თავისი სიხარული:

— თედორ ბორისის ძევ! რაღაც დიდი ხანია არ დაგირეკავთ. ვიმუშაოთ? ყოველთვის მზად ვარ, როგორც პიონერი.

ხილკოვი შეუთანხმდა თავის შემცვლელს და საღამოს რვა საათზე გავიდა სამუშაოდ. მთელი დღე, დილიდან დაწყებული, წვრილი ხშირი ფიფქები ცვივოდა. თორმეტ საათზე სასტუმრო „ლენინგრადთან" მივიდა, მანქანა შესახვევში დააყენა და მეექვსე სართულზე ავიდა. ამჯერად წვეროსანმა იგი ნომერში შეიპატიჟა. ოროთახიანი ნომერი იყო. მეორე ოთახში დაბალ, დაპრიალებულ მაგიდასთან თან ქაღალდის თამაშში იყვნენ გართული. ვიწრო, კედელთან მიდგმულ კომოდზე იატაკზეც კი არყის ბოთლები, შამპანური იდგა, ძეხვი და ყველი ეწყო თეფშებით.

ოთხი კაცი თამაშობდა, სამი საკმაოდ ხანშიშესული, ერთი ახალგაზრდა, ქერა, ულვაშიანი, ყველა უპიჯაკოდ იჯდა. პერანგები გადაღებილი ჰქონდათ. ხილკოვისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. დაძაბული თამაშობდნენ, მხოლოდ ხანდახან ეხმიანებოდნენ ერთმანეთს შეძახილებით. ბანკში ბევრი ფული იყო. ხილკოვმა თვალი შეასწრო, სულ მსხვილი ფული იყო: თუმნიანები, ოცდახუთმანეთიანები.

თედორე ბორისის ძემ ხილკოვი რბილ, მაღალზურგიან, მბრუნავ სავარძელზე ჩასვა, მუხლებზე ბუტერბროდებიანი თეფში დაუდგა, ერთი ბოთლი „ბორჯომი" გაუხსნა, თავი დაუქნია და წყნარად უთხრა:

— დანაყრდი. თავისთვის კი ღვინის ჭიქაში არაყი ჩაასხა.

განუწყვეტლივ იგებდა ხანშიშესული მაღალი კაცი. ხილკოვმა შენიშნა, რომ მოტვლეპილ თავზე ოფლის წინწკლები უბრწყინავდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. დაძაბული ისროდა ბანკოს ქაღალდს და ასევე დაძაბული, გულგრილი გამომეტყველებით ხვეტავდა ფულს თავისკენ სქელი ხელით. კარგად რომ დააკვირდა, ხილკოვმა ის მგზავრი შეიცნო, მათ ახალი წლის ღამეს რომ მიიყვანეს ირიბ ხაზზე.

ახალგაზრდა კაცი მალე წავიდა. წასვლისას ყველას თავი დაუქნია, გამომშვიდობების ნიშნად. როგორც ჩანდა, ძალიან ბევრი ფული წააგო. სათამაშოდ თედორე ბორისის ძე დაჯდა.

ხილკოვი უხერხულად გრძნობდა თავს. თამბაქოს ბოლი თვალებს უწვავდა. ეძინებოდა. „თუ საჭირო იყო მოსვლა, ეთქვა რო-



მელ საათზე და მოვიდოდი. — ფიქრობდა იგი. — თორემ ვზივარ უსაქმოდ. ამ ხნის განმავლობაში შემეძლო ცოტა ფული გამეკეთებინა". — მაგრამ შეკითხვისა ეშინოდა. ფიქრობდა, იქნებ სხვებმა არც იციან, რომ შოფერი ვარო. და უხერხულიც იყო შეეწუხებინა.

— ევგენი სტეფანეს ძევ, — უთხრა უცბად წვეროსანმა. არ გინდა ქაღალდი ჩამოარიგო? ახალბედებს ჩვეულებრივ ბედი სწყალობს ხოლმე. მოდი მოგვიჯექი. თუმნიანებს ჩავდივართ.

„ეჰ, რაც იქნება, იქნება", — გაბედა ხილკოვმა.

მართლაც სწყალობდა ბედი. რაღაც ნახევარ საათში ოთხასი მანეთი მოიგო და კიდევ აპირებდა თამაშს, მაგრამ თედორე ბორისის ძე წამოდგა და თქვა:

— წასვლის დროა, ევგენი სტეფანეს ძევ. მე მგონია, პარტნიორები... მოგაგებინებენ.

„ეშმაკმა დალახვროს! რა გამიმართლა, რა გამიმართლა! — ფიქრობდა ხილკოვი, როცა კიბეზე ჩადიოდა, და გამალებით ანგარიშობდა, რამდენი ფული ექნებოდა ახლა. არ გინდა, ნახევარ საათში ამდენი ფული ეშოვნო..." როცა მანქანის საჭეს მიუჯდა, სიხარულისაგან გამოცოცხლდა. მისჩერებოდა ფარების შუქზე დატრიალებულ ფიფქების კორიანტელს და ენერგიის ისეთ მოზღვავებას

გრძნობდა, რომ სიამოვნებით იმღერებდა. და ალბათ, ნამდვილად ამღერდებოდა, თედორე ბორისის ძის გვერდით რომ არ მჯდარიყო. მაგრამ მოერიდა. არ უნდოდა პატარა ბიჭივით მოქცეულიყო და არასერიოზული კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა. კოსმონავტების ქუჩით მიდიოდნენ. „რადაც უნდა გადავცე გიორგის, — თქვა თედორე ბორისის ძემ. — ხვალ დილაადრიან ავირებს გამგზავრებას“.

„რატომ კოსმონავტების ქუჩაზე“ — გაუკვირდა ხილკოვს. — გიორგი ხომ სასტუმროში ჩერდება? განა მის ნომერში არ თამაშობდნენ“? მაგრამ არ დაუწყო შეკითხვების მიცემა.

ქალაქს ეძინა. სახლებში აქა-იქ შუქურასავით კიაფობდენ ფანჯრები. მონამქერებულ ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. არც მანქანა ჩანდა სადმე, არც ფეხით მოსიარულე. იშვიათად გაივლიდა ხმაურით თოვლმწმენდი, და ისევ მიჩუმდებოდა ყოველივე. ხილკოვი ფრთხილად მიდიოდა, დრმა თოვლი ადგა! ახლო მანძილზე ჩართავდა სინათლეს თუ შორს, სულ ერთი იყო, სხივთა კონა ყველგან თოვლის საფარს აწყდებოდა.

კოსმონავტების პროსპექტზე წვეროსანმა ანიშნა, საით უნდა გაეხვია. ხილკოვმა მანქანა სახლებს შორის შეიყვანა, კინალამ ნაგვის ყუთებს წამოედო. უცებ მათ წინ სახლის კუთხიდან კაცი გამოხტა.

— დაამუხრუჭე, — სთხოვა თედორე ბორისის ძემ. გიორგი უნდა იყოს.

ხილკოვმა მანქანა შეაჩერა და ფარები გამორთო. კაცი მიუახლოვდა, მანქანის კარი გახსნა.

— მამაო თედორე ასეც ვიფიქრე, რომ თქვენ იქნებოდით!

ეს გიორგი იყო.

მან თქვა:

— გესმის, ლიდამ დამირეკა. მეპატიჟება. ასეთ გოგოს უარი როგორ ვუთხრა. ძმა გავაფრთხილე, რომ თქვენ დაგელოდოთ, მე კი გადავწყვიტე მისი მანქანით წავსულიყავი. მაგრამ მოტორი არ ამუშავდა, ეტყობა გაყინულია. იქნებ, თქვენი მანქანისთვის გამოგვება?

— რას იტყვი, უფროსო? — ჰკითხა ხილკოვს თედორე ბორისის ძემ. გამოვაბათ?

— რატომაც არა, — მხიარულად უთხრა ხილკოვმა. — მაგრამ, ჯერ ვნახავ, იქნებ ავამუშავო!

— ე-ე! ტყუილი გარჯა იქნება! — ჩაიქნია ხელი გიორგიმ. უკვე ნახევარი საათია ვწვალობ. მიდი შემოტრიალდი და უკანა სვლით მიადექი. ტროსი მე მაქვს.

ხილკოვმა სწრაფად შემოატრიალა მანქანა და უკანა სვლით მიაყენა დათოვლილ „ვოლგას“. გაიფიქრა: „რატომ თოვლს არ გადახვეტავს?“

გიორგი ჩაჯდა კაბინაში და ხელი დაუქნია. ხილკოვმა პირველი სიჩქარე ჩართო და „ვოლგა“ გაჭირვებით ადგილიდან დაძრა. ფრთხილად შემოუარეს სახლს და პროსპექტზე გამოვიდნენ.

— რატომ არ იქოქება? — თქვა ხილკოვმა. — მოდი, ვნახოთ ერთი!

— რა არის სანახავი, — მოკლედ მიუგო წვეროსანმა და თოვლის საფარველს გახედა. ახლა, მიდი, მოტრიალდი და მერე პარკისკენ გასწი. გზაში დაიქოქება.

ასე მიდიოდნენ ისინი ათიოდე წუთს მერე თედორე ბორისის ძემ უბრძანა:

— მარჯვნივ, მარჯვნივ!

ასფალტი გათავდა. რომელთაც უკაცრიელ ადგილზე გავიდნენ. „ეს ხომ პარკის უკანა მხარეა, — მოისაზრა ხილკოვმა. — სად ჯანდაბაში მივდივართ?“

— შეჩერდი, თქვა ბოლოს თედორე ბორისის ძემ.— ეშმაკსაც წაუღია! დაე, თვითონ დაქოქოს.

იგი გამოძვრა მანქანიდან, მოხსნა ტროსი და გიორგისკენ წავიდა, რომელიც „ვოლგიდან“ გადმოვიდა. რამდენიმე წუთს ერთად იდგნენ, მერე დაეშვიდობნენ ერთმანეთს და თედორე ბორისის ძე ისევ ჩაუჯდა ხილკოვს მანქანაში.

— რა საზიზღარი ამინდია, უფროსო, არა?

— ის, რა, გუგუს საძახებლად დარჩა? — ჰკითხა ხილკოვმა მხიარულად. — იქნებ მაინც დავხმარებოდით?

— თავად გაარკვიოს ახლა თავისი საქმე,— წაიბუზღუნა წვეროსანმა... — გასწი ახლა ივანოვის პროსპექტისაკენ.

ხოლო, როცა ხილკოვმა, ჩვეულებისამებრ, გასტრონომთან ტაქსი გაჩერა, თედორე ბორისის ძემ ჯიბიდან მთელი დასტა ფული ამოიღო და გაუწოდა.

— აიღე, უფროსო. ზუსტად ორი ათასია. შეგიძლია არ დათვალო. შენი წილია. სამმა ვიმუშავეთ, თანაბრად გავიყავით. შეგეძლო კი ერთს აგელო ექვსი ათასი.

ხილკოვს უცბად დასცხა. სახსრებში სისუსტე იგრძნო და მხოლოდ ესღა ჰკითხა:

— ეს რა, სხვისი მანქანა იყო? და არა გიორგისა?

— ახლა მისია, — გაეცინა წვეროსანს. —

ხედავ რა საქმეები კეთდება. შენ კი შეშინებაც ვერ მოასწარი. გამომართვი ფული.

ხილკოვმა გამოართვა დასტა და ძლივს მოეგო გონს. მერე ნერვული სიცილით უთხრა:

— რა მოხერხებულად ითამაშეთ! რამდენიმე სვლის გაკეთება და მოგება ერთი იყო. ეს ხომ, ეს ხომ... — ვეღარ მოახერხა ეთქვა, რისი თქმაც უნდოდა. თედორე ბორისის ძემ კი მძიმე ხელი დაადო მხარზე და ჩასჩურჩულა: — შენი იმედი მქონდა, ეენია... იმედი მქონდა. ჩემთან არ დაიკარგები. გამიგე? გაიგე, ეენია? მხოლოდ ფულს სულელურად ნუ დახარჯავ. ნუ დალევ ვისთანაც მოგხვდება. რიგიანად დროს გატარება როცა მოგინდება, მე დამირეკე. ჩემს ტელეფონსაც გეტყვი. დაიხსომე: ექვსას ოცდა თერთმეტი, ორასი. ეენია, დაიხსომე, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროს ჩაწერისაგან. გაიგე? მე და შენ ერთმანეთს რომ არ ვიცნობთ, მასაც ხვდები? არა, ეენია? შენ მოსაზრებული ბიჭი ხარ. არაფერი წამოგცდება. ტეუილად კი არ მირჩია შენი თავი ფელია ნიკოლაევმა, შენმა შემცვლელმა. მეუბნებოდა: ეენია ხილკოვს ჩემსავით შეგიძლია ენდოო...

— ფელია ნიკოლაევმა? — ხელახლა შეეკითხა ხილკოვი. — ფელიამ? მერე მოგორ? საიდან?

ფედორ ბორისის ძემ გადაიხარხარა.

— ფელიამ, ფელიამ! მან მირჩია შენი თავი ამა, შენ გეგონა შემთხვევით შემოგიჯექი მანქანაში ახალი წლის ღამეს, როცა შენ ფელია მოიყვანე სასტუმროში? ჰა, ჰა... როგორ არა!

ხილკოვს უცბათ გაახსენდა ახალი წლის ღამე, სასტუმრო. ფელია, გადაღეღილქურქაან წვეროსანს რომ შეეჯახა. ისიც გაახსენა, რომ ბოლო დროს ფელია ძალზე დამეყოლი გახდა. როცა კი არა სთხოვდა ხილკოვი, გავცვალოთ სამუშაო დრო, ან მოიცადეო, იგი ყველაფერზე თანხმდებოდა. ხილკოვს კი ეგონა მადლობას უხდიდა ახალ წელს გაწეული სამსახურისათვის.

— რაო, გიკვირს? ახლა მე და შენ ვეღარაფერი გაგვყრის. მომე ხელი, ეენია. ზარს ელოდე. ხოლო თუ დროს გატარება მოგინდეს, დამირეკე.

იგი გამოძვრა მანქანიდან და ფიფქების კორიანტელში გაუჩინარდა.

— როცა ხილკოვი პარკში მივიდა, დისპეტჩერმა დაეჭვებით შეხედა და ჰკითხა:

— რაო, ეენია, დალიე?

— როგორ გეკადრებათ, ალექსანდრ ზახარიჩ... — წყენით მიუგო ხილკოვმა. — წვეთი არ ჩამიყლაპავს, ხომ მიცნობთ რაცა ვარ!

დისპეჩერმა თავი გააქნია.

— ჰო, მართლა, თითქოს არ უნდა იყო ამაში შემჩნეული. დღეს რაღაც ძალიან გიბრწყინავს თვალები. ჰოდა, ამიტომ მეგონა.

...და ახლდა ეს ამბავი მაჯლაჯუნას რომ დაემართა. ნეტავ როგორ უჭირავს თავი გამოძიებაში? ხომ არ გაყიდა უკვე? იქნებ, უკვე მასაც, ხილკოვსაც, უთვალთვალებენ! ის „სასწრაფოც“ ტეუილად არ შემოვიდა ეზოში მაშინ, მანქანა რომ გაჰყავდათ. არა, არა, მაჯლაჯუნა ხარბი კია, მაგრამ მაინც მაგარი ბიჭია, არ გაჰყიდის. ტექნიკურ ტალონზე კი რამეს მოჩმახავს. იქნებ განეოფილებაში რომ მიჰყავდათ, გზაზე გადააგდო სადმე? ან იქნებ კამერაში დააქუცმაცა და პარაშაში ჩაუშვა. იმწუთშივე ხომ არ დაუწყებდნენ ჩხრეკას?

8.

...— იგორ ვასილის ძევ, როგორ მოხვდით მილიციაში? ჰკითხა ვლასოვმა მორიგი ვიზიტის დროს კორნილოვს ლიტეინის ოთხ ნომერში, სადაც იქ თითქმის ყოველდღე მიდიოდა.

კორნილოვმა რაღაც გაუგებარი ამოიზმუილა და მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, როგორღაც მოხდა...

— როგორ თუ როგორღაც მოხდა!— გაიმეორა ვლასოვმა და გაიღიმა. — ადვილად მისახვედრია...

„რომ არ ვიცოდე, რა ნიჭიერი მაძებარია კორნილოვი — არაფრით არ დავიჯერებდი! მეტისმეტად ნერვულია... რაღაცნაირი უმწეო“... — ფიქრობდა იგი.

ვლასოვს ეგონა, სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკი აუცილებლად ფხიზელი ანალიტიკოსი, მშვიდი, გულისყურიანი უნდა ყოფილიყო. ეს კი ყოველთვის ყურებდაცქვეტილი და ფხუკიანია...

— თქვენ სულ დამცინით, — უთხრა კორნილოვმა, — ტეუილად კი შვრებით ამას. რა უნდა გითხრა, ღმერთმანი! ტეუილის თქმა არ მინდა, სიმართლე კი თავადაც არ ვიცი. რა ვიცი, მოვხვდი და ეს იყო. უკმაყოფილო კორნილოვი მოიღუშა და უმალ დაემსგავსა დაუმსახურებლად განაწყენებულ ბავშვს.

— ხომ დამპირდით, — უსაყვედურა ვლასოვმა. — ახლა კი უკან იხევთ.

— არაფერსაც არ დაგპირებივარ, — წაიბურდღუნა იგორ ვასილის ძემ. — არ დაგპირებივარ! ნუთუ ისეთი ბრიყვი ვარ, რომ რისი შესრულებაც არ შემიძლია, იმას დაგპირდებოდი.

ვლასოვმა შერიგების ნიშნად ხელი ასწია:

— კარგით, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი. ვთქვათ, რომ ვიღაც სხვა დამპირდა... მაგალითად, ბელიანჩიკოვი.

კორნილოვმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს საყვედურითა და ნაღვლიანად შეხედა, თავი გაიქნია, თითქოს თქვა: „რა საჭიროა ყოველივე ეს“?

ერთხანს ორივე დუმდა. უცბათ კორნილოვმა გაიღიმა და დაიწყო:

— საერთოდ, თავდაპირველად, ქარხანაში წავედი, კონსტანტინ ნიკალაევიჩ, ასე მოხდა. მეშვიდე კლასის შემდეგ მექანიკურ ტექნიკუმში შევედი. ერთ წელს ვისწავლე, შემდეგ დაგვიწყო საწარმოო პრაქტიკა. გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა მეოთხე თანრიგზე. ბრტყელტუჩა იყო გასაკეთებელი. დრო თითქმის ერთი კვირა მოგვცეს. გვითხრეს, ვინც როდის მოათავებს საქმეს, ისე წავა შვებულებაშიო. ბიჭები უგერგილოები იყვნენ. ამ საქმისა არა გაეგებოდათ. დიდხანს აჯახირეს ეს ბრტყელტუჩა. მე კი ცოტა რაღაცა შემეძლო. მამისგან პატარა დაზგა მქონდა დატოვებული და პირველხარისხოვანი ხელსაწყო-იარაღები. მამა მყვინთავი იყო. ახლა რატომღაც აღარაფერს ამბობენ მათზე, ომის წინ კი მყვინთავებს ისეთივე სახელი ჰქონდათ, როგორც მფრინავებს. დედა მიყვებოდა ხოლმე. ხოლო რა არის მყვინთავი? იგივე მუშა. დიახ, მამა მუშა იყო, უყვარდა ლითონით თავის გართობა. და მეც ძლიერ შემაყვარა. ჰოდა, როცა ქარხანაში ბრტყელტუჩა იყო გასაკეთებელი, რამდენიმე საათში ისე დავხატე, რომ ოსტატმა მაშინვე ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ვიფიქრე და წავედი თანრიგის გასაფორმებლად. ვგრძნობ, რომ ცუდი ნივთი არ გამოვიდა. მერე ეს კვნეტარაო, სახრახნისიო, ხერხის კბილგასაყარიო... ბოლოს ერთი ბერიკაცი მომიახლოვდა. გაზინთული კეპი ეხურა, ინდაურივით წვრილკისერას ყელზე ხვანჩი გამოსჩროდა, ცხვირი იმ სიგრძე ჰქონდა, რომ ნიკაპამდე სწვდებოდა. ჯიბიდან ჩემი ბრტყელტუჩა ამოიღო და წაიბურდღუნა:

— შენ გააკეთე?

მე შევშინდი: „ნუთუ დაიწუნა“? მხოლოდ თავი დავაქნიე, თითქოს ენა ჩამეყლაპოს. ბერიკაცმა თავისი გაჩხიკინებული თითები სახელოზე მარწუხივით ჩამჭიდა და სადღაც წამიყვანა. თურმე საზეინკლოში მიმათრევდა. მიმიყვანა დაზგასთან, მიჩვენა დეტალი. ახლა აღარ მახსოვს, რა იყო. ძალიან შემეშინდა.

ბერიკაცმა ხელსაწყო-იარაღი მაჩვენა. შტანგენფარგალი მომცა, არავითარი ნახაზი არ მოუცია. სულ ერთია ნახაზებში ვერც გავერკვეოდი. თვითონ წავიდა.

რამდენ ხანს ვიჯახირე ხელსაწყოზე აღარ მახსოვს, მაგრამ, ბერიკაცი რომ მოვიდა, იგი უკვე მზად მქონდა. კარგად დაათვალიერა, ყოველმხრივ აწონ-დაწონა და მითხრა:

— სამიანი გეკუთვნის მინუსით.

ძალზე მეწყინა. ბერიკაცი კი მეუბნება:

— უმაწვილო, ლითონის ალღო გქონია. მოდის ჩვენთან, ქარხანაში, კაცად გაქცევ.

მე ვუთხარი, ტექნიკუმში ვსწავლობ, არდადეგებზე მეჩქარება, სათევზაოდ უნდა წავიდემეთქი. ბერიკაცმა კი ხელი ჩაიქნია.

— ვიცით, რაც არის ეს ტექნიკუმები. სოკოებივით არის მომრავლებული. მოდიან ჩვენთან და საქმე კი არ იციან...

საამქროს უფროსმაც დამიძახა. თურმე ეს ბერიკაცი ქარხნის საუკეთესო ზეინკალი გრიგორი დორმიდონტეს ძე საიკინი ყოფილა, ზეინკლების მეფე. ამიხსნა, რადგანაც გადაწყვიტა მოწაფედ აგიყვანოს, მაშასადამე, შენი დიდი იმედი აქვსო.

— რა იმედი, რის იმედი, — ვეუბნები მე, — როცა სამიანი მინუსით დამიწერა! უმაწვილი ვიყავი ნამდვილი, არაფერი მესმოდა... საამქროს უფროსს გაეცინა და ბოლოს მაინც დამითანხმა.

საქმე საბოლოოდ გადაწყვიტა სამიანშა მინუსით. ძალიან მეწყინა ასეთი შეფასება. ვიფიქრე, რაც შემიძლია დაგიმტკიცებთ მეთქი, გულახდილად რომ გითხრათ, ქარხანაში პრაქტიკის გავლამ ძალიან დამაინტერესა, — განაგრძო კორნილოვმა. — სასაცილოა, და მე საზეინკლოს სუნიც კი მესიამოვნებოდა. და თანაც, როცა ხედავ, რაღაც გამოგდის, ხოლო ამხანაგი, რომლიდანაც საკონტროლო წერის დროს მაგალითებს იწერდა ახლა ყოველგვარ წვრილმანზე შენთან მორბის და გთხოვს აუხსნა, როგორ მოიხმაროს კარაკინი, რომელი ბურღი დაუყენოს (ბურღები კი ზედიზედ უტყდება) — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს სულ რაღაც თექვსმეტი წლის ჭაბუკისათვის.

ქარხანაში სამი წელი ვიმუშავე. და სულ საიკინთან ვიყავი. ოჰ, დიდი უკულმართი მოხუცი იყო! იმ სამ წელიწადში კაცად მაქცია. მეექვსე თანრიგის ზეინკალი გამხადა. და ეს ცხრამეტი წლის ასაკში! აი, ასე იყო საქმე, კონსტანტინ ნიკალაევიჩ! თუ კი „ვოლგას“ მივაგნებთ და შეკეთება იქნება საჭირო — მე მომმართეთ — თქვა ვლასოვმა. მე მათი შეკეთება უფრო მეხერხება, ვიდრე დაძებნა. მართალს გეუბნებით! ნუ დაეჭვდებით.

— აუცილებლად თქვენ მოგმართომევთ, აუცილებლად აუჩქარებლად წარმოთქვა ვლასოვმა, ოღონდ ჯერ ჩემს კითხვებს უპასუხეთ.

— ნუთუ ყველა ჟურნალისტი ასეთი კირკიტა ხალხია. ამდენი ვილაქლაქე და მაინც გეცოტავათ. მომეცით ერთი კვირის ვადა. მოვიფიქრებ, მოვისაზრებ — რატომ დავიწყე სისხლის სამართლის სამძებროში მუშაობა — და მერე მოგიყვებით. — მან საათს დახედა. — რას იტყვით? იქნებ დღეს გვეყო? განა შინ წასვლის დრო არ არის?

— იგორ ვასილიჩ, ერთად ხომ არ გვევახშმა? — შესთავაზა ვლასოვმა,

— მართლაცდა! რატომ არ შეიძლება ვიკახშმოთ? — დაეთანხმა კორნილოვი.

ისინი გამოვიდნენ ლიტეინზე და შეჩერდნენ, ვერ გადაეწყვიტათ სად წასულიყვნენ.

ჩემს სახლში ხომ არ წავსულიყავით? — იკითხა იგორ ვასილის ძემ. —სულ ახლოსა ვარ, პეტრეს სანაპიროზე. ოღონდ, ახლა მარტოხელა კაცის რეჟიმზე ვარ. ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ვცოდვილობ სახლში თითქმის არა ვარ, დედა კი ავადა მყავს.

— მოდი „ლენინგრადში“ წავიდეთ! რაზე შევაწუხოთ დედათქვენი. საკმაოდ კარგ საჭმელებს ამზადებენ. თანაც, ხომ იცით, რომ „ლენინგრადში“ ვცხოვრობ, — თქვა ვლასოვმა.

— „ლენინგრადში“? — დაეჭვებით გაიქნია თავი კორნილოვმა, მაინც და მაინც არ მინდა იქ წასვლა. თქვენ?

— წავიდეთ, წავიდეთ, მე მომშივდა.

რესტორანში ბევრი ხალხი არ იყო. მხოლოდ იმ მაგიდის ახლოს, რომელსაც ვლასოვი და კორნილოვი მიუსხდნენ, მხიარული კომპანია ვახშმობდა. ჩანდა, რომ რაღაც მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავდნენ, უფრო დაბადების დღეს, რადგან ყველა ვინც კი ფეხზე დგებოდა სირჩით ხელში სიტყვით მიმართავდა მაგიდის თავში მჯდომ, ნაადრევად გასუქებულ, ახალგაზრდა კაცს. ის კი ცერემონიულად თავს ხრიდა ისე მოწყალედ იღიმებოდა, თითქოს რაღაც, ისეთი რამ იცოდა, რასაც სხვები ვერ ხვდებოდნენ. ვიდრე ვლასოვი მენიუს ჩაჰკირკიტებდა, კორნილოვი შეუმჩნევლად და ნელნელა ათვალიერებდა შეკრებილთ. უკვირდა, რომ მაგიდასთან მჯდომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაკაცებს ნაადრევად მორეოდათ ქონი და დაზორზოხებულიყვნენ. ზოგიერთი უკვე გაჭაღარავებულიყო, ზოგს თმა გასცვენოდა. ორსა თუ სამს წვერიც მოეშვა, მეტისტმეტად ნაადრევი ჭაღარა ზოგს შვენოდა კიდეც.

— რამ გაამელოტა ეს ხალხი ნეტავ ასე? — ჰკითხა იგორ ვასილის ძემ ვლასოვს ერთგვარი თანაგრძნობითაც კი და თვალებით ანიშნა კომპანიაზე.

ვლასოვმა დაბნეულად მოავლო კომპანიას თვალი და ხელი ჩაიქნია:

— ახლა ძველი დრო აღარ არის. ადრე ჭაღარავდებიან, ყველას თავისი გაჭირვება აქვს, თავისი პრობლემები... — და კვლავ ჩაყო ცხვირი მენიუში.

ბოლოს ოფიციანტი ქალი მოვიდა და ჰკითხა:

— ორნი ხართ, თუ კიდევ ელით ვინმეს?

ორნი ვართ, — მიუგო კორნილოვმა.

ოფიციანტმა გახსნა გაზინთული ბლოკნოტი და ჩასაწერად გაემზადა.

ვლასოვი კორნილოვისკენ მიტრიალდა და ჰკითხა:

— რას ისურვებდით, მაესტრო.

— სულერთია, წუნია არა ვარ. მხოლოდ რვაფეხას ნუ შეუკვეთავ.

— მე კი, მაგალითად, მივირთმევდი, — მიუგო ვლსოვმა.

— ჩვენ რვაფეხა არა გვაქვს, — მკაცრად წარმოთქვა ოფიციანტმა.

მან მოიტანა საუზმე, კონიაკი, ვლასოვმა დაასხა და კორნილოვს მოთეთრო მოვარდისფერო ორაგული მიუჩოჩა. იგორ ვასილის ძე კი კვლავ აკვირდებოდა მეზობლებს და ცდილობდა მიხვედრილიყო, რა ჯურის ადამიანებს მოეყარათ თავი ამ საზეიმო მაგიდასთან. ერთი რამ უთუო იყო. გაჭირვებული ხალხი არ უნდა ყოფილიყვნენ, რასაც მოწმობდა ტანსაცმელი, ქალების მდიდრული მორთულობა და ბოლოს რაც მთავარია თვის დაჭერის მანერა — თავისუფალი, თავდაჭერებული, მაგრამ ყოველგვარ ყოყოჩობას მოკლებული. მიუხედავად მხიარული შეძახილებისა და ლაყბობისა, სახე ყველას დალლილი ჰქონდა, მოწყენილიც იყვნენ. ასაკიც დაახლოებით ერთი ჰქონდათ — ოცდათხუთმეტიდან ორმოცამდე. მხოლოდ ერთი თხუთმეტიოდე წლის ბიჭი ერიათ.

ახალგაზრდა ოფიციანტს რაც უფრო მეტი ცარიელი ბოთლი გაჰქონდა მეზობელი მაგიდიდან და სავსე ბოთლები შემოჰქონდა, ხმაური მით უფრო მატულობდა. ახლა უკვე ისმოდა მთვრალების ნაწყვეტნაწყვეტი საუბარი:

ბრწყინვალე რამეა... მოხუცმა იცის თავისი საქმე... ჩინელ ქალებთან თავსგადამხდარი ამბავი... „მოწონების სიცილი. „თავი გაანებეთ კლასიკოსებს... მიუტრიალდით ანდრიუშას“ კვლავ სიცილი. „გაუმარჯოს ანდრეის,

გაუმარჯოს ანდრეის! ანდრეის სადღეგრძელო იყოს!“ იმის მიხედვით, თუ როგორი თვითკმაყოფილებით გაიღიმა თამადის ადგილას მჯდომმა, კაცი მიხვდებოდა, რომ ანდრეი სწორედ ის იყო.

— რაო, მოგწონთ ეს ახალგაზრდა მხიარული ხალხი? — იკითხა ვლასოვმა და ოდნავ მიუკაკუნა დანა ღვინის ჭიქას.

— არა, არა... უბრალოდ, მეტისმეტად თავისუფლად იქცევიან, უპასუხა იგორ ვასილის ძემ. — ჯანდაბას მაგათი თავი! ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ...

— იგორ ვასილიჩ, — დაიწყო ვლასოვმა ოდნავ ზეაწეული ტონით. — ბედმა თქვენთან შემახვედრა.. ბედნიერი შემთხვევა აღმოჩნდა ჩემი მანქანის მოპარვა...

— აი, ისევ დაიწყეთ... აბუჩად მიგდებთ, თუ რა? — უკმაყოფილოდ წარმოთქვა კორნილოვმა. — ბედნიერი შემთხვევა“- მე ასეთი შემთხვევების გამო დროა სამსახურიდან გადადგომა ვითხოვო.

— რატომ ხართ ასეთი ეჭვიანი კაცი? — წამოიძახა ვლასოვმა. — უსაბაბოდ გიყვართ განაწყენება... კარგით, კარგით... აღარაფერს ვიტყვი. იგორ ვასილის ძევ! ძალზე მიხარია, ძალზე მიხარია, რომ გაგეცანით. და ვიმედოვნებ, მეგობრები გავხდებით. ჩვენი მეგობრობისა იყოს!

— ჩვენი მეგობრობისა! — გაიღიმა კორნილოვმა

ისინი კარგახანს ისხდნენ რესტორანში, კორნილოვმა უამბო კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, როგორ წავიდა ვალაამზე დედასთან, უთხრა თუ როგორ შეხვდა უფეხო ალექსის.

ამ ბიჭს უნდა დავეხმაროთ... აუცილებლად. მუდამ ვგრძნობ დამნაშავე ვარ მის წინაშე.

— თქვენ რაღა შუაში ხართ?

— იცით... ახლა ვფიქრობ, იქნებ მაშინ ყველაფერი სხვანაირად უნდა მომხდარიყო. მაშინ რომ დავხმარებოდი...

— თქვენ რა შუაში ხართ, საქმე ხომ სასამართლომ განიხილა? პროტესტი განაცხადა ვლასოვმა.

— სწორია. მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, განა სისხლის სამართლის სამძებრო არ ეხმარება ხალხს სწორ გზას დაადგენ?

საუბრის დროს კორნილოვი იშვიათად, მაგრამ მაინც გაიხედავდა ხოლმე მხიარული კომპანიისაკენ. ამ ხალხის უცერემონიობა აღიზიანებდა მას.

ერთ-ერთი წვეროსანი უცბათ წამოხტა სირჩით ხელში. ფრაზის დასაწყისი ხმაურმა დაფარა. „ამიტომ, ჩვენო ძვირფასო ანდრეი ანდრიჩ, ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს. ანდრიუშკა, შე მამაძაღლო...“ წვეროსანი ცალი ხელით ანდრეის მოეხვია, კოცნა დაუწყო, თან არაყს ძირს აშხეფებდა.

„ხიდზე იდგა გამვლელი...“ — წამოიწყო სიმღერა წვეროსანმა, შემდეგ კი ისეთი უშვერი სიტყვები მიაყოლა, რომ კორნილოვს გაოცებისაგან თვალები საცრის ოდენა გაუხდა. „ახლა კი აჭმევენ ალიყურს, ქალები არ შეარჩენენ...“ მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. კუპლეტის ბოლო სიტყვები მხიარულმა ხორხოცმა დაფარა. ყველა იცინოდა — კაციც და ქალიც.

— ეშმაკმა იცის რა ხდება! — იფეთქა უცბათ იგორ ვასილის ძემ და ვიდრე ვლასოვი რამეს მოისაზრებდა, მაგიდიდან წამოდგა და თავაწყვეტილ მოქეიფეებისაკენ წავიდა.

— ამხანაგებო! — მისი ხმა ისე მკვეთრად გაისმა, თითქოს თოფი ისროლესო. ვლასოვმა შენიშნა, როგორ აუთამაშდა კორნილოვს ყბებზე კუნთები. მაგიდასთან მსხდომნი მიყუჩდნენ და დაინტერესებულები მიაშტერდნენ კორნილოვს. იმან კი, რომელსაც ანდრეის ეძახდნენ, თუმცა ხმადაბლა წარმოთქვა, მაგრამ ისე რომ ყველამ გაიგონა, მეზობელ მაგიდებთან მსხდომებმაც კი.

— ვეროჩკა, ეს აყლაყუდა შენთან მოვიდა ბრუდერშრაფტის დასალევად...

— როგორ არა გრცხვენიათ, ასე რომ იქცევით! — კორნილოვმა შეხედა ანდრეის და თავი გააქნია. — თქვენთან მოსული ქალების თუ არ გრცხვენიათ, მეზობლების მაინც შეგრცხვეთ... ამას გარდა თქვენთან ხომ ბავშვია!

ანდრეის გვერდით მჯომმა სანდომიანმა ქალიშვილმა კორნილოვს გაუწოდა სირჩა, საიდანაც არაყი ძირს იღვრებოდა და მხიარულად იყვირა:

— ერთი ამ თავხედებს დამიხედეთ. დავლიოთ ერთად, ამხანაგო მოქადაგევ!

ყველა ერთად აყაყანდა. კორნილოვს ზოგი შემოერთებას სთავაზობდა ზოგი კი თხოვდა ერთად ემღერათ. მხოლოდ ანდრეი უყურებდა უხმოდ, ზიზღნარევი ღიმილით.

ვლასოვი წამოდგა და კორნილოვთან მივიდა.

(გაგრძელება იქნება)

ი უ მ ო რ ი

იანუშ ოსეუკა

ბრილიანტი

ერთხელ, ქუჩაში რომ მივდიოდი, უცბად ვიღაც შეუხედავი კაცი მოვიდა ჩემთან და მკითხა:

— არ იყიდით, ბატონო, სამეფო გვირგვინის ბრილიანტს? და ხელის გულზე დადებული მტრედის კვერცხის ოდენა ორი ქვა მიჩვენა. იგი დაჟინებით შემომცქეროდა. ეტყობოდა ძალიან უნდოდა ბრილიანტების გაყიდვა.

შევწუხდი, რომ უკიდურესი გაჭირვების გამო კაცი უნდა გამოთხოვებოდა თავის უკანასკნელ ბრილიანტებს, და ვკითხე:

— რამდენს თხულობთ?

— ორი ათასს — მიპასუხა მან.

ადვილი მისახვედრი იყო, რომ ბრილიანტი ბევრად მეტი ღირდა. მეფე არ ატარებდა ორი ათასიან ძვირფას ქვებს. მათი ნამდვილი ფასი ულაპარაკოდ 100 000 მაინც იყო.

— კი მაგრამ — ვუთხარი —ორი ათასი! ეს ხომ თითქმის მუქთია! ვერ ვიყიდი ასე იაფად.

ბრილიანტის გამყიდველი შეშფოთებული მიცქერდა. ძალიან შემეცოდა, მაგრამ, ვფიქრობ, არ შეიძლება გამოიყენო საწყალი კაცის გულუბრყვილობა.

— მაშინ მომეცით სამი ათასი — შემომთავაზა მან ბოლოს.

— ესეც სასაცილო ფასია. არ მინდა, რომ მოგატყუოთ. მოგცემთ ათი ათასს.

— კარგით — დათანხმდა იგი. შემაწუხა. თუმცა შეთავაზებულ ფასს რვა ათასს ვუმატებდი, მაინც მეცოდებოდა გაჭირვებული კაცი.

იმდენი ფული კი, რაც მას ეკუთვნოდა, არ მქონდა.

— არა, ეს ძალზე ცოტაა — ვუთხარი და ფული შევინახე. ბრილიანტი ასი ათასი ღირს. გაყიდეთ სადმე სხვაგან. არა მაქვს ამდენი. ნახვამდის.

მან ხელი მტაცა და შეშლილი თვალებით შემომაშტერდა.

— სისულელეა! — დაიყვირა — არა უშავსრა, რომ ასი ათასი ღირს. ჩემთვის სულერთია. აიღეთ ბატონო, ბრილიანტი თქვენია!

— არამც და არამც არ ავიღებ!— გავჯიუტდი. არ ვაპირებ ნადირობას სხვის ბრილიანტებზე. ნახვამდის, ბატონო!

— უფრო ნაკლებიც კი ღირს!— ღრიალებდა კაცი.

— მეტი ღირს!— ვარწმუნებდი მე.

ჩვენს ლაპარაკს დიდხანს უსმენდა ვიღაც კარგად ჩაცმული და შეძლებული შეხედულების კაცი. მის თვალებში დაინტერესების ნაპერწკალი ელავდა.

— მე ვიყიდი ამ ბრილიანტებს — ჩაერია. — მაგრამ ათას ზლოტს მოგცემთ.

— იყოს ათასი — დათანხმდა კაცი, რომელსაც ძალიან უნდოდა გაეყიდა თავისი ბრილიანტები.

ისინი ასი ათასი ღირს — ვთქვი აღშფოთებულმა. — ნუ მოატყუებთ საწყალ კაცს!

— გთხოვთ, ნუ ერევით ჩვენს საქმეში — წამოიძახა იმ კაცმა.

— სარგებლობთ კაცის უმწეობით — ვუმტკიცებდი მე. — ეს ყაჩაღობაა დღისით, მზისით! მეტი არაფერი!

— იქნებ წახვიდეთ, ბატონო — მირჩია ბრილიანტების გამყიდველმა. მეც წა-

ვედი მხრების აჩეჩვით. მე ხომ ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო.

ერთი საათის შემდეგ, ქუჩაში მილიციელმა დამიჭირა ბრილიანტის მყივველთან ერთად.

— ეს არის ის — ყვიროდა ბრილიანტის მყიდველი ანთებული სიძულვილით.— თანამონაწილე!

— თქვენ ფასს უმატებდით? — მკითხა მილიციელმა და ხელებზე ხელბორკილი გამიკეთა.

— მატყუებდა, ჩვეულებრივ შუშას მაჩეჩებდა! — ყვიროდა მყიდველი.

— პატიოსანი კაცი ვარ — ვიმეორებდი გზაზე, ვიდრე მილიციის განყოფილებამდე მიმიყვანდნენ. — სამეფო გვირგვინის ბრილიანტი სულ ცოტა ასი ათასი ღირს.

ვექილი მიმტკიცებს, რომ ბინძური საქმე მაინც შედგება.

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ

საინტერესო სამართლებრივ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა*

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, რომლის ერთ-ერთი პრინციპია სუბიექტური შერაცხვის პრინციპი, დანაშაულის სუბიექტური მხარის საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შეეხება კერძოდ და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით გაუფრთხილებლობის პრობლემას. კერძოდ იმიტომ, რომ გაუფრთხილებლობა სუბიექტური მხარის ერთ-ერთი გამოვლინებაა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საკითხთა მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. ეს დაკავშირებულია ადამიანის სასიცოცხლო გარემოში ტექნიკური და სამეცნიერო მიღწევების მოჭარბებასთან, რაც ხშირად საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. როდესაც ვითვალისწინებთ ჩვენს ხანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპებს, და ოპტიმისტურად ვაფასებთ განზრახ დანაშაულობასთან ბრძოლის პერსპექტივებს, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ არც თუ ფანტასტიკური სიტუაცია მომავალში, როცა გაუფრთხილებლობით დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი გახდება, ვიდრე განზრახ დანაშაულობასთან ბრძოლისა.

მ. უგრეხელიძის გამოკვლევის აქტუალობას დამატებით ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვ. მაყაშვილის დიდი ღირსებების მქონე ნაშრომს[1], გაუფრთხილებლობის პრობლემა დღემდე არ უკვლევიათ მონოგრაფიულად ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში. მაგრამ ვ. მაყაშვილის ნაშრომი 20 წლის წინათ გამოქვეყნდა. მას შემდეგ ამ პრობლემის დამუშავება ხდებოდა საჟურნალო სტატიებში, ან გზადაგზა — მომიჯნავე პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებში. ასეთნაირად დაგროვილი მასალის მარტოოდენ შემოქმედებითი განზოგადებაც კი სასარგებლო მეცნიერული გამოკვლევა იქნებოდა. მაგრამ ჩვენმა ავტორმა სხვა, გაცილებით უფრო რთული და დიდი ამოცანა დაისახა.

ავტორის ჩანაფიქრით, მისმა ნაშრომმა უნდა გაარკვიოს, შესაძლოა თუ არა ვაღიაროთ ბრალი ანუ გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება იქ, სადაც ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ბოროტი ნებისა კი არა, უყურადღებობის გამოვლინება იყო. ან, უფრო დაწვრილებით, არსებობს თუ არა ასეთ შემთხვევებში ჩადენილი ქმედობისადმი რეალური ფსიქიკური დამოკიდებულება და, თუ არსებობს, არის თუ არა იგი ეთიკურად გასაკიცხი? ამასთან ავტორი ყურადღებას მიაპყრობს, როგორც თვითონ უწოდებს, პრობლემის სოციალურ მხარეს. სოციალურ ასპექტს იგი იმაში ხედავს, რომ პრობლემის გადაწყვეტა ამა თუ იმ მიმართულებით უშუალოდ აისახება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედობათა წრის მოცულობაზე (გვ. 14). ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ პრობლემის ამ მხარეს ავტორი სოციალურ-პოლიტიკურს უწოდებდა, რადგან სისხლისსამართლებრივი იძულების სფეროს ფარგლები, გაუფრთხილებლობის ჩათვლით შესაძლებელია იმისდა მიხედვით განისაზღვროს, თუ როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი. საკითხთა ეს წრე საგანგებო ყურადღებას მოითხოვდა გამოკვლევაში, თუ იგი სამართლის თეორიის ასპექტით იქნებოდა განხილული. და თუ ავტორმა თავი შეიკავა ამისაგან, იგი გონივრულად მოიქცა; მას არ ევალებოდა და სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო, მით უფრო, რომ შეზღუდული მოცულობის წიგნში მან დამსახურებულად უფრო მეტი ადგილი დაუთმო გაუფრთხილებლობის საკითხების ფსიქოლოგიურ ანალიზს, თავისი დასკვნების ფსიქოლოგიურ დასაბუთებას. ნაშრომის ეს მხარე ავტორს იმდენად დამაჯერებ-

---

* М. Г. Угрехелидзе. Проблема неосторожной вины в уголовном праве. Тбилиси, «Мецниереба», 1976, стр. 131».

[1] См. В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность. М., 1957.

ლად და წარმატებით აქვს შესრულებული, რომ მას თამამად შეეძლო თავისი წიგნისათვის სამართლებრივ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ეწოდებინა.

საკუთარ მოსაზრებებსა და დასკვნებს ავტორი ამყარებს ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგის დ. უზნაძის მოძღვრებაზე განწყობის შესახებ. ამ მოძღვრების თანახმად, სუბიექტის განწყობა არის "**მისი პირველადი რეაქცია იმ სიტუაციის ზემოქმედებაზე, რომელშიც მას უხდება ამოცანების დასახვა და გადაწყვეტა**"[2]. ამასთან, „პირველადობა" არ ნიშნავს აუცდენლობას, რადგან, ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს უნარი შესწევს თავისი ფსიქიკური აქტივობა პირველადი განწყობიდან ისეთ განწყობაზე გადართოს, რომლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ ფსიქიკის სპეციფიკურად ადამიანური ფუნქციები — ინტელექტი და ნებისყოფა. ამის წყალობით ადამიანს შეუძლია შეგნებულად და მიზანდასახულად განახორციელოს თავისი მოღვაწეობა საზოგადოების სოციალური მოთხოვნების — ეს იქნება მორალური თუ სამართლებრივი — შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ავტორი აფუძნებს პასუხისმგებლობას ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენების ვამ. ასეთ შემთხვევებში, განსაზღვრული გარეგანი და შინაგანი ფაქტორების არსებობისას, სუბიექტს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საკუთარი წარმოდგენების მიმდინარეობასა და თავისი ქცევის მიმართულებაზე, რათა გაითვალისწინოს და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი მავნე შედეგი. ასეთი შესაძლებლობა ნულის ტოლი როდია ინდივიდის ფსიქიკურ ცხოვრებაში; იგი გარკვეულ პირობათა ერთობლიობაა, რომლებიც შესაძლებელს ხდის რეალურად ეცვალოს გეზი ქცევის არასასურველი მიმართულებით განვითარებას. მაშასადამე, აღნიშნული შესაძლებლობის გამოუყენებლობა მოწმობს საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი ინდივიდის არაჯეროვან, მორალურად და იურიდიულად გასაკიცხ დამოკიდებულებას. ასეთი მიდგომა — ამაში შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს — საშუალებას იძლევა გამოვააშკარავოთ გაუფრთხილებლობითი ბრალის იდეოლოგიური და სოციალური ფესვები.

ამგვარად, ფსიქოლოგიის მეცნიერებაში თავისი ლაშქრობიდან ავტორი ძვირფასი ნადავლით დაბრუნდა და შეძლო გამოეყენებინა იგი გაუფრთხილებლობითი ბრალის სისხლისსამართლებრივი თეორიის სასარგებლოდ. საქმის ეს მხარე ყურადღებას იქცევს. დღეისათვის ცხადია, რომ ფსიქოლოგიის ფუნდამენტური შესწავლის გარეშე შეუძლებელია მოვლენებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხთა კვლევა. ამავე დროს ისიც არანაკლებ ნათელია, რომ ფსიქოლოგია ისეთი სპეციალური დარგია, რომელშიც სერიოზულად გარკვევა იოლი საქმე არაა. ამიტომ არც თუ იშვიათად, სამართლებრივ-ფსიქოლოგიურ თემებზე მომუშავე იურისტები სჯერდებიან ფსიქოლოგიური მეცნიერების ფონდებიდან ნასესხებ მზამზარეულ, ხშირად არც თუ უახლეს დასკვნებს, ზოგჯერ კი უბრალოდ ციტატებს, ისე რომ არც კი უფიქრდებიან, თუ რაოდენ რთული, ღრმა და სადავო პრობლემატიკა იმალება ამ დასკვნებსა და ციტატებს მიღმა.

მ. უგრეხელიძის ნაშრომი ამ მხრივაც უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. განწყობის თეორიას რომ ეყრდნობოდა, ავტორი არა მარტო ღრმად, სპეციალისტის დონეზე გაერკვა გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემის ფსიქოლოგიურ მხარეში, არამედ მან **პირდაპირი გზებიც** გამოძებნა ფსიქოლოგიიდან იურისპრუდენციაში. მაგალითისათვის გამოდგება განზრახ დანაშაულთან შედარებით თვითმიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის უფრო მსუბუქად დასჯადობის ავტორისეული ახსნა. განწყობის დამაჯერებელი ანალიზის წყალობით თვითიმედოვნების დროს, ავტორმა შეძლო კრიტიკულად გადაესინჯა ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომ **ყველა** დანაშაული ნებელობითი და მოტივირებული აქტივობის გამოვლინებაა და რომ ამ მხრივ არც გაუფრთხილებლობა წარმოადგენს გამონაკლისს, რომ აღარაფერი ვთქვათ ნებელობითი აქტივობის სრულს არარსებობაზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაუცნობიერებელი რჩება მთლიანად ქმედობა ან მისი განვითარების ცალკეული ფაზები (ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაუდევრობისას), ნებელობით ქცევაზე ვერც თვითიმედოვნების დროს ვილაპარაკებთ. საქმე ისაა, რომ ფსიქიკის ნებელობითი ფუნქცია თუმცა აქტივობს თვითმიედოვნებისას, მაგრამ იგი არ არის უშუალოდ დაკავშირებული დამდგარ მავნე შე-

[2] Д. Н. Узнадзе. Экспериментальные основы психологии установки. Тбилиси, 1961, стр. 18.

დეგთან, არ მოიცავს მას. ამით აიხსნება, ავტორის ფიქრით, რომ თვითმიმდინარეობა პრინციპულად უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე განზრახი, ნებელობითი დანაშაული (გვ. 51-52).

საკვლევი პრობლემისადმი ავტორის მიდგომამ — მეცნიერულად დადგენილი ფსიქოლოგიური ფაქტებიდან მათი საკანონმდებლო განსაზღვრებისაკენ — განაპირობა განსახილველი ნაშრომის კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება. საკითხი შეიძლება ასე დაისვას: რა უნდა იყოს ჩვენი უპირველესი შესწავლის საგანი, ფსიქოლოგიური ფაქტები (რომლებიც, ჩემი აზრით, ყველგან ერთნაირია), თუ მათი საკანონმდებლო ასახვა (რაც, ჩემი ფიქრით, ყველგან სხვადასხვაა; მაგრამ რატომ? რა როლს თამაშობს აქ პოლიტიკა? თავისებურებანი, ტრადიციები? იურიდიული აზროვნების განვითარება სხვადასხვა ადგილებში? და ა. შ.)? რა ზომით პასუხობს მეცნიერების მოთხოვნებს ფსიქოლოგიური ფაქტების კანონში ასახვა?

ჩვენი ავტორის არაერთი მოსაზრება იმას მოწმობს, რომ იგი ადგას, ჩემი შეხედულებით, ერთადერთ სწორ პოზიციას — ჯერ ფსიქოლოგიური ფაქტები შეისწავლოს და შემდეგ, ამის საფუძველზე შეიფასოს საკანონმდებლო განსაზღვრებათა მეცნიერული სიზუსტის ხარისხი. ამაში მე მარწმუნებს, მაგალითად, მ. უგრეხელიძის მოსაზრებანი ადამიანთა მიერ მათი საქმიანობის ყველაზე უფრო უსაფრთხო ფორმების გამოძებნის პროცესზე, ისეთი ფორმებისა, რომლებიც იმავდროულად შესაძლებელს გახდიდა დასახული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფას. ავტორი საფუძვლიანად თვლის, რომ უსაფრთხო ქცევის ასეთი ფორმების შემუშავება ხდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ადამიანთა უზარმაზარ, დიდი ხნის პრაქტიკაზე ემპირიული ან მეცნიერულ-ექსპერიმენტული დაკვირვების შედეგად, ხოლო მრავალგზის ეფექტიანი გამოყენების შემდეგ ისინი გადაიქცევიან შაბლონად, რომელიც უნდა გაიზიაროს ყველა მოქალაქემ ან ამა თუ იმ სფეროში დასაქმებულ პირთა განსაზღვრულმა კატეგორიამ. „ამ პროცესის შედეგად — წერს მ. უგრეხელიძე, — წარმოიშობა წინდახედულობის ნორმები, რომლებიც მართლწესრიგის აღიარებას ჰპოვებს“ (გვ. 58).

მაგრამ სასურველი იყო ეს ნაყოფიერი მიდგომა ავტორს თანმიმდევრულად ან თუნდაც რამდენადმე უფრო სრულად გაეტარებინა. ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგალითად, ფსიქოლოგიის დასკვნებისა და მონაცემების საფუძველზე გაუფრთხილებლობისა და მისი ფორმების განსაზღვრების ცდა და შემდეგ კი შემოწმება, რამდენად ემთხვევა იგი საკანონმდებლო დეფინიციას. ნუთუ გაუფრთხილებლობის ემპირიული განსაზღვრება, რომელიც მრავალი წლის წინათ არის შემუშავებული იურისტების მიერ, თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ყველა მოთხოვნას პასუხობს? ძნელი დასაჯერებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენი ავტორი, ეჭვს გარეშეა, საუკეთესო სურვილებით გამსჭვალული, არა თუ კრიტიკულად არ იხილავს საკანონმდებლო განსაზღვრებას, არამედ, უნდა ვიფიქროთ, რომ იმავე მოსაზრებებით, იცავს კიდევაც მას სხვა ავტორთა კრიტიკისაგან. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს იგი ამჟღავნებს უაღრესად საზრიანი და ხანდახან ძალიან დამაჯერებელი არგუმენტაციის უნარს.

ავტორი პოლემიკას იწყებს იმათთან (მეც მათ შორისა ვარ), ვისაც ხარვეზად მიაჩნია, რომ კანონმა არ მოაწესრიგა გაუფრთხილებლობის საკითხები ფორმალურ შემადგენლობებში. მ. უგრეხელიძის აზრით, მატერიალურ შემადგენლობებში დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებანი ყველაზე უფრო სრულადაა წარმოდგენილი. შედეგი აქ მთელი ობიექტური მხარის დამაგვირგვინებელი რგოლია. ამიტომ, ბრალის ფორმების დახასიათებას როცა შედეგს უკავშირებს, ამით კანონმდებელი ზოგადად მიუთითებს, რომ შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება „მიზეზობრიობის განვითარების ყველა წინამორბედ რგოლზე (მათ შორის ქმედობაზეც) ვრცელდება და პროეცირდება“ (გვ. 101). სხვა სიტყვებით, ყველაზე უფრო დასრულებული და ტიპიური კონსტრუქციის შემადგენლობათა, რეზულტატური დელიქტების მაგალითზე კანონმდებელს მონიშნული აქვს „კონტურები, რომელთა ფარგლებში უნდა მოხდეს სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა ბრალად შერაცხვა“ და, იმავდროულად, მოცემული აქვს „ყველაზე უფრო თვალსაჩინო სქემა, რომლის მიხედვითაც აიგება ნებისმიერი ბრალი“ (იქვე).

ყოველივე იქიდან, რაც ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გვეთქვა ავტორის საწინააღმდეგოდ, აღვნიშნავ მხოლოდ ორ გარემოებას: მოვლენათა შეცნობის მოვალეო-

ბისა და მათი გათვალისწინების მოვალეობის საფუძვლები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან; მოვლენათა საკანონმდებლო განსაზღვრება „კონტურებსა“ და „სქემებს“ კი არ უნდა ითვალისწინებდეს, არამედ მათს ყველა არსებით ელემენტს. ავტორის შიში, რომ ასეთ პირობებში „კოდექსი გადაიქცეოდა სისხლის სამართლის თავისებურ სახელმძღვანელოდ“ (გვ. 102), ვერ არის მაინცადამაინც საფუძვლიანი; მე მესახება, რომ პირიქით, დანაშაულის სუბიექტური მხარის საკითხების გადაწყვეტა მოქმედ კანონმდებლობაში ვერ აკმაყოფილებს სრულად კოდექსის მოთხოვნებს.

მეცნიერული შრომების განხილვისა და მათი ხარისხის შეფასებისას ჩვენ, სამწუხაროდ, იშვიათად ვაქცევთ ყურადღებას მასალის გადმოცემის სტილს, მანერას. მაგრამ გადმოცემის მანერა ხომ აზროვნების მანერას ასახავს, და როცა საქმე ეხება მეცნიერული მასალის გადმოცემას, იგი მეცნიერული აზროვნების ანარეკლია. მ. უგრეხელიძის სტილი ღირსებას ჰმატებს და ამშვენებს მის ნაშრომს. აქ საქმე მარტო წუნდაუდებელ წიგნიერებას როდი ეხება — ეს ელემენტარული მოთხოვნაა. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, აზრის ზუსტ, ლოგიკურ მოძრაობაზე, როდესაც მტკიცე თანმიმდევრობით აღინიშნება ის, რაც აღსანიშნია და გამორიცხულია ზედმეტი უკან დახევები ან უშინაარსო პასაჟები თუ ფრაზები. ავტორმა შეძლო ამგვარი დისციპლინისათვის დაექვემდებარებინა არა მარტო იურიდიული, არამედ, რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, ფსიქოლოგიური მასალაც, ამ უკანასკნელის ღრმა, და იურისტისათვის არც თუ ჩვეული, შინაარსის გაღარიბების გარეშე. ამან განსაზღვრა ნაშრომის მდიდარი შინაარსი — შედარებით მცირე მოცულობის წიგნი ძალიან ბევრ მასალას, აზრსა და დასკვნას იტევს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დასკვნები ავტორს იოლად არ მისცემია: ისევე როგორც უწინ და ყოველთვის, ჩვენს დროში მძიმე შრომაა საჭირო მეცნიერების ხნულში ახალი კვალის გასავლებად.

თავის ნაშრომში მ. უგრეხელიძემ გამოიკვლია პრობლემა, რომლის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. ტექნიკური პროგრესის კვალობაზე გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხთა აქტუალობა თანდათან გაიზრდება. ამიტომ განსახილველი წიგნი დიდხანს შეინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. სხვა პირობაც არსებობს საამისოდ: მ. უგრეხელიძის სამართლებრივ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა დაწერილია სამართლისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა თანამედროვე წარმოდგენების დონეზე.

პროფ. ბ. ს. ნიკიფოროვი,
რსფსრ მეცნიერების დაწესებულებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აშშ და კანადის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“ იურისტის თვალით

უდავოა, რომ მხატვრული ნაწარმოების საბოლოო მსაჯულიც დროა. ზოგს იგი სულთამხუთავივით დაადგება ხოლმე თავზე, გასაქანს აღარ აძლევს, გაჩენისთანავე მოახრჩობს, ზოგს კი შეითვისებს, თან გაიყოლიებს, მოზიარედ გახდის ცხოვრების უსასრულო გზაზე. ეჭვი არ არის, რომ ნოდარ დუმბაძეს კარგად ესმის ეს ბანალობა, რაკი მისთვის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისათვის, უცხოა ლიტერატურული მანჭვა, „ფილოსოფოსობა“, მიბაძვა და ათასგვარი სხვა უკულმართობა, თვითკმაყოფილების სენს რომ გაუჩენს ხოლმე ავტორს და მის ნაცოდვილარს კი უდღეურს ხდის.

ნოდარ დუმბაძეს აქვს მეტად დახვეწილი სტილი, იგი ბრწყინვალედ ფლობს აზრის გამოხატვის ორიგინალურ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც საოცრად შეზავებულია ლაღ იუმორთან. ჩვენს კომპეტენციას სცილდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედების მხატვრული ღირსებების ანალიზი. ან კი რა უნდა ვთქვათ ისეთი, რომ მკითხველი დავაინტერესოთ. ნოდარის ყაიდის მწერალს არც მკითხველთან შუამავლობა სჭირდება და არც სახელის მოსახვეჭად აურზაურის ატეხა. მას თვითონ აქვს გაკვლეული გზა მკითხველის გულამდე. ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ღირსებებზე საკმაოდ ბევრია ნათქვამი ჩვენს ლიტერატურაში. იგი პირუთვნელად არის შეფასებული მრავალ ენაზე თარგმანების მიხედვითაც. ავტორს ინდივიდუალურად გამოკვეთილი საკუთარი სამყარო აქვს. იგი ერთ-ერთი სვებედნიერი შემოქმედია, რომელიც, რაც უფრო შორდება თავის თანამოკალმეებს, მით უფრო უახლოვდება მკითხველს. ვფიქრობთ, ჟამთა სვლა ვერ შეანელებს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“, „მზიანი ღამის“ პერსონაჟების სიცოცხლისუნარიანობას, მკითხველზე ზემოქმედებით ძალას. მარტო პატარა იუმორისტული მოთხრობა „გლადიატორი“ საკმარისია იმისათვის, რომ გაიგო ნოდარ დუმბაძის დიდი ნიჭი და უნარი...

ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“ „მნათობში“ გამოქვეყნებისთანავე წავიკითხე, ახლაც თვალწინ მიდგანან ამ ნაწარმოების გმირები, მათი განსხვავებული ხასიათები, მოქმედებათა ნიუანსები. ამ სიმბოლური სახელწოდების რომანის მთავარი გმირი ზაზა ნაკაშიძე სრულიად შემთხვევით ხვდება წინასწარ საპატიმრო საკანში. მხოლოდ თვითონ იცის, რომ უდანაშაულოა. საკანში მას ხვდებიან ქურდები: ლიმონა და ტიგრანა, გამფლანგველი შოშია, მკვლელობაში ეჭვმიტანილი — ისიდორე, საფლავებით მოვაჭრე მებურიშვილი, მოშიაშვილი და სხვ. რომანში ცოცხლად არის წარმოდგენილი თვითოეული მათგანის ფსიქოლოგია. მკითხველი მოქმედ გმირებს ერთმანეთისაგან გაარჩევს არა მარტო ფსიქო-ფიზიკური ნიშნებით, არამედ თითქოს სუნთქვითაც...

ნაწარმოების დიდ ღირსებად ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ ავტორი ბოროტმოქმედშიც სწორედ ადამიანს ხედავს. ჭეშმარიტად რეალისტურ ნაწარმოებში არც შეიძლება მოქმედებდნენ ან მხოლოდ დადებითი და ან მხოლოდ უარყოფითი თვისებების მქონე გმირები (ტიპები). ადამიანი არც ეშმაკია და არც ანგელოზი, ნათქვამია; მწერალი თუ გვერდს აუვლის ამ სიბრძნეს, მისთვის გამრუდებული აღმოჩნდება ცხოვრება, რომელსაც ვეღარ გაასწორებს ღვთითმომადლებული ტალანტითაც რომ იყოს აღჭურვილი, რაკი მისი გმირები თუ ტიპები ბოლოს და ბოლოს რობოტის პრინციპებით იარსებებენ და იმოქმედებენ.

ნოდარ დუმბაძის მიერ დახატული დამნაშავენი — ჩვეულებრივი გრძნობების, ინტელექტისა და ნებისყოფის ადამიანები არიან. ავტორს არ დაუწყია უსარგებლო ძიება აღმოეჩინა დამნაშავეთა ის ტიპობრივი „ჩარჩოები“, რომლებშიც მოათავსებდა თავის გმირებს წინასწარ განსაზღვრული ნიშან-თვისებების მიხედვით. „თეთრი ბაირაღები“ ჩინებული მაგალითია იმისა, რომ პიროვნება ქცევებში მჟღავნდება, მხოლოდ ნამოქმედარის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ მისი მომავალი საქციელიც, მაგრამ განა წარსულით მოსახერხებელია შესაძლებელი ქცევების კატეგორიული დახასიათება? რეციდივისტ დამნაშავის პიროვნებაც მარტო დანაშაულებრივი ქცევებით როდი ამოიწურება. არც იმას თქმა შეიძლება, იგი მთა-

ვალში უეჭველად ჩაიდენსო დანაშაულს, რაკი იგი რეციდივისტია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბევრი რამაა დამოკიდებული სიტუაციაზე, ადამიანის გარემოსთან დაკავშირების კონკრეტულ პირობებზე. დანაშაული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეალური ხელყოფაა, ამიტომაა იგი ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, იგი უპირისპირდება, პირველ რიგში, მორალურ საწყისებს, რაკი ყოველგვარი დანაშაული ამავე დროს ამორალური საქციელიცაა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ადამიანი, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა, აღარ ვცნოთ პიროვნებად? ხომ არ იქნებოდა გამართლებული მკვლელი, მძარცველი, ბანდიტი და სხვა დანაშავენი წარმოგვედგინა მხოლოდ როგორც მხეცებად?

ზოგიერთის ფიქრით (მათ შორის, სამწუხაროდ, იურისტებიც არიან) დამნაშავეს არ შეიძლება ახასიათებდეს ადამიანური ნიშნები, არ შეიძლება ნაწარმოებში დახატულ იქნას იგი იმდაგვარად, რომ მკითხველს სიმპათია აღუძრას. ეს ტენდენცია ცხოვრების სინამდვილით არ არის ნაკარნახევი და მეცნიერულადაც ყოვლად დაუსაბუთებელია. ყალბი საშუალებების გამოძებნა არასოდეს არ უნდა იყოს წახალისებული, თუნდაც ისინი სასურველ მიზნისათვის გამოიყენებოდნენ. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული ნაწარმოების სისუსტის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია, როცა მისი გმირები მხოლოდ ზიზღს აღუძრავენ მკითხველს. ასეთი ნაწარმოების ავტორი არ იცნობს დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, იგი ზედაპირულად გვაჩვენებს მხოლოდ იმ ნიშნებს (დანაშაულის ჩადენის სისასტიკეს და სხვა), რომლებითაც ერთობ მოქმედებს გარკვეული კატეგორიის მკითხველზე, მაგრამ ასეთი ნაწარმოები ხომ მხოლოდ სასამართლო ქრონიკის ჩარჩოში ექცევა? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიტერატურას დამნაშავენიც კითხულობენ და განა ცალმხრივი და, მაშასადამე, ყალბი ნაწარმოები უარყოფითი ემოციების გარდა სხვა რამ შედეგსაც გამოიღებს? სიყალბე ხომ არასოდეს იმალება?! ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის სრულყოფილი, როდესაც იგი ერთნაირად საინტერესოა, თავისი დამაჯერებლობით ყველა მკითხველისათვის, როცა ნაწარმოები უკმარისობის გრძნობებს არ ბადებს მწერლის ძირითადი ხაზის საჩოთირო პირობითობის გამო. ამ წესის დაუცველად, ნაწარმოებს უეჭველად მწერლის პროფესიულ შეზღუდულობისა და უნიათობის ელფერი დაეტყობა.

ნოდარ დუმბაძეს აღმოაჩნდა ბრწყინვალე ალღო განეჭვრიტა ის, რასაც ბევრი იურისტიც ვერ წვდება. „თეთრ ბაირაღებში“ რომ დახატული ყოფილიყო მხოლოდ დამნაშავენი, რომლებიც მოკლებულნი იქნებოდნენ ყოველგვარ ადამიანურ თვისებებს, მაშინ მათ მიმართ გამოყენებული სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებები დაკარგავდა პრევენციულ ხასიათს. მართლაც, დამნაშავის მიმართ საქმის გამოძიება და სასჯელის შეფარდება ხომ ამისათვის ხდება, რომ აღმზრდელობითი ზემოქმედება მოვახდინოთ არა მარტო საზოგადოებაზე (ზოგადი პრევენცია), არამედ, პირველ რიგში, თვით იმ პიროვნებაზე, რომელმაც ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული (კერძო პრევენცია). ცხადია, აღზრდა შეიძლება მხოლოდ პიროვნების, რომელსაც გააჩნია ადამიანური თვისებები. ამ თვისებებს მოკლებული არსება (ცხოველი) აღზრდის სუბიექტი ვერ იქნება. იგი შეიძლება მხოლოდ გაიწვრთნას. როდესაც ლაპარაკია სისხლის სამართლის სასჯელის პრევენციულ ხასიათზე, უეჭველად მხედველობაში მისაღებია ის ადამიანური საწყისები, რომლებსაც ეფუძნება აღზრდა. სხვანაირად საზრისს დაკარგავდა სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მთელი საქმიანობა და გზა მიეცემოდა ლომბროზოსა და ფერის ანტიმეცნიერულ იდეებს. „თეთრი ბაირაღების“ გმირთა ხასიათების ავტორისეული გამოკვეთა შესანიშნავად ესადაგება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასჯელის ამოცანების პრობლემას. რომანის შინაარსი ოსტატურად არის გააზრებული იურიდიული თვალსაზრისითაც. ავტორი გასაოცარი სიზუსტით გვიჩვენებს მოვლენების განვითარების შინაგან მიზეზობრივ კავშირებს, მათ ლოგიკურობას.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, არ მოიძებნება დეტექტიური ელემენტების შემცველი ისეთი ნიმუში, სადაც მეტნაკლებად დამახინჯებული არ იყოს იურისპრუდენცია. საოცარი პარადოქსია, მაგრამ მოყვარული მწერალი იურისტები ამ მხრივ უფრო მეტს სცოდავენ. ისინი ხშირად მრუდედ აჩვენებენ გამოძიების ტექნიკას, ტაქტიკას, იგნორირებულია მეცნიერული მეთოდოლოგიური საფუძვლები.

საჭიროა თუ არა იურიდიული ცოდნა იმ შემთხვევაში, როდესაც იწერება დეტექტივის შემცველი მხატვრული ნაწარმოები? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლ. ტოლსტოი, თ. დოსტოევსკი და მსოფლიო ლიტერატურის სხვა კლასიკოსები ამ სახის ნაწარმოებებში ანგარიშს უწევდნენ როგორც იუ-

რიდიულ დოგმებს, ისე იურისპრუდენციის თეორიულ პრინციპებს. იურისტ მკითხველს მათი ნაწარმოებებიდან შეუძლია ისწავლოს სამართლის ინსტიტუტები და არასოდეს არ დაეუფლება უკმარისობის გრძნობა სასამართლო წარმოების თუ სხვა გარემოების დამახინჯებულად გადმოცემის გამო. ცხადია, მწერალს არ სჭირდება, რომ დანაშაულის იურიდიული ანალიზი მოახდინოს ან სხვა სპეციფიკური საკითხების გაშუქება ითავოს (ეს ზოგჯერ იურისტსაც უჭირს), მაგრამ თუ ნაწარმოები იურიდიულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, მას ასახავს, მწერალმა უნდა იცოდეს რასაც წერს. სხვანაირად, მხატვრულობა მას დამაჯერებლად ვერ გადააქცევს.

ნოდარ დუმბაძის მიერ დახატული გამომძიებლები თითქმის უსუსურნი არიან. მათ აკლიათ პროფესიული მომზადება და ალღოც ღალატობთ. მეორე გამომძიებელმა, რომელიც თითქოს უფრო უკეთესი უნდა ყოფილიყო პირველზე, ისიც ვერ მოისაზრა, რომ როსტომის გამოჯანმრთელებამდე და დაკითხვამდე მეთვალყურეობა დაეწესებინა საავადმყოფოში. ეს აზრი თავად ზაზა ნაკაშიძემ უკარნახა. ნოდარ დუმბაძემ სწორედ სუსტი გამომძიებლები დაგვიხატა ალბათ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, პრაქტიკაშიც კარგი გამომძიებელი ადვილად ვერ მოიძებნება. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ნაწარმოებში მეტად დაძაბული სიტუაცია იქმნება. მკითხველს ეშინია, ვაი თუ ვერ გაიმარჯვოს ნაკაშიძემ, ვერ დაამტკიცოს სიმართლე. თუ თ. დოსტოევსკის პორფირი მკითხველს არწმუნებს და აშინებს, რომ იგი დათრგუნავს რასკოლნიკოვს, ბოლოს და ბოლოს გატეხს, დამნაშავე თვითონვე მოექცევა გამოუვალ ჩიხში, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში შებრუნებული სურათია. აქ მთელი იმედები ისევ ნაკაშიძეზე მყარდება. თითქოს მას ევალება აქტიურად იბრძოლოს (და კიდეც იბრძვის) რომ სიმართლეს მიაღწიოს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ნოდარ დუმბაძის ერთი შესანიშნავი მიგნებაც. იურისპუდენციაში სახელმძღვანელო პრინციპად ითვლება უდანაშაულობის პრეზუმფცია, ე. ი. პიროვნება უდანაშაულოა იქამდე, სანამ კანონით განსაზღვრული წესით არ დაუდასტურებენ დანაშაულს. აქედან გამომდინარე ბრალდებულს (სამართალში მიცემულს) არ ევალება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა... მაგრამ, სამწუხაროდ, შეიქმნება ხოლმე ისეთი სიტუაცია, როდესაც ბრალდებული (სამართალში მიცემული) იძულებულია თვითონ გაიმართლოს თავი, სხვანაირად საშიშროება მოელის — დამნაშავედ მიიჩნევენ. აქ მხოლოდ გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების სისუსტეზე შეიძლება ლაპარაკი.

ნოდარ დუმბაძემ ნათლად გვაჩვენა ასეთი სიტუაციები. ზაზა საპყრობილედან თავის დაღწევის გზებს თვითონვე ეძებს, მისგან მოითხოვენ არა მარტო რჩევას, არამედ იმის დამტკიცებას, რომ უდანაშაულოა. ძალიან საინტერესოა ისიდორეს ტრაგედია, რომელიც უადრესად დიდ ეფექტს ახდენს მკითხველზე. ეს მეტად ძლიერი ეპიზოდი ლოგიკური გაგრძელებაა ამავე ფსიქოლოგიური ჩანაფიქრისა — ისიდორე გამოუვალ მდგომარეობაში ექცევა სწორედ იმიტომ, რომ საგამოძიებო ორგანოები უძლურნი არიან დაადგინონ ჭეშმარიტება. აქ თავს იჩენს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც. პატიმრების მიერ ისიდორეს გასამართლების სურათის დახატვით ნოდარ დუმბაძემ მიაგნო იმ ფსიქოლოგიურ სიმართლეს, რომ დამნაშავეს არ უყვარს დამნაშავე. საკანში ზაზა ნაკაშიძეს შემთხვევით არ ექცევიან სრულიად განსხვავებულად. ლიმონა გრძნობს როგორც თავისი თავის, ისე სხვა ტუსაღების არასრულფასოვნებას. იგი პროკურორის როლში მოითხოვს მკაცრი განაჩენი იქნას გამოტანილი ლიმონას მიმართ, რადგან სწამს, რომ მან დანაშაული ნამდვილად ჩაიდინა, ეს განაჩენი ყველა დამნაშავეს შეეხება, მათი არასრულფასოვნების ნეგატიური აღიარების დამადასტურებელიცაა.

„თეთრი ბაირაღების“ ზოგიერთი პასაჟი დავას იწვევს ლიტერატურაშიც. მაგალითად, საკანში ექთანი ნუნუს ჩარჩენის სურათის მიხედვით ნოდარ დუმბაძეს სურდა თუ არა დაძაბული მოლოდინის უეცარი გაქარწყლებით კომიკური სიტუაცია დაეხატა? თუმცა ასეც რომ იყოს გაგებული მწერლის ჩანაფიქრი, მაინც არ ივარგებდა დავყრდნობოდით კანტისეულ იმ დებულებას, თითქოს თუ შევნიშნეთ, რომ ნათქვამი არ შეეფერება სინამდვილეს და არ არის სწორი, ეს ჩვენში იწვევს არა სიცილს, არამედ უკმაყოფილებას.

სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მოვლენა როგორ კონკრეტულ სიტუაციაში განვითარდება. ერთ-ერთი ლექტორი სტუდენტებთან ლექციაში ხშირად ასახელებდა კლასიკოსების ნაშრომებს. ამასთან მიუთითებდა ხოლმე იმ ტომის გვერდებზე, საიდანაც თითქოს მოჰქონდა ესა თუ ის დებულება. სტუდენტებმა შეიტყეს, რომ ლექტორის ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერებოდა, არ იყო სწორი (ალალბედად ასა-

ხელებდა გვერდებს თავის გამოჩენისათვის). ამის შემდეგ მათ უკმაყოფილების გრძნობა კი არ ეუფლებოდათ, არამედ სიცილისაგან ვერ იკავებდნენ თავს. ვფიქრობთ, ერთობ უხერხულიცაა ამ თემაზე „თეთრი ბაირაღების“ ავტორთან დისკუსიის გამართვა; ან განა ნოდარ დუმბაძესაც სჭირდება კონსულტაცია, იმისათვის, რომ გაიგოს — რა იწვევს სიცილს?

ფსიქოლოგიურად არ შეიძლება წუნი დავდოთ რომანის იმ ეპიზოდს, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იწვევს ზაზას სქესობრივი კავშირის დასაჭერად მრეცხავი — პატიმარი, ორმოციოდე წლის გახვითქული ლამაზი დედაკაცი. ის ვინც იცნობს პატიმართა ცხოვრებას, მისთვის ეს ეპიზოდი ჩვეულებრივი დრამაა. სარწმუნო ხდება, რომ ციხეს „უცოდველად“ ვერ გადაურჩა ისეთი შეურყვნელი და სათნო ყმაწვილიც კი, როგორიც ზაზა იყო. თვითონ სქესობრივ აქტში კი, ცხადია, არავითარი იდეურობის ძებნა არ შეიძლება.

ცნობილია, რომ მარტო უსიუჟეტობის გამო ძნელია ნაწარმოების დაწუნება (ჯოისის, მარსელ პრუსტის, ფოლკნერის შესახებ ტრადიციულ სიუჟეტზე არ ლაპარაკობენ), მაგრამ „თეთრი ბაირაღები“ მხოლოდ ზერელე შეხედულებით ტოვებს ერთიან სიუჟეტს მოკლებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას. რომანში მკვეთრად არის გავლებული მაგისტრალური ხაზი ზაზა ნაკაშიძის მიერ ჭეშმარიტების ძიებისა. თუ დანტე ჯოჯოხეთში ჩადის იმისათვის, რომ ზეცაში შეხვდეს ბიატრიჩეს, როგორც სიბრძნის, ჭეშმარიტების სიმბოლოს და ღვთაებრივ სიყვარულს, რისთვისაც ჯოჯოხეთის სხვადასხვა გარსში ეცნობა მიწიერი ცხოვრების ყველა ჯურის დამნაშავეს და სულწაწყმედილს... ნოდარ დუმბაძის ზაზა ნაკაშიძე საპატიმროში ავაზაკებთან მოხვედრით განიმტკიცებს ნებისყოფას, იგი სწორედ მათთან შეიცნობს თავის თავს, როგორც უბრალოდ დადანაშაულებული და იბრძვის ჭეშმარიტებისათვის.

არასრულყოფილება მეტნაკლებად ყველა ნაწარმოების კანონზომიერი თვისებაა და, ცხადია, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიც“ არ შეიძლება იყოს უნაკლო. მაგრამ რაკი ჩვენს მიერ შემჩნეული ხარვეზები არ შეეხება იურისპრუდენციის სფეროს, ჩვენ მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით. თუმცა იურიდიული თვალსაზრისით შეიძლებოდა კიდეც გვესაყვედურა ავტორისათვის, რომ არ გვიჩვენა — რატომ გახდნენ მისი რომანის გმირები დამნაშავენი, მაგრამ თან ისიც გვაფიქრებს, როგორ დავაკისროთ ეს ვალდებულება ნოდარ დუმბაძეს, როდესაც უკვე დიდი ხანია, რაც დამოუკიდებლად არსებობს დანაშაულის მიზეზებისა და პირობების შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და დღემდე მაინც ვერ გაურკვევიათ, თუ რით განსხვავდება მიზეზი პირობისაგან.

ბ. ხარაზიშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური მასალა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“ 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებებისა და „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს დაემატოს 39[1] მუხლი“ 1977 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს 6[1], 6[2], 374[1], 374[2] და 379 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 6[1]. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემით, ამხანაგური სასამართლოსათვის, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის მასალების გადაცემით ან დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემით.

სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით იმასთან დაკავშირებით, როდესაც:

1) პირს აძლევენ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში;

2) საქმის მასალებს განსახილველად გადასცემენ ამხანაგურ სასამართლოს;

3) საქმის მასალებს განსახილველად გადასცემენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის;

4) პირს თავდებქვეშ გადასცემენ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს.

მუხლი 6[2]. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით.

პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1] მუხლში აღნიშნული საფუძვლებით. ამ შემთხვევებში წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა მთავრდება მოტივირებული დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოსაყენებლად სასამართლოში მასალების გადაგზავნის შესახებ.

სასამართლოს უფლება აქვს განმწესრიგებელ ან სამსჯავრო სხდომაზე, იმავე საფუძვლებით, თავისი მოტივირებული განჩინებით შეწყვიტოს მასთან შემოსული სისხლის სამართლის საქმე.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ატყობინებენ იმ პირს, რომლის მიმართაც საქმე შეწყდა, და დაზარალებულს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გაასაჩივრონ სასამართლოს განჩინება ან პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს დადგენილება შესაბამისად, ზემდგომ სასამართლოში ან ზემდგომ პროკურორთან“.

„მუხლი 374[1]. პირობით თავისუფლებააღკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლებული პირის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ინვალიდობის გამო

იმ შემთხვევაში, თუ შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პი-

რობით გათავისუფლებული პირი კანონით დადგენილი წესით ცნობილია პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდად და თუ ინვალიდობა მან მიიღო შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად, სასამართლო ვადამდე ათავისუფლებს მას სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

თუ პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულმა პირმა მიიღო ისეთი მიზეზებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის საწარმოო საქმიანობასთან, სასამართლოს შეუძლია ან ვადამდე გაათავისუფლოს ასეთი პირი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ან გაგზავნოს იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად.

იმ პირების გათავისუფლებას სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნას, რომლებმაც პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდობა მიიღეს, აწარმოებს სასამართლო მათი სამუშაო ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარდგინებით, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 374^{2}. პირობით თავისუფლებააღკვეთილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაგზავნა განაჩენის შესაბამისად

განაჩენის აღსრულებისათვის თავის არიდების შემთხვევაში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი პირის თავისუფლების აღკვეთის ადგილას გაგზავნას, განაჩენის შესაბამისად, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის დაკავების ადგილის მიხედვით, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით.

შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების გაგზავნას განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25^{1} მუხლის მეხუთე ნაწილითა და 54^{2} მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აწარმოებს სასამართლო პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან პირობით გათავისუფლებული პირის სამუშაო ადგილის მიხედვით. განაჩენის აღსრულების გამგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

განაჩენის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი და შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული იმ პირების გაგზავნას, რომლებიც თვითნებურად გავიდნენ სამუშაო ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებიდან, აწარმოებს სასამართლო მსჯავდებულის დაკავების ადგილის მიხედვით, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით".

„მუხლი 379^{1}. სასამართლოები, რომლებიც წყვეტენ არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადებასთან დაკავშირებულ საკითხებს

იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლებას, რომლის მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47^{1} მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით განაჩენის აღსრულება გადაიდო, აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებით.

თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულების გადადების გაუქმებას და მსჯავრდებულის გაგზავნას განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა ორგანოს ერთობლივი წარდგინებით".

2. 88-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, ამ კოდექსის მე-10 მუხლისა და 1969 წლის 11 ივლისის კანონით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა დაცვით, გამოიყენება იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევებში აღკვეთის ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ დანაშაულთა საქ-

მეებზე, რომლებისთვისაც კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა ერთ წელს არ აღემატება“.

3. 304-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„არასრულწლოვანისათვის განაჩენის გამოტანის დროს, ამ მუხლში მითითებული საკითხების გარდა, სასამართლო მოვალეა განიხილოს საკითხები:

1. „არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადების შესაძლებლობის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2. პირობითი მსჯავრის ან სასჯელის ისეთი ზომის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ანდა განაჩენის აღსრულების გადადების დროს არასრულწლოვანისათვის საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ“.

4. 373 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 373.** განაჩენის აღსრულების გადადება

თავისუფლების აღკვეთით, გადასახლებით, გასახლებით, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოები მსჯავრდებული პირისათვის განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

1. მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობის გამო, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, — მის გამოჯანმრთელებამდე;

2. განაჩენის აღსრულების მომენტისათვის მსჯავრდებული ქალის ორსულობის გამო — არა უმეტეს ერთი წლით;

3. თუ მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი — ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს სამი წლის ასაკს;

4. თუ სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მოჰყვეს მსჯავრდებულისათვის ან მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგი .ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, მძიმე ავადმყოფობის, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო — სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

ჯარიმის გადახდის გადადება ან განვადება შეიძლება ექვს თვემდე ვადით, თუ მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელია“.

5. 375-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით, იმ პირის მიმართ კი, რომელსაც მისჯილი აქვს პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან რომელიც პირობით არის გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — აგრეთვე მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინებით, ხოლო თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურის წარდგინებით“.

6. 376-ე მუხლში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 376.** თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლა. შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის, გამასწორებელი სამუშაოებისა და ჯარიმის შეცვლა სასჯელის სხვა ზომით“.

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომისუუნაროდ ცნობილი პირისათვის შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25[1] მუხლის შესაბამისად, გამასწორებელი სამუშაოების შეცვლას ჯარიმით ან საზოგადოებრივი გაკიცხვით, აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოების შეცვლას თავისუფლების აღკვეთით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე ნაწილების შესაბამისად აწარმოებს სასამართლო ამ სახის სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს წარდგინებით“.

7. 379-ე მუხლში:

ა) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკითხები ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონიიდან საპყრობილეში და საპყრობილედან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის, საერთო შრომის სტაჟში კოლონია-დასახლებაში მუშაობის დროის ჩათვლის შესახებ გადაწყდება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განჩინებით სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი“.

ბ) მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილით:

„საკითხები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25^1 მუხლის მეხუთე ნაწილით და 54^2 მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის შესახებ გადაწყდება სასამართლოს განჩინებით მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის მიხედვით“.

8. 380-ე მუხლში:

ა) მეორე ნაწილში სიტყვები „ავადმყოფობის გამო ან“ შეიცვალოს სიტყვებით „ავადმყოფობის, ინვალიდობის გამო ან“;

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოს მიერ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებააღკვეთილი ან შრომაში სავალდებულო ჩაბმით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით გათავისუფლებული პირების თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად გაგზავნის, ერთი შრომა-გასწორების ან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან სხვა სახის რეჟიმის კოლონიაში, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში, შრომა-გასწორების კოლონიიდან საპყრობილეში ან საპყრობილედან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის საკითხის განხილვისას გამოიძახებენ სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარმომადგენელს. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო საქმეს განიხილავს სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების ერთობლივი წარდგინებით, ანდა სასჯელის აღსრულების განმგებელი ორგანოს წარდგინებით, რომელიც ამ კომისიებთან არის შეთანხმებული, მოიწვევენ ამ კომისიების წარმომადგენლებსაც“.

9. 384-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილით:

„თუ არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ კანონის აშკარა დარღვევას, ამ მუხლის პირველ ნაწილში დასახელებულ პირებს უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმის გამოთხოვასთან ერთდროულად, არა უმეტეს სამი თვის ვადით, შეაჩერონ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება მათ გაპროტესტებამდე“.

10. შეტანილ იქნეს 126-ე, 317-ე, 318-ე და 343-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში ციფრები „203, 204“ შეიცვალოს ციფრებით „203-204“;

ბ) 317-ე მუხლის მეორე ნაწილი შეივსოს სიტყვებით: „არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის საფუძველი“;

გ) 318-ე მუხლის პირველი ნაწილი შეივსოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტით:

„7. არასრულწლოვანისათვის განაჩენის აღსრულების გადადების ხანგრძლივობა და თუ ვის ეკისრება მსჯავრდებულზე მეთვალყურეობის მოვალეობა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება“;

„დ) 343-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ციფრის „309“ შემდეგ შეიგსოს ციფრით „374[2], ხოლო ციფრები „378 და 381“ შეიცვალოს ციფრებით „378, 379[1] და381“.

11. კოდექსიდან ამოღებულ იქნეს 404-ე მუხლი.

II. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი
1977 წლის 20 აპრილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს 122[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„**მუხლი 122[1].** დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ხანმოკლე დაკავების წესი

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ხანმოკლე დაკავების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“.

2. კოდექსის 88-ე მუხლს დაემატოს ახალი ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იმ შემთხვევაში, როდესაც პირი მოთავსებულია დაკავების ადგილში სამ დღე-ღამემდე ვადით, მასზე ვრცელდება „დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების წესები“.

3. კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ყოველი შემთხვევის შესახებ მოკვლევის ორგანო მოვალეა შეადგინოს ოქმი დაკავების საფუძვლის, მოტივების, წლისა და თვის, დღისა და საათის, დაკავების ადგილის, დაკავებულის ახსნა-განმარტების, ოქმის შედგენის დროის აღნიშვნით და ოცდაოთხი საათის განმავლობაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ პროკურორს. დაკავების ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდეგნი პირი და დაკავებული“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

ქ. თბილისი
1977 წ. 27 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165[1] მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165[1] მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა დარღვევისათვის, ანდა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით,— — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, პროდუქტების კონფისკაციით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

ქ. თბილისი
1977 წ. 27 აპრილი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები.

1. კოდექსის 118-ე და 121-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 118. საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას და მიიღონ ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად.

საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მუშას ან მოსამსახურეს იმ პირობით, თუ ზიანი გამოწვეული იყო მისი ბრალით. ეს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით (მუხლები 119-ე და 120-ე).

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი ნამდვილი ზიანი და არა ის შესაძლო შემოსავალი, რაც ვერ მიიღეს მიყენებული ზიანის შედეგად.

დაუშვებელია მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმოო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაცი-

ის ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას მუშებსა და მოსამსახურეებს აუცილებელი პირობები ნორმალური მუშაობის და მათთვის მინდობილი ქონების სრული დაცვის უზრუნველყოფისათვის".

მუხლი 121. მუშათა და მოსამსახურეთა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ იგი გამოწვეული იყო მათი ბრალით, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სრული ოდენობით შემდეგ შემთხვევებში:

1) როდესაც ზიანი მიყენებულია მუშაკის მოქმედებით, რომელიც შეიცავს ისეთი ქმედობის ნიშნებს, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით;

2) როდესაც სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშის შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოსა, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო;

3) როდესაც მუშაკსა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის ამ კოდექსის 121[1] მუხლის შესაბამისად დადებული წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც მუშაკი კისრულობს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, თუ ვერ უზრუნველყოფს მისთვის შესანახად ან სხვა მიზნით გადაცემული ქონების და სხვა ფასეულობათა დაცვას;

4) როდესაც ზიანი მიყენებულია არაშრომითი მოვალეობის შესრულების დროს;

5) როდესაც ქონება და სხვა ფასეულობანი მუშაკმა მიიღო საქვეანგარიშოდ ერთჯერადი მინდობილობით ან სხვა ერთჯერადი დოკუმენტით;

6) როდესაც ზიანი მიყენებულია მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის), მათ შორის მის დამზადებისას, დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მუშაკისათვის სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმელისა და სხვა საგნების დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით".

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 121[1], 121[2], 121[3] მუხლები:

მუხლი 121[1]. წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ შეიძლება დადოს მუშაკთან (18 წლის ასაკს მიღწეულთან), რომელსაც უკავია ისეთი თანამდებობა ან ასრულებს ისეთ სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან. სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი თანამდებობებისა და სამუშაოების ნუსხა, აგრეთვე ტიპიური ხელშეკრულება სრული ინდივიდუალური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 121[2]. კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა

მუშებისა და მოსამსახურეების მიერ იმ ცალკეულ სახეობათა სამუშაოების ერთობლივად შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია მათთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან და როდესაც შეუძლებელია თითოეული მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის გამიჯვნა და სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მასთან ხელშეკრულების დადება, შეიძლება შემოღებულ იქნეს კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა.

კოლექტიურ (ბრიგადულ) მატერიალურ პასუხისმგებლობას აწესებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. წერილობითი ხელშეკრულება კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ იდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და კოლექტივის (ბრიგადის) ყველა წევრს შორის.

იმ სამუშაოთა ნუსხას, რომელთა შესრულების დროსაც შეიძლება შემოღებულ იქნეს კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა, მისი გამოყენების პირობებს, აგრეთვე ტიპობრივ ხელშეკრულებას კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და

სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად.

მუხლი 1213. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ფაქტიური დანაკარგების მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულების (თვითღირებულების) შესაბამისად, დადგენილი ნორმებით ცვეთის გამოკლებით.

მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისის, განზრახ განადგურების ან გაფუჭების დროს ზიანი განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით. თუ მოცემული სახეობის მატერიალურ ფასეულობაზე დაწესებული არ არის საცალო ფასები, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ზიანი გამოითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით გამოანგარიშებული ფასების მიხედვით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში (წარმოებაში და ბუფეტებში) და საკომისიო ვაჭრობაში პროდუქციისა და საქონლის დატაცებით ან დანაკლისით მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ამ პროდუქციისა და საქონლის გაყიდვისათვის (რეალიზაციისათვის).

რამდენიმე მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება თითოეული მათგანისათვის ბრალის ხარისხის, მატერიალური პასუხისმგებლობის სახეობისა და ფარგლების გათვალისწინებით".

3. კოდექსის 120-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) მუშებსა და მოსამსახურეებს — მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვის საშუალო ხელფასის ორი მესამედისა, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის) მათ შორის მის დამზადებას, დაუდევრობის გამო გაფუჭების ან განადგურებისათვის, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლის და სხვა საგნების დაუდევრობით გაფუჭების ან განადგურებისათვის;

2) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს — მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასისა, თუ ზიანი საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიაყენეს ზედმეტი ფულადი სახსრების გაცემით. მატერიალური ან ფულადი ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის არასწორი დაყენებით, მოცდენის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის დატაცების, განადგურებისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობით".

4) კოდექსის 123-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშას ან მოსამსახურეს მიყენებული ზიანი შეუძლია ნებაყოფლობით აანაზღაუროს მთლიანად ან ნაწილობრივ. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის თანხმობით მუშაკს შეუძლია გადასცეს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლდა ტოლფასოვანი ქონება ან შეაკეთოს დაზიანებული ნივთი".

5. კოდექსის 122-ე მუხლს დაემატოს მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები შემდეგი შინაარსისა:

„საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების განკარგულებით, ამ მუხლის 1 და 2 ნაწილებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის მატერიალური ზიანის გადახდევინება სასამართლო წესით ხდება ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების განკარგულებით, ამ მუხლის 1 და 2 ნაწილებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის მატერიალური ზიანის გადახდევინება სასამართლო წესით ხდება ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოების სარჩელით ან პროკურორის განცხადებით.

ზიანის ანაზღაურება ხდება მუშაკის დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიუხედავად, იმ მოქმედებისათვის (უმოქმედობისათვის), რის შედეგადაც საწარმოს, დაწესებუ-

ლებას, ორგანიზაციას მიყენებული აქვს ზიანი“.

6. კოდექსის 204-ე მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს ან პროკურორის მიმართვისას სასამართლოში გამოიყენება იგივე ვადები“.

ამასთან დაკავშირებით მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად.

7. კოდექსის 209-ე მუხლში სიტყვის „სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს“.

II. ამ ბრძანებულების წესები გამოიყენება აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მუშა-მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების იმ შემთხვევების მიმართაც, რომელთა გამოც გადაწყვეტილება არ იყო მიღებული 1977 წლის 1 იანვრამდე, თუ ამ პირთა პასუხისმგებლობა მატერიალური ზიანისათვის გათვალისწინებული იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობითაც იმავე ფარგლებში ან უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ეს დადგენილია ამ ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულებებით დამტკიცებულ დებულებაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. № 4, მუხ. 282, 1972 წ. № 1, მუხ. 5).

1. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები აერთიანებენ და კოორდინაციას უწევენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის დაწესებულებების და შინაგან საქმეთა ორგანოების, რაიონის (ქალაქის) და სხვა დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებს, აგრეთვე პედაგოგ-ორგანიზატორთა ძალებს ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის ჩატარებისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობას, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა, მათი მოწყობა, ჯანმრთელობის განმტკიცება, არასრულწლოვანთა უზედამხედველობის და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილება და აგრეთვე მათი უფლებების დაცვა.

არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები როგორც უშუალოდ, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა უზედამხედველობის და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის, ბავშვების და მოზარდთა მოწყობისა და მათი კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის, არასრულწლოვანთა აღზრდაში დახმარების გაწევისათვის“.

2. მე-11 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ

კონტროლს საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ არასრულწლოვანთათვის დადგენილი მუშაობის პირობებისა და რეჟიმის დაცვის, მათთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისადმი, აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და მათი საერთო-საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული დონის ამაღლებისადმი".

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 12. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები მუდმივ კონტროლს უწევენ ამა თუ იმ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში და არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებლებში აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობას, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას, მოთავსების პირობებს და შრომის სწორ ორგანიზაციას, აგრეთვე ეხმარებიან ამ დაწესებულებებს აღნიშნული მუშაობის ჩატარებაში".

4. მე-13 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად მეთვალყურეობას უწევენ იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო აღმზრდელობითი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, პირობით მსჯავრდებულთა და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე განთავისუფლებულთა და იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან, ან მოიხადეს სასჯელი შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ახორციელებენ კონტროლს იმ მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი, რომლების მიმართაც თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის აღსრულება გადადებულია, აგრეთვე აწარმოებენ ამ არასრულწლოვანთა აღრიცხვას".

5. მე-14 მუხლის „ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) შეამოწმოს ბავშვთა და მოზარდთა მოთავსების და აღზრდის პირობები სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში და არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებლებში, აგრეთვე შეამოწმოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაობის მდგომარეობა".

ამავე მუხლის „თ" პუნქტს მეორე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე იმ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებსაც გადაუდეს განაჩენის აღსრულება, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად შეიტანოს სასამართლოში წარდგინება ასეთი გადადების გაუქმებისა და განაჩენით დაწესებული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47[1] მუხლი)".

6. მე-15 მუხლის პირველი ნაწილი მე-4 აბზაცში სიტყვები „აღმზრდელობითს დაწესებულებებში", შეიცვალოს სიტყვებით „სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში".

7. მე-17 მუხლის „დ" პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

რომლებმაც 16-დან 18 წლის ასაკამდე ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, თუ მილიციის ორგანოს უფროსი ან სახალხო მოსამართლე დამრღვევის პიროვნების და ჩადენილი გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვლის მასალები გადაცემულ იქნეს კომისიის განსახილველად".

8. მე-18 მუხლის „ი" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) არასრულწლოვანი, მის მიერ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ან საზოგადოებრივი ქცევის წესების ბოროტად და სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში მოათავსოს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში. 11-დან 14 წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს სპეციალურ სკოლაში, ხოლო 14-დან 18 წლის ასაკამდე — სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. ზემოქმედების აღნიშნული ზომა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ შეიძლება დააწესოს აგრეთვე პირობით ,ერთი წლის გამოსაცდელი ვადით".

ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ

(საქალაქო) კომისიებს უფლება აქვთ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოში შეიტანოს წინადადება 15-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანისათვის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ დამოუკიდებლად განაგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია".

9. მე-19 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიმართ, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას იჩენენ ბავშვებისადმი, ან ბოროტად არიდებენ თავს თავიანთი მოვალეობების შესრულებას ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში, ან ათრობენ არასრულწლოვანს, აგრეთვე ექიმის დანიშნულების გარეშე არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) გამოუტანოს საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ბ) დააკისროს არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ იგი 20 მანეთს არ აღემატება;

გ) დააკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს შეუძლიათ ამხანაგურ სასამართლოს გადასცენ საქმეები მშობლების ან მათი შემცვლელი პირების შესახებ. კომისიებს უფლება აქვთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში შეიტანონ განცხადება კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე, აგრეთვე იმ პირთა ბინიდან გასახლების შესახებ, რომლებსაც მშობლის უფლება აქვთ ჩამორთმეული ან შექმნეს მათთან ერთად ბავშვების ცხოვრებისათვის შეუძლებელი პირობები.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით მშობლების ან მათი შემცვლელი პირების თანხმობის გარეშე. სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში გაგზავნის შესახებ საქმის განხილვაში აუცილებლად მონაწილეობს პროკურორი.

10. მე-20 მუხლს სიტყვების „შვილების აღზრდას" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან აფერხებენ კომისიის დადგენილების შესრულებას".

11. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 24. სპეციალურ სკოლებში არასრულწლოვანნი შეიძლება იმყოფებოდნენ 15 წლის ასაკამდე, ხოლო სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 18 წლამდე.

გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლეთა სპეციალურ სკოლებში ყოფნა შეიძლება გაგრძელდეს 16 წლის ასაკამდე.

არასრულწლოვანები სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში იმყოფებიან გამოსწორებამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა.

სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია ნება დართოს მოსწავლეს დარჩეს სპეციალურ სკოლაში და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სამი წლის გასვლის შემდეგად ზოგადსაგანათლებლო სკოლის შესაბამისი კლასის ან პროფესიული სწავლების მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე.

სპეციალური სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც შეუსრულდათ 15 წელი, (მაგრამ რომლებიც არ გამოსწორდნენ, ასეთი სკოლების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ შეიძლება გაგზავნოს სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მოსწავლეთა მოთავსების ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად მშობლებს ეკისრებათ გადასახადი იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

საკითხს არასრულწლოვანთა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ პერიოდულად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით, კომიისების ინიციატივით, დასახელებული დაწესებულებების ადმინისტრაციის წარდგინებით, მშობლების, ან მათი შემცვლელი პირების შუამდგომლობით".

12. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. არასრულწლოვანთა სპეცია-

ლურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არ შეიძლება გაგზავნილ იქნენ ყრუ-მუნჯები, უსინათლოები, სულით ავადმყოფები, გონებრივად ჩამორჩენილი არასრულწლოვანები, აგრეთვე ბავშვები და მოზარდები ისეთი ფიზიკური ნაკლით და დაავადებით, რომლებიც სამედიცინო უკუჩვენებათა ჩამოთვლის მიხედვით არ მიიღებენ სკოლა-ინტერნატებში და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში“.

13. 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანის სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეწყდება დასახლებული დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის დადგენილებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც დირექტორი ამტკიცებს, რის შესახებაც არასრულწლოვანის გამოშვებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა ატყობინებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც ვალდებულია მიიღოს ზომები არასრულწლოვანის შრომითი მოწყობის ან მისი სასწავლებელში გაგზავნისა და მისთვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის“.

14. 27-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, როდესაც აღსაზრდელი სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, საბავშვო სახლიდან, სკოლა-ინტერნატიდან გამოშვების შემდეგ არ შეიძლება გაიგზავნოს მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან, კანონით დადგენილი წესით მათთვის მშობლის ან მეურვის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, აგრეთვე როდესაც შეუძლებელია აღსაზრდელის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება სხვა მიზეზების გამო (როდესაც მას არა ჰყავს მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, ან არ არსებობს საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობის ან შემდგომი აღზრდის სათანადო პირობები), რაიონული (საქალაქო) კომისია ამ დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, ღებულობს ზომებს არასრულწლოვანის ყოფა-ცხოვრების, სწავლის ან შრომითი მოწყობისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დაუნიშნოს მას საზოგადოებრივი აღმზრდელი, აგრეთვე უფლება აქვს შეიტანოს წარდგინება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არასრულწლოვანისათვის მეურვის, მზრუნველის დანიშვნის შესახებ“.

15. 30-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ბავშვთა მიმღები შეიცვალოს სიტყვებით „არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებელი“.

16. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 37[1] მუხლი.

მუხლი 37[1]. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ არასრულწლოვანი, რომელიც კომისიის დადგენილების შესაბამისად მოთავსებულ უნდა იქნეს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, განაგრძობს დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, აგრეთვე თავისი დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანის დროებით, ვადით 30 დღემდე, არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებელში მოთავსების შესახებ, სადაც მასზე საბოლოოდ გაფორმდება პირადი საქმე და არასრულწლოვანი გაიგზავნება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

გამონაკლისს შემთხვევაში არასრულწლოვანის მიმღებ-განმანაწითელებში ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 15 დღისა, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილებით, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება არასრულწლოვანის მიმღებ-განმანაწილებელში დროებით მოთავსების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცხოველთა და ფრინველთა მიმართ სასტიკი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ითვალისწინებს რა მოქალაქეთა სურვილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებებს, ამასთან მხედველობაში იღებს იმას, რომ ცხოველთა და ფრინველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების მორალთან და ზიანს აყენებს საბჭოთა მოქალაქეების, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების აღზრდას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ პირები, რომლებიც სასტიკად მოეპყრობიან ცხოველებს და ფრინველებს, რაც გამოიწვევს მათ დაღუპვას ან დასახიჩრებას, აგრეთვე აწვალებენ ცხოველებს ან ფრინველებს.

დაჯარიმდებიან თანხით ორმოცდაათ მანეთამდე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მიერ.

2. ზემოქმედების ზომებს არასრულწლოვანთა მიმართ, აგრეთვე არასრულწლოვანთა მშობლების მიმართ არასრულწლოვანთა მიერ ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული ქმედობისათვის, (რასაც არასრულწლოვანები ჩაიდენენ), განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამ კომისიების შესახებ დებულების შესაბამისად.

3. ცხოველთა ან ფრინველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ან მათი წვალების ფაქტებზე მასალების გაფორმება და შესაბამისი კომისიებისათვის წარდგენა ევალებათ მილიციის ორგანოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР